WWW.SAERTOGAZETI.ORG

# საერთო გაზეთი

№14 (248) ● 24-30.IV.2013 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● www.saertogazeti.org; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

## საქართველოს პრემიერ-მინისტრის გამოსვლა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე





## „გაყრილნი“, „გადამალულნი“, „გამოყოფილნი“...

## თემურ შაშიაშვილი: ახალი საპარლამენტო არჩევნები – ეს არის პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს გადარჩენის ერთადერთი შანსი



თუ პოლიტიკურ ასპარეზზე მხოლოდ ორი ძალა — „ქართულ ოცნება“ და „ნაციონალურ მოძრაობა“ დარჩება, ეს ქვეყნისთვის ყველაზე დიდი ღალატი იქნება!

## სოსო მანჯავიძე: მჯერა, ნაძალადევლები 27 აპრილს ქვეყნისთვის სასარგებლო არჩევანს გააკეთებენ!



„რა უნდა შეძლოს და გააკეთოს ამ ფონზე ერთმა ბიძინა ივანიშვილმა ქვეყანა საქართველოსთვის, როდესაც გარშემორტყმულია ნეოლიბერალური ინტერესების გამომხატველი სხვადასხვა პოლიტიკური ძალებით“.

## „პოლიტიკურმა ნიანგმა“ როლანდ ახალაიას შვილები მოსტაცა



„ერთმანეთის პირისპირ იდგნენ ავტომატმომარჯვებული რუსი ჯარისკაცები და საქართველოს ხელისუფლება. ავტომატის ერთი ჯერი და ხელისუფლება, თავის პრეზიდენტიანად, აღარ გვეყოლებოდა...“

## დავლური ცხედრების გარშემო

### რატომ თხზავს ყალბ ლეგენდებს რეინტეგრაციის მინისტრი?



„პაატა ზაქარეიშვილმა, აფხაზეთის ომიდან 20 წლის თავზე, ასეულობით თავმოკვეთილ ქართველს თავისი შემზარავი სიცრუით ხელმეორედ მოჰკვეთა თავები“

## თინა ხიდაშელის შეკითხვამ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე გაუგებრობა გამოიწვია

ბიძინა ივანიშვილს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე თინა ხიდაშელის შეკითხვაზე პასუხის გაცემაც მოუწია, რამაც გაუგებრობა გამოიწვია და სხდომის თავმჯდომარის შენიშვნაც მიიღო.

,,კოალიცია ქართული ოცნების'' წევრმა ,,რესპუბლიკური პარტიის'' ერთ-ერთმა ლიდერმა ევროსაბჭოს ასამბლეაზე პრემიერისთვის კითხვის დასმა ითხოვა. ხიდაშელმა პრემიერ ივანიშვილს ჰკითხა, თუ როგორ ხედავს ის ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის გზას. ხიდაშელმა, ტელეკომპანია "იმედის'' პატარკაციშვილის ოჯახისთვის დაბრუნების მაგალითი მოიყვანა და პრემიერს ჰკითხა, იქნება ეს მეთოდი სამართლიანობის აღდგენის მოდელია, თუ არსებობს რაიმე სხვა გეგმა?

ხიდაშელმა კითხვის დასმის დროს შენიშვნა სხდომის თავმჯდომარისგანაც მიიღო.

თინა ხიდაშელი: "მოკლე კომენტარი ,,**EPP**''-ს წარმომადგენელს მისივე კომენტართან დაკავშირებით - დიახ, ჩვენ ვწუხვართ, რეზოლუცია, რომელიც მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებით მიიღეთ, რადგან პრობლემა არის იმაში, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს ტელეკომპანია ,,იმედი'' დაარბიეს შეირაღებულმა ძალებმა.

(სხდომის თავმჯდომარე: თქვენ მხოლოდ კითხვის დასმის საშუალება მოგცეს, არა პოლიტიკური განცხადებისა. ხიდაშელი: მე კითხვას ვსვამ)

არჩევნების შემდეგ ეს ტელეკომპანია დაუბრუნდა კანონიერ მფლობელს. ჩემი კითხვა ბატონ პრემიერ მინისტრთან: ეს არის გზა, რომლითაც თქვენ მიდიხართ რომ ათასობით შემთხვევაში აღადგინოთ კანონიერი მფლობელი. რა არის ის გზა, რომელსაც გამოიყენებს ხელისუფლება კანონიერების აღდგენასთან დაკავშირებით და სამართლიანობის აღდგენსათან დაკავშირებით?''



როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, იგი თანაგუნდელის კითხვის აზრს ვერ მიხვდა, და ეს უფრო კომენტარად ჩათვალა, თუმცა აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც ტელეკომპანია ,,იმედი'' კანონიერ მფლობელს დაუბრუნდა, ევროსაბჭოსგან მადლობის წერილს ელოდა თუმცა, პირიქით შენიშვნები მიიღო.

ბიძინა ივანიშვილი: ,,ცდომილებებია, მე კარგად ვერ გავიგე, მე მეკითხებოდა (ხიდაშელზე)? კომენტარი გააკეთა მე მგონი. მაინც გავაგრძელებ, იყო ცდომილება, როცა ჩვენ მიგვითითებდნენ რომ მედიაზე ზეწოლაა და იყო კონკრეტული ფაქტი ტელეკომპანია ,,იმედთან''. ამ ტელევიზიასთან მიმართებაში მოხდა პირიქით, როცა 2007 წელს დემონსტრაცია დაარბიეს, იცით როგორ შევიდნენ ამ ტელეკომპანიაში ჯარით და იმის შემდეგ ეს კომპანია რჩებოდა სააკაშვილისა და ძველი ხელისუფლების სამსახურში. არჩევნების შემდეგ, ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ორ თვეში ის დაუბრინდა კანონიერ მფლობელს და მოხდა სამართლიანობის აღდგენა, გათავისუფლდა ტელეკომპანია ტერაქტისგან , გამოვიყენებ ამ მძიმე სიტყვას.

სანაცვლოდ იმისა, რომ მიგვეღო მადლობა ევროსაბჭოსაგან მოხდა ცდომილება თქვენს დადგენილებაში. იყო ოსტატური სიცრუე ძველი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან და სიცრუის გავრცელების შედეგად მოხდა ეს ყველაფერი და კარგი იქნება ეს ინფორმაცია ორივე მხრიდან გადამოწმდეს, როდესაც ესე მძიმე საკითხებზე ხდება დადგენილების გამოტანა,'' - განაცხადა ივანიშვილმა ევროსაბჭოს ასამბლეაზე ხიდაშელის კითხვის პასუხად.

## სტრასბურგში ოფიციალურ სადილზე „ნაციონალები" არ მიიწვიეს

საპარლამენტო უმცირესობის წევრის მარიამ საჯაიას ინფორმაციით, სტრასბურგში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ოფიციალურ სადილზე საქართველოს დელეგაციის უმცირესობის წევრები არ მიიწვიეს. სამაგიეროდ მიწვეულია რუსეთის დელაგიის წევრი ალექსეი პუშკოვი.

,,ოფიციალურ სადილზე, სადაც მიწვეული უნდა ყოფილიყო საქართველოს მთელი დელეგაცია (ეს პროტოკოლითაა გათვალისწინებული), არ არის გათვალისწინებული ოპოზიციის წარმომადგენლობა.

სამაგიეროდ პუშკოვია მიწვეული'', - აცხადებს მარიამ საჯაია ფეიბუქის საკუთარ გვერდზე სტატუსის სახით.



## რიჩარდ ნორლანდი - საქართველოს ახალი მთავრობა ცდილობს, დანარჩენ სამყაროს საკუთარი თავი გააცნოს



საქართველოს ახალი მთავრობა ცდილობს, დანარჩენ სამყაროს საკუთარი თავი გააცნოს, - ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა განუცხადა, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ევროპის საბჭოში გამოსვლას გამოეხმაურა.

როგორც ნორლანდმა აღნიშნა, გამოსვლის სრული ვიდეოვერსია არ უნახავს, მხოლოდ ცოტა ხანს უყურა, თუმცა, როგორც იცის, პრემიერმა გამოსვლის გარდა შეკითხვებსაც უპასუხა.

"შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს ახალი მთავრობა ცდილობს, საკუთარი თავი გააცნოს დანარჩენ სამყაროს. პრემიერი უკვე იყო ადრე ბრიუსელში. დღეს ბრიუსელში იმყოფება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, რომელიც სხვა შეხვედრებთან ერთად შეხვედრას გამართავს აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჯონ კერისთან'', - განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.

მისივე თქმით, სტრასბურგში ბიძინა ივანიშვილის დღევანდელი გამოსვლა საქართველოში მიმდინარე მოვლენებით დაინტერესებული ევროპული საზოგადოებისთვის ვითარების გაცნობა იყო.

ამასთან, ნორლანდმა აღნიშნა, რომ წელსვე იგეგმება შეერთებულ სტატებში საქარველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის ვიზიტიც.

## სერგეი ლავროვი - „არ მესმის, რისთვის სჭირდება „ნატო" საქართველოს"



სახელმწიფოებმა უნდა იფიქრონ არა ნატოს გაფართოებაზე, არამედ საერთო ევროპული უსაფრთხოების შექმნაზე. ამის შესახებ განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა, რუსეთ-ნატოს საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ, საქართველოს ნატოში გაწევრიანების სურვილთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე გააკეთა.

"ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოს უსაფრთხოება, ამ რეგიონის ნებისმიერი ქვეყნის უსაფრთხოება, ისევე როგორც ევროატლანტიკაში ნებისმიერი სხვა ქვეყნის უსაფრთხოება, მხოლოდ მოიგებს, თუ გამყოფი ზოლები, განსაკუთრებთ კი სამხედრო ბლოკებს შორის არსებული ხაზები, ლიკვიდირებულ იქნება, და თუ ყველა ქვეყანა, გამონაკლისის გარეშე, უსაფრთხოების ერთნაირი გარანტიებით ისარგებლებენ'', - აღნიშნა მან.

ამასთან, აღნიშნა მინისტრმა, რომ ახლა "ნატოდან ჩვენი პარტნიორები ხელოვნური გზით უარს ამბობენ იდეაზე, ჩვენი წინადადების მიხედვით, შეთანხმება გააფორმონ, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო-მონაწილეები საკუთარ თავზე აიღებდნენ პოლიტიკურ ვალდებულებას, საკუთარი უსაფრთხოება სხვისი უსაფრთხოების ხარჯზე არ უზრუნველყონ''.

"გამოდის, რომ ჩვენს პარტნიორებს სურთ შეინარჩუნონ სიტუაცია, როდესაც მათ გაგებაში ორი სახის გარანტია არსებობს - პირველი სახის გარანტია მათთვის, ვინც ნატოში მიღებულია და მეორე სახის გარანტია - ყველა დანარჩენისთვის'', - აღნიშნა ლავროვმა.

მისი თქმით, ნატოს შემდგომი გაფართოება ამ რისკებს მხოლოდ გაამწვავებს.

"რისთვის სჭირდება ეს საქართველოს ან კიდევ ვინმე სხვას, მე არ მესმის'', - აღნიშნა მინისტრმა.

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# საქართველოს პრემიერ-მინისტრის გამოსვლა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე




Monsieur le Président, Mesdames et Messieursles Députés, Mesdames et Messieurs !

C'est pour la première fois qu'en qualité de PremierMinistre j'ai l'honneur de m'adresser à une institution européenne.

Ce n'est pas un hasard si je me présentedevant l'Assemblée Parlementaire du Conseil de l'Europe.

En effet, vous représentez l'imminenteinstitution pour le soutien et la protection d'une véritable démocratie enEurope.

Vous êtes les mieux placés pour savoir que ladémocratie ne se construit pas par des effets d'annonce, elle s'obtient par des efforts assidus et unecoopération constructive.

Je m'adresse à vous, car vous êtes à mon sensles meilleurs architectes de la démocratie européenne.

Etant à Strasbourg en tant que citoyenfrançais, je ne pouvais pas m'abstenir de



m'adresser à vous en français et maintenantje vais continuer en géorgien qui est ma langue maternelle.

ევროპული ღირებულებების დამკვიდრების გზას თქვენ საუკუნეებია ადგახართ, ჩვენ კი, გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნები, სულ ახლახანს შემოგიერთდით. ჩვენ მძიმე წარსული მოგვყვება და სწორედ ამიტომ აქვს ამ წარმატებულ ინსტიტუტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნებისათვის, რომლებიც ახლა ვდგამთ ნაბიჯებს ერთიან ევროპაში სრულყოფილი ინტეგრირების გზაზე.

თქვენ ბრძანდებით მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა შეესხას ხორცი ევროპულ ოცნებას მშვიდობიან თანამშრომლობაზე. თქვენ ამ ხედვის მარტო ავტორები კი არა ხართ, არამედ ძალ-ღონეს არ იშურებთ იმისათვის, რომ რეალურად დანერგოთ ეს ხედვა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ის ათასობით პროექტი, შეხვედრა და კონსულტაციები, რომლებსაც თქვენ ყოველწლიურად ახორციელებთ.

ჯერ კიდევ 1945 წელს ევროპა სულ რამდენიმე დემოკრატიულ სახელმწიფოს ითვლიდა. დღეს კი 47 ქვეყანა, 800 მილიონი მოსახლეობით, ერთიანდება ევროსაბჭოში, მსოფლიოს ამ უდიდეს ორგანიზაციაში, რომელიც დემოკრატიის სამსახურში დგას. ამას თქვენ ათწლეულობით გაწეული შრომის შედეგად მიაღწიეთ.1949 წელს შეიქმნა ევროპის საბჭო. მაშინ ომისგან დაქანცული და გაპარტახებული ევროპა, ახლა ყველაზე აყვავებული რეგიონია მსოფლიოში.

1999 წელს საქართველო ევროპის საბჭოს რიგით 41-ე წევრი სახელმწიფო გახდა.

ჩემი ქვეყნისათვის თქვენს რიგებში ყოფნა ძალიან საამაყოა. ჩვენ გვიან შევუერთდით ევროპის თავისუფლების მოყვარე თანამოაზრეთა ჯგუფს და კარგად ვიცით, რომ წინ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი.2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ჩვენი გუნდი მოვიდა ხელისუფლებაში, რაც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ხელისუფლების დემოკრატიული გზით გადაცემის პრეცედენტი გახდა.

სწორედ ამის გამო ვგრძნობ დიდ პასუხისმგებლობას თქვენ წინაშე გამოსვლისას. კარგად ვიცი, რომ დემოკრატიული მართვის გამოცდილება გვაკლია. როდესაც შინ, ჩვენს ოპონენტებთან ვკამათობთ, მაშინ ყველაზე კარგად ჩანს, რამდენად გვაკლია პოლიტიკური დებატების გამოცდილება, რამდენად რთულია შეწყვიტო კამათი და ენდო მეორე მხარის კეთილ ნებას. თქვენთვის, ბუნებრივია, ძნელია ამის გაგება.

იმ გამოწვევებს, რომლებიც დღეს საქართველოს წინაშე დგას, თავისი ახსნა აქვს. ჩვენმა ქვეყანამ საკმაოდ ძნელი გზა გამოიარა თავისი ისტორიის განმავლობაში. ჩვენ რთულ რეგიონში ვცხოვრობთ. გლობალიზებული მსოფლიოს უამრავი გამოწვევა და პრობლემა ჩვენც გვეხება. და სწორედ ამიტომ გვჭირდება თქვენი დახმარება, ევროპის საბჭოს ინსტიტუტების მხარდაჭერა, რომლებიც მეგზურობას გაგვიწევენ ამ გარდამავალ პერიოდში.

ჩვენ გავაგრძელებთ წინა ხელისუფლების მიერ მმართველობის პირველ წლებში წამოწყებული რეფორმების იმ მცირე ნაწილს, რომელიც სასიკეთო იყო ქვეყნისთვის, მაგრამ ვალდებული ვართ, უკანასკნელ წლებში ავტორიტარულ სტრუქტურებად ქცეული ინსტიტუტები თანამედროვე დემოკრატიული ინსტიტუტებით შევცვალოთ.

საქართველოში ბოლო წლებში პრაქტიკულად ყველა სფერო მმართველი ელიტის კონტროლქვეშ იყო, აბუჩად იყო აგდებული ქვეყნის უმთავრესი კანონი - კონსტიტუცია და ის, ფაქტობრივად, ერთი ადამიანის ამბციებს იყო მორგებული; ელიტარული კორუფცია ბიზნესის განვითარების არავითარ საშუალებას არ იძლეოდა; იგნორირებული იყო ადამიანის უფლებები; ზეწოლა ხდებოდა არამხოლოდ განსხვავებული პოზიციის მქონე ადამიანებზე, არამედ მათი ოჯახის წევრებსა და ახლობლებზე; მედია თითქმის სრულად იყო კონტროლირებადი.

ჩვენ დავიწყეთ სამართლიანობის აღდგენის პროცესი, რომელიც მოქალაქეებს დაუბრუნებს ღირსების გრძნობას, მოუშუშებს იარებს და გაუნელებს რისხვას. ეს კი გულისხმობს ჩადენილი დანაშაულისათვის წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა პასუხისგებაში მიცემას ყველა სათანადო სამართლებრივი პროცედურის სრული დაცვით, მაგრამ გულისხმობს იმასაც, რომ ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ის ათასობით საქმის ერთგული საჯარო მოხელე, რომელიც წინა ხელისუფლების დროს მსახურობდა.

ჩვენი მხრივ კი, ძალას არ დავიშურებთ, რომ ყველა ჩვენი სტრატეგია სრულიად გამჭვირვალე იყოს და ხელი შევუწყოთ დასავლური მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობას საქართველოში. იმედი გვაქვს, რომ საქართველოს ბევრი საპარლამენტო დელეგაცია ეწვევა და თავად დარწმუნდება ჩვენი მოქმედებების სისწორეში.

ჩემი მოწვევით ევროკავშირმა საქართველოში მოავლინა თომას ჰამარბერგი — ყოფილი ევროსაბჭოს უმაღლესი კომისარი ადამიანის უფლებათა საკითხებში — როგორც სპეციალური მრჩეველი სამართლებრივი და საკონსტიტუციო რეფორმებისა და ადამიანის უფლებათა მიმართულებით. ხოლო ეუთოსა და სხვა საერთაშორისო სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებლები განახორციელებენ წინა ხელისუფლების თანამდებობის პირთა საქმეების გამოძიებისა და სასამართლო პროცესების მონიტორინგს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ამ პროცესების შესაბამისობა საერთაშორისო ნორმებთან.

ჩვენ გვყავს იუსტიციის მინისტრი, ქალბატონი თეა წულუკიანი, რომელსაც თავად აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მუშაობის გამოცდილება. ჩვენ ევროპის საბჭოს არაერთ უწყებასთან ვთანამშრომლობთ. განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო ვენეციის პროცესის ლიდერთა მიმართ, რომლებმაც დიდი დახმარება გაგვიწიეს სასამართლო სისტემის რეფორმის განხორციელების საქმეში.

ჩვენთვის ასევე სამაგალითოა საპარლამენტო ასამბლეაში მიმდინარე დებატები. ვთანამშრომლობთ ევროპის საბჭოს მრავალ სააგენტოსა და კომიტეტთან, რათა ჩვენი ხელისუფლების საქმიანობა ევროპის საბჭოს სტანდარტების შესაბამისი იყოს. ვმუშაობთ კონკრეტულ საკითხებზე უმცირესობათა უფლებების მიმართულებით, რაც დაგვეხმარება იმაში, რომ ჩვენი ურთიერთობა ევროპის საბჭოსთან ახალ საფეხურზე ავიდეს.

ჩვენ ძალისხმევას არ დავიშურებთ ამ თანამშრომლობის გაგრძელებისთვის. თუმცა, საქართველოს მომავალი განვითარების ჩვენი ხედვა, ჩვენი ოცნება, მარ-

4 gv.



3 gv.

# საქართველოს პრემიერ-მინისტრის გამოსვლა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე

ტო ამით არ შემოიფარგლება. მე კარგად გავეცანი დღევანდელი ევროპის მშენებლობის ისტორიას და მივხვდი, რომ ერთიანი ევროპის მშენებლობა, პირველ რიგში, ეს არის პროექტი მშვიდობისათვის.

ერთი თვალის გადავლებითაც კარგად ჩანს, რომ გასული საუკუნე დამანგრეველი იყო პატარა ქვეყნებისთვის, რადგან ისინი საკუთარი ნების წინააღმდეგ მუდმივად საომარ მოქმედებებსა და კონფლიქტებში იყვნენ ჩაბმული. ევროპა ერთ დროს ბრძოლის ველად იყო ქცეული. 2012 წელს ევროპის კავშირისათვის ნობელის



პრემიის მინიჭება არის აღიარება იმისა, რომ ევროპას ისტორიული მნიშვნელობის მიღწევები აქვს მშვიდობის აღმშენებლობის კუთხით.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ ომის საშიშროება ჯერ კიდევ არსებობს, რადგან მცირე ქვეყნების წინააღმდეგ კვლავაც ხორციელდება აგრესია. ამის ნათელი მაგალითია ჩემი ქვეყანა, რომლის ტერიტორიის 20 პროცენტი2008 წელს რუსეთის მიერ იქნა ოკუპირებული. სამწუხაროდ, კიდევ არსებობს კონფლიქტების საშიშროება ჩვენს რეგიონში. უნდა აღვნიშნო, რომ კავკასია ჯერ კიდევ არ არის მშვიდობის ზონა.

ჩვენ განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე ვდგავართ. ჩვენ უნდა წარვმართოთ დიალოგი რუსეთთან, რომელიც ჩვენი ყველაზე დიდი მეზობელი სახელმწიფოა. ახალი პრაგმატული მიდგომით დავიწყეთ ორმხრივი დიალოგი რუსეთთან, რუსულ ბაზარზე ვაბრუნებთ ქართულ პროდუქციას. რუსეთისმიმართჩვენიპოზიციაიქნებაკორექტული, მაგრამპრინციპული. რუსეთთან ურთიერთობაში ჩემი სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნა იმის დემონსტრირებაა, რომ ჩვენ მზად ვართ ახალი ურთიერთობისთვის.

ჩვენ ორივე მხრეს გვაქვს ჩვენი წითელი ხაზები, რომლის გადაკვეთას არ ვაპირებთ.2010 წელს საქართველომ ცალმხრივად აიღო კონფლიქტების დარეგულირების პროცესში ძალის გამოუყენებლობის ვალდებულება, რაც 2013 წლის 7 მარტს გაამყარა საპარლამენტო რეზოლუციით. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ჩამოყალიბებული ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატი ის ერთადერთი საერთაშორისო მექანიზმია, სადაც ქართველი და რუსი დიპლომატები ოფიციალურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ საერთაშორისო შუამავლების მონაწილეობით.

ამ რთულ პროცესში, როგორც არასდროს, საქართველოს სჭირდება საერთაშორისო თანამეგობრობის, კერძოდ ევროპელი პარტნიორების, მაქსიმალური ჩართულობა და მიზანმიმართული მხარდაჭერა. თბილისსა და მოსკოვს შორის დაწყებულმა დიალოგმა არ უნდა შექმნას შთაბეჭდილება, რომ საქართველო დამოუკიდებლად აგვარებს რუსეთთან ურთიერთობებს და აღარ საჭიროებს პარტნიორების მხარდაჭერას.

ჩვენ რეალისტურად ვუყურებთ საქართველოს შესაძლებლობებს. ვაღიარებთ, რომ საქართველო არის მცირე რეგიონალური ძალა ერთობ არასტაბილურ გარემოში. შეუძლებელია მდგრადი მომავლის აშენება სამხედრო ძალის დემონსტრირებით. მეორე მხრივ, შეუძლებელია რეგიონში მშვიდობის დამყარებაში წარმატების მიღწევა, თუ საქართველოსაგან მოელიან კანონიერი ინტერესების, განსაკუთრებით, ტერიტორიული მთლიანობისა და მოქალაქეების შინ დაბრუნების უფლების უგულებელყოფას.

ამ ურთიერთობის მოწესრიგება არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთლიანად კავკასიისთვის იქნება ნაყოფიერი. განზრახული გვაქვს სამოქალაქო საზოგადოების ინსტრუმენტების გამოყენება ჩვენს რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად.უპირველეს ყოვლისა კი, ჩვენ გავამახვილებთ ყურადღებას დემოკრატიაზე, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ საქართველოს უსაფრთხოება, ერთიანობა და კეთილდღეობა დიდწილად, სწორედ, ჩვენი დემოკრატიის ხარისხზეა დამოკიდებული.

მსურს ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საქართველოს დასავლური ორიენტაცია – ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაცია არის ჩვენი სტრატეგიული არჩევანი და ამას ალტერნატივა არა აქვს. ეს არჩევანი არ ეკუთვნის მხოლოდ ერთ კონკრეტულ პოლიტიკურ ჯგუფს, ეს არჩევანი ქართველმა ხალხმა დიდი ხანია გააკეთა.

საქართველოს გადაწყვეტილება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების მოთხოვნასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, ასახავს დასავლური ღირებულებებისადმი ჩვენი ხალხის ერთგულებას, რაც კიდევ ერთხელ გამოჩნდა ცოტა ხნის წინ პარლამენტის მიერ ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შესახებ.

რამდენიმე სიტყვით მინდა შევეხო ჩვენს მიმდინარე და სამომავლო გეგმებს: მთავრობა აქტიურად მუშაობს დასაქმებისპოლიტიკაზე, ამ მიმართულებით იხვეწება შრომის კანონმდებლობა, რათა იგი მაქსიმალურად შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტებს. მიმაჩნია, რომ სახელმწიფო გადამწყვეტ როლს უნდა თამაშობდეს ბიზნესის განვითარებაში და უნდა მისცეს ამ სფეროს განვითარების გარანტიები. დღეს ბიზნესი თავისუფალია პოლიტიკური წნეხისგან და ყველანი ძალიან მალე დავინახავთ კონკრეტულ, პოზიტიურ შედეგებს ინვესტიციების გაზრდის თვალსაზრისით.




უკვე შევძელით კომუნალურიტარიფებისრეალურგათვლებზე დაფუძნებადა სამართლიანი გადაანგარიშება. ამ მიმართულებით კვლავ გრძელდება მუშაობა და მოლაპარაკებები ჩვენს პარტნიორებთან. საქართველოს მთავრობა ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროგრამას, რომელიც თავისი მასშტაბით უპრეცედენტოა ჩვენი ქვეყნისთვის; აგრეთვე ატარებს ჯანდაცვის სფეროს უმნიშვნელოვანეს რეფორმას. უკვე ამოქმედდა ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამა. რეფორმის შემდეგ ეტაპზე საქართველოს ყველა მოქალაქეს შესაძლებლობა ექნება ისარგებლოს სახელმწიფოდაზღვევისუნივერსალურისადაზღვევოპაკეტითდა ეს სისტემა მომავალში კიდევ უფრო დაიხვეწება.

დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული ქვეყნის აშენება წარმოუდგენელია თავისუფალი მედიის გარეშე. ჟურნალისტი უნდა იყოს ხელისუფლების პირველი კრიტიკოსი და ის საზოგადოებას ობიექტურ ინფორმაციას უნდა აწვდიდეს. ჩვენი მთავრობა აბსოლუტურად გახსნილია მედიის წარმომადგენლებისთვის და მათი ობიექტური შეფასებები და კრიტიკა ძალიან გვადგება ჩვენს საქმიანობაში.



მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა გახლავთ ჭეშმარიტად დემოკრატიული პროცესების უზრუნველყოფის ქვაკუთხედი ქვეყანაში. წამოწყებული რეფორმა ეყრდნობა ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეკომენდაციებს და ასახავს ვენეციის კომისიისა და საქართველოს სასამართლო ხელისუფლების წინადადებებს.

მჯერა, საქართველოს აქვს მართლაც დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბების შესაძლებლობა, რომელიც თავისუფალი იქნება აღმასრულებელი შტოსა თუ სხვა სახის პოლიტიკური ზეგავლენისაგან. საქართველოს ხელისუფლების მიზანია, არ გაუშვას ხელიდან ეს შესაძლებლობა.

მთავრობის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია საქართველოს მოსახლეობასთან, რათა მათ თავი სრულყოფილად იგრძნონ თავისი ქვეყნის შვილად. ჩვენ კვლავაც ვაგრძელებთ მრავალკონფესიურ თანაცხოვრებას, რისი მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებაც აქვს საქართველოს. ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერება ერთ-ერთი წინაპირობაა მათი საქართველოს მოსახლეობასთან ინტეგრაციისთვის.

თქვენ, ალბათ, იცით ის ემოციური ფონი, რომელიც ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში შეიქმნა. საზოგადოება წლების განმავლობაში იყო მომსწრე იმისა, რომ ერთი პოლიტიკური ძალა დომინირებდა ხელისუფლების ყველა დონეზე და ხალხს დღემდე უჭირს იმ ახალი რეალობის აღქმა, როდესაც სხვადასხვა დონეზე სხვადასხვა პოლიტიკური ძალა არის გადაწყვეტილების მიმღები.

სწორედ ამ დამკვიდრებული პრაქტიკის გამო ბოლო საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური ძალის ცვლილებამ ადგილობრივ მოსახლეობაში გააჩინა განცდა, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებშიც გარდაუვალია პოლიტიკური ძალების შეცვლა. ამასთან, საქართველოში დამკვიდრდა სამწუხარო ტრადიცია იმისა, რომ ადგილობრივ დონეებზე პოლიტიკურ კუთვნილებას იცვლიან იმის მიხედვით, თუ ვინ არის მმართველი პოლიტიკური ძალა. სამწუხაროდ, ამ მოვლენებმა მალევე მიიღო ქაოსური ხასიათი და ზოგ შემთხვევაში კანონის ჩარჩოებსაც გასცდა.

საქართველოს მთავრობა ერთგულია ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციური პრინციპების და, მათ შორის, თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებლობის. ამავე დროს, ჩვენი, როგორც მმართველი პოლიტიკური გუნდის, მოვალეობაა სათანადო რეაგირება მოვახდინოთ კანონდარღვევის ფაქტებზე. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს მთავრობა და სამართალდამცავი ორგანოები კანონით გათვალისწინებულ რეაგირებას მოახდენენ იძულების, ზეწოლის ან დაშინების ნებისმიერ ფაქტზე, თუ ასეთი რამ მოხდება.

**ბატონო პრეზიდენტო,**

ხელისუფლებაში ყოფნის მეექვსე თვისათვის „ქართულმა ოცნებამ" უკვე მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს. ჩვენი პროგრამა სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობასთან დაკავშირებით აქტიურად ხორციელდება, ეკონომიკა უბრუნდება მყარ საფუძვლებს, უკანასკნელი გამოკითხვები ცხადყოფს ამომრჩეველთა მზარდ მხარდაჭერას ხელისუფლებისადმი, ჩვენ სტაბილურად მივიწევთ წინ ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე, ასევე შეიმჩნევა მცირე წინ გადადგმული ნაბიჯები რუსეთთან ურთიერთობებში.

ალბათ, ყველაზე იმედის მომცემი გახლავთ ის, რომ რთული დასაწყისის შემდეგ ჩვენ ვიწყებთ ევროკავშირისაგან მიღებული გაკვეთილების ცხოვრებაში გატარებას ყოფილ მოწინააღმდეგეებთან კონსენსუსის მიღწევის თვალსაზრისით.

დარწმუნებული ვარ, რომ საქართველომ უკვე გადალახა ყველაზე კრიტიკული მომენტი. ჩვენი გამარჯვება ოქტომბრის არჩევნებში არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი წინ მდგრადი დემოკრატიისაკენ. ამ მიზნის მიღწევას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მოქალაქეებისათვის, რაც, ჩემი ღრმა რწმენით, დაგვეხმარება მშვიდობის დამყარების პროექტში, რათა ჩვენი წვლილი შევიტანოთ ევროპული იდეალის ამ არსებითი საფუძვლის უზრუნველყოფაში.

# მსოფლიო პრესის მიხედვით

# ივანიშვილის ევროპული პრემიერა

## საქართველოს პრემიერ-მინისტრის სტრასბურგული ვიზიტი

**ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გარკვევის ტრადიციული ადგილია. ბოლო წლებში სწორედ ამ ევროპულმა სტრუქტურამ მიიღო რამდენიმე რეზოლუცია, რომლებმაც კრემლი მეტისმეტად გააღიზიანა — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო დანაყოფების არსებობა შეფასებულია ტერმინით „ოკუპაცია“. კიდევ ერთი ასეთი რეზოლუცია წლეულს იანვარში, ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ მიიღეს, რომელმაც თავის ერთ-ერთ პრიორიტეტად მოსკოვთან ურთიერთობის გაუმჯობესება გამოაცხადა.**

რუსეთის მხარე უკმაყოფილოა იმით, რომ ჯერჯერობით გაუმჯობესება არ იგრძნობა. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო საქმეების კომიტეტში აცხადებენ, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკა ისევ ძველ კალაპოტში მიემართება. რუსეთის დელეგაციაში დიდია ინტერესი იმისა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრისგან უშუალოდ მიიღონ პასუხი კითხვაზე — ბოლოს და ბოლოს, როდის შეცვლის თბილისი საგარეო ვექტორს?




ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დათბობას წაადგებოდა რუსულ-ქართული დელეგაციების სტრასბურგში შეხვედრა, რომელიც 2008 წლის შემდეგ არ გამართულა და ასეთ ფორმატში, სავარაუდოდ, არც ახლა და არც უახლოეს მომავალში არ იგეგმება. საქართველოს დელეგაციაში არ გამორიცხავენ არაფორმალურ შეხვედრას რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს და საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებს შორის, თუმცა ჯერჯერობით არც ეს არის გათვალისწინებული.

სტრასბურგში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა პირველი შეხვედრა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტ ჟან-კლოდ მინიონთან გამართა. ივანიშვილმა პრესკონფერენციაზე არ დამალა, რომ „თბილი“ შეხვედრის მთავარი თემა რუსეთთან ურთიერთობა იყო — „ვილაპარაკეთ იმ პრობლემებზე, რომლებიც ჩვენს დიდ მეზობელთან გვაქვს და მათი მოგვარებისა და გაუმჯობესების გზებიც დავსახეთ“, — აღნიშნა ივანიშვილმა.

კვლავაც გამოცანად რჩება, პრობლემების მოგვარების რა გზებზე ილაპარაკეს პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა — ამ უკანასკნელს არ დაუზუსტებია.

რუსეთმა შესანიშნავად იცის, რომ საქართველოს პოზიცია კონფლიქტური რეგიონების მიმართ ურყევია და იმავდროულად, არც პროდასავლური კურსის ცვლილებას გეგმავს. ამიტომაც რუსეთელი პარლამენტარების კითხვა — როდის შეცვლის თბილისი საგარეო ვექტორს, დიპლომატიური ფანდია მხოლოდ.

ქართველი ექსპერტების შეფასებით, რუსეთი საერთაშორისო არენაზე არ არის მაინცდამაინც წელგამართული, მიუხედავად იმისა, რომ თავგამოდებით ცდილობს, თავისი სიმართლე საერთაშორისო თანამეგობრობასაც დაუმტკიცოს და საქართველოსაც. რუსეთი ყველაზე უხერხულად თავს გრძნობს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში, რომელმაც მოსკოვისთვის მიუღებელი არაერთი რეზოლუცია დაამტკიცა. საქართველოს ახალი ხელისუფლებაც არ აპირებს თავისი პოზიციების დათმობას, რადგან სხვა მიზეზების გარდა, ეს თვითონ საქართველოში გამოიწვევს დიდი პოლიტიკურ რეზონანსს. არც ის არის შემთხვევითი, რომ მიმდინარე წლის იანვარში მიხეილ სააკაშვილმა სწორედ ამ ევროპული ტრიბუნიდან გააკრიტიკა პრემიერი ივანიშვილი და დაადანაშაულა იგი — პროდასავლური კურსიდან გადაუხვიაო. ახლანდელი ვიზიტის შედეგებით, პრემიერ-მინისტრმა ახლა საპირისპირო უნდა დაამტკიცოს.

# ბოსტონი — რევანში პუტინს?

**ბოსტონის მარათონის დროს ბომბების აფეთქების შემდეგ ობამა შესაძლოა. გვერდში დაუდგეს რუსეთის პრეზიდენტს ტერორიზმთან ბრძოლაში, წერს მიმომხილველი La Repubblica-ში.**

„ჯერჯერობით ნაადრევია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ძმები ცარნაევების ჩეჩნური ეროვნება გახდა განმ-



საზღვრელი, მათ ამ სისხლიანი ტრაგედიის მოწყობა განეზრახათ“, — აღნიშნავს გამოცემა.

„ჩეჩნეთის პრორუსულად განწყობილმა პრეზიდენტმა რამზან კადიროვმა, მისმა დაუძინებელმა მტრებმა, რუსეთის კავკასიის ჯიჰადისტებმა — ყველამ ერთად, ნაჩქარევად უარყვეს ტერაქტთან ნებისმიერი თანამონაწილეობა. უფრო მეტიც — ჩრდილოეთკავკასიური შეიარაღებული დაჯგუფებების ინტერნეტ-საიტი Kavkazcenter.com შეთქმულების თეორიას ემხრობა: ძმები მსხვერპლნი არიან ამერიკული პრესისა, რომელმაც „უცხოელი ჯიჰადისტები“ განტევების ვაცად მანამდე გამოაცხადა, ვიდრე ტერაქტის დეტალები დაზუსტდება“, — წერს ავტორი.

„ორი ახალგაზრდისთვის უცხო არ არის ძალადობა: ამერიკაში ორივე 2002 წელს ჩავიდა — ისინი ჩეჩნეთის მეორე ომს გაექცნენ. 2009 წელს, უფროსმა ძმამ ტამერლანმა მოკრივის კარიერის გზაზე ასეთი რამ განაცხადა: დამოუკიდებელი ჩეჩნეთი არ არსებობს, რუსეთის სახელით გამოსვლა კი არ მსურს, ამიტომაც დავთანხმდი ამერიკის შეერთებული შტატების სახელით გამოსვლას. მაშინ ეს ნაბიჯი შეფასდა არა როგორც მადლიერება იმ ქვეყნის მიმართ, რომელმაც გულითადად მიიღო, არამედ ანტირუსული განწყობილებების გამოვლენად.

ავტორის ვარაუდით, „შესაძლოა, ტამერლანი არ იყო ტერორისტული ქსელის წევრი — ის დამოუკიდებლად მოქმედებდა და მის საქციელს მძიმე წარსულთან დაკავშირებული პოლიტიკური განწყობილებები და/ან ფსიქოლოგიური პრობლემები განაპირობებდა.

ამ ტერაქტის ფონზე რუსეთ-ამერიკის ურთიერთობაში ცვლილებები გაჩნდება. მოსკოვს მყარად აქვს გადაწყვეტილი, 2014 წლის ოლიმპიადამდე აღკვეთოს ნებისმიერი ტერორისტული მუქარა და ბოსტონის ამბავი საამისოდ ძალზედ ფასეულ შესაძლებლობებს იძლევა. რუსეთი დიდხანს ითმენდა კავკასიელი ჯიჰადისტების კავშირს „ალ-ყაიდასთან“, მაგრამ ობამას ადმინისტრაციის სახით პასიური თანამოსაუბრე ჰყავდა. ახლა ვაშინგტონი შექმნილ მდგომარეობას სხვაგვარად შეხედა და შეაფასა, ხოლო მოსკოვმა უკვე შესთავაზა მას ბოსტონის ტერაქტის გამოძიებაში სრულფასოვანი დახმარება.

# ევროპა უნდა დაეხმაროს საქართველოსაც და სომხეთსაც

## თუ არადა, ამას რუსეთი გააკეთებს

„ახლახან, უფლებადამცავ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შესახვედრად, საქართველოს და სომხეთს ვესტუმრე. საქართველოში ორი დღე დავყავი და შემდეგ აღმოსავლეთისკენ გავემართეთ, სადაც ბორცვებიან პეიზაჟს ნელ-ნელა მთაგორიანი ჩაენაცვლა, ტალახიან პოსტსაბჭოთა სოფლებში კი მწყემსები ცხვრების ფარასა და საქონლის ნახირს დასდევენ“, — ასე აღგვიწერს თავის შთაბეჭდილებებს ფონდის — Sigrid Rausing Trust დამფუძნებელი Guardian-ში დაბეჭდილ სტატიაში.



„იქ შეიძლებოდა ყოფილიყო წარმოუდგენლად ლამაზი პეიზაჟი, მაგრამ ახლა გაუკაცრიელებული და ცუდი და გულგრილი თითქმის საუკუნოვანი მმართველობით დამახინჯებულია“, — წერს სიგრიდ რაუზინგი. „თითოეული სოფელი, რომელთა გავლაც მოგვიხდა, ნახევრად მიტოვებულს ჰგავს — არც ხალხი გვინახავს და არც მაღაზიები. ჩვენი მანქანების გარდა, სხვა ტრანსპორტისთვის თვალი არ მოგვიკრავს“.



ჩვენს მასპინძელ უფლებადამცველებს სჯერათ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოსი, მიუხედავად იმისა, რომ იქ ათეულათასობით საქმე წლებია განხილვას ელოდება.

„ევროპული სოლიდარობა, თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ვიმსჯელებთ, ბრიტანელებისთვის ცარიელი ცნებაა; ევროპის განაპირას კი დემოკრატიისა და კანონიერების არსებობა ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. საქართველო, სომხეთი და კიდევ 14 სახელმწიფო, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, მოლაპარაკებებს მართავენ ევროსაბჭოსთან. ეს პოლიტიკა, დემოკრატიის მხარდაჭერის, ადამიანის უფლებების დაცვის, კანონიერების, აგრეთვე, საბაზრო ეკონომიკისა და მყარი განვითარების სანაცვლოდ, ეკონომიკური ინტეგრაციის გარკვეულ დონეს გულისხმობს“, — აღნიშნავს უფლებადამცველი.

იგი აღნიშნული ქვეყნების ისეთ პრობლემებზე მიანიშნებს, როგორებიცაა სუსტი და იმავდროულად ხისტი სახელმწიფო, ეკონომიკის ოლიგარქიული ხასიათი და სადამკვირვებლო ინსტიტუტების არარსებობა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ხალხი მაინც იმედიანად არის განწყობილი.

რაუზინგი დარწმუნებულია, რომ „ევროპული ინტეგრაცია საუკეთესო ვარიანტია ეფექტიანი მმართველობის დასამყარებლად. ევროპული სავაჭრო შეთანხმებები და ადამიანის უფლებების დაცვის მოთხოვნა უწინარესია როგორც მათთვის, აგრეთვე ჩვენთვის“.

**მიმოხილვა მოამზადა გ. ჭავჭავაძემ.**

# ᲗᲔᲛᲣᲠ ᲨᲐᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ — ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲜᲡᲘ

გვესაუბრება „თეთრების“ ლიდერი ᲗᲔᲛᲣᲠ ᲨᲐᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

**— ბატონო თემურ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 19 აპრილს აქციაზე ახალი ეროვნული მოძრაობა დააფუძნა. როგორ ფიქრობთ, რა პერსპექტივები აქვს ამ მოძრაობას?**

— ახალი ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბება, აბსურდია. ცინიზმია, რომ ცხრა წლის განმავლობაში ყოველგვარი ქართულის და ეროვნულის წინააღმდეგ მებრძოლი პოლიტიკური ძალა, პირდაპირ ვთქვათ, არაქართული ცნობიერების პოლიტიკური ძალა, საუბრობს ახალ ეროვნულ მოძრაობაზე. დავაკვირდეთ - „ახალი ეროვნული მოძრაობა“. ეროვნული მოძრაობა არ შეიძლება იყოს ახალი და ძველი - ეროვნული მოძრაობა არის ეროვნული მოძრაობა. შეიძლება ისაუბრო განახლებაზე, ეს გააკეთო ძველის პატივისცემით, მაგრამ ეროვნულ მოძრაობასთან სიტყვა „ახალი“, მით უფრო, არაეროვნული ცნობიერების პოლიტიკოსებისაგან, ეს მხოლოდ ნგრევაა, სწორედ ეროვნულობის წინააღმდეგ ბრძოლაა.

ყველაზე დრამატული დღევანდელი სპექტაკლის შედეგი შესაძლოა ის გახდეს, რომ პოლიტიკურად მკვდარი „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლების ხელშეწყობით დამკვიდრდეს რეალურ ოპოზიციად და ამით დასრულდეს ე.წ. კოჰაბიტაცია. თუ დღეის შემდგომ პოლიტიკური დებატების სივრცე მედიასა და მის გარეთ დარჩება „ქართული ოცნებისა“ და „ნაცმოძრაობის“ მონოპოლიად, როგორც დღემდე იყო და თუ ბატონი ბიძინა ივანიშვილი გააგრძელებს კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და „ნაცმოძრაობის“ გარეთ მყოფი, ქვეყნისთვის საჭირო უამრავი პოლიტიკოსის და არაერთი პოლიტიკური ძალის იგნორირებას, როგორც ამას დღემდე აკეთებდა - შედეგად მივიღებთ დასუსტებულ, ხალხის ნდობადაკარგულ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ და ხელოვნურად გაძლიერებულ, დღეს პოლიტიკურად მკვდარ „ნაცმოძრაობას“. ქვეყნისათვის ამაზე დიდი ბოროტების წარმოდგენაც კი ძნელია.

საერთოდ, სჯობდა, სიძულვილის ენაზე მოლაპარაკე პოლიტიკური ძალა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში საერთოდ არ გაჩენილიყო. ამ დღეს სიძულვილის ენა მოვისმინე. სამწუხაროა, რომ საქართველოში სიძულვილის ენაზე მოლაპარაკე ძალა ევროპულობას, დასავლურობას და ეროვნულობას იბრალებს. ეს კატასტროფაა, არამგონია ქართველი ხალხისთვის ამაზე დიდი შეურაცხყოფა არსებობდეს. თუ ქართველი ხალხი ამას ითმენს ეს ნიშნავს, რომ მართლაც არ აქვს გაცნობიერებული რა ხდება და საკუთარ ქვეყანას ებრძვის. ორ რამეს გეტყვით: სამ თვეში სოფლის მეურნეობაში იმდენი დაიხარჯა, რაც საქართველოში 9 წლის მანძილზე არ დახარჯულა. ვინმე ახსენებს ამას? — ტელევიზორს ჩართავ და ბლუ ვანო მერაბიშვილი ლაპარაკობს, ან საკაშვილი ან ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც გაცილებით დიდი დემაგოგი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოვიდგენდი. ნახეთ, როგორ მიმართა ხალხს მიტინგზე? — გაიხედეთ, ხალხო, განა თქვენს ირგვლივ შიმშილობა დამარცხდა, რამე აშენდაო? საუბარია შვიდ თვეზე. ამ დროს ბატონი ბიძინა ყოველთვის აკეთებდა ბევრს და არ საუბრობდა ამაზე, ახლაც ასე იქცევა. იგი ტიპია ისეთი, რომ პროპაგანდას არ ეწევა. თურმე, საქართველოში დღეს კეთილმოწყობის ხაზით, 40 პროცენტით მეტი დაიხარჯა, ვიდრე წინა ხელისუფლების დროს პირველ კვარტალში. ამ დროს „ნაციონალები“ მთავრობას აბრალებენ, არ აშენებთ, ანგრევთო. ამას იმიტომ ამბობენ, რომ ახლა ანბანის კოშკი, იუსტიციის სახლი და ა.შ. არ შენდება — ეს დანაშაული იყო. 99 პროცენტი, რაც სააკაშვილმა ააშენა, სკამის გადარჩენისთვის გააკეთა. ამათ დავით აღმაშენებელი „პრარაბი“ ჰგონიათ. მას აღმაშენებელი ხალხმა დაარქვა არა იმიტომ, რომ რაიმე შენობებს აშენებდა, არამედ მან ოჯახები ააშენა, გააძლიერა, ადამიანი სუნთქავდა, კარგად ცხოვრობდა. დღეს მიწისქვეშეთში ვართ. აღმაშენებელი მას ტაძრის აშენების გამო არ ერქვა, არამედ მან ადამიანები ააშენა. როდესაც 16 წლის მეფეს ჭყონდიდელი გვირგვინს ადგამდა, მან ჰკითხა — რა გავაკეთო ისეთი, რომ საქართველოში განწყობა შევცვალოო. ჭყონდიდელმა უპასუხა — ხალხს ღირსება დაუბრუნეო. აღმაშენებლის მთელი ცხოვრება სწორედ ადამიანებისთვის ღირსების დაბრუნება იყო. „ნაციონალები“ კი მთელი ცხოვრება ხალხს ღირსებას ართმევენ. დღეს რუსთაველის პროსპექტზე ისეთი ადამიანი გთხოვს ლარი ხომ არ გაქვსო, რომლისთვისაც 10-15 წლის წინ ათასი ლარი რომ გეჩუქებინა, გეტყოდა ეს რა მაკადრეო. დღეს ჩვენს ჯიბეგაფხეკილებს შეუერთდა ინდოელი, თურქი — მთელი მსოფლიოს ჯიბეგაცრეცილები — ნახეთ რა ხდება რუსთაველზე? აი, ეს საქართველო დატოვეს მათ.

**— ბატონო თემურ, უსუფაშვილმა განაცხადა — „ნაც.მოძრაობა“ როგორც პარტია უნდა გადავარჩინოთო.**

— ივანიშვილისგან იცით რას ვითხოვ? — ისეთი ქვეყანა შექმნას, სადაც ნიჭის რეალიზაცია მოხდება. „ნაციონალები“ ევროპულობაზე გველაპარაკებიან, თუმცა —

**ᲗᲣ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲗᲐᲜ ᲡᲐᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲓ ᲝᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲓᲐᲠᲩᲐ — „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲓᲐ „ᲜᲐᲪ. ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ“, ᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲓᲐᲜᲒᲠᲔᲕᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲐᲛᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲦᲐᲚᲐᲢᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ.**

ჯერ ერთი, სექტას პოლიტიკურ ძალად რომ აღიარებ, ეს უკვე თავისთავად ღალატია. უსუფაშვილის განცხადებამ შემაშფოთა — ქართული დემოკრატიის ამოცანა ყოფილა გადავარჩინოთ „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც პარტია. „ნაციონალური მოძრაობა“ კი არ უნდა გადავარჩინოთ, არამედ უნდა გასამართლდეს. ასევე, უნდა გასამართლდეს „მოქ. კავშირი“, „აღორძინება“ — დამოუკიდებელ საქართველოში ეს პროცესი უნდა დაიწყოს. სააკაშვილს ხომ არ დავემსგავსებით, რომელსაც აგვისტოს ომის გამოძიების ეშინია. პირიქით, თუ იგი მართალია გამოძიება უნდა აწყობდეს. ამიტომ დავიწყეთ ჩვენ მოძრაობა —„ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას“. მინდია უგრეხელიძემ მსოფლიო მასშტაბით დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, ევროპის სასამართლოში პირდად ვიყავი ამის შემსწრე. ჩვენი შეცდომა ის იყო, რომ თურმე იმ ხალხს მივადექით, ვინც სააკაშვილის თამაშს თამაშობდა — გადაცემისთვის 300-400 ათასები მოგვთხოვეს. „ნაციონალებმა“ ქართველ ხალხს გენოციდი მოუწყვეს. დღეს მიდის ბრძოლა არსებობისთვის, დარვინის ეპოქაში დაბრუნება, საიდანაც აფრიკას გამოსვლა უნდა და ჩვენ, პირიქით შევდივართ ამ ეპოქაში, ქვეყნისთვის კატასტროფაა. აზრზე ხომ უნდა მოვიდეთ. „ნაც. მოძრაობა“ გაიძახის ევროპელები ვართო. ევროპაში, პარტია არჩევნებში რომ დამარცხდება, თავმჯდომარე მაშინვე გადადგება. აქ, კი არ გადადგნენ, პირიქით ხალხი, რომელსაც უამრავი სიავე აქვს ნაკეთები, აქით გვადანაშაულებს.

**— ვანო მერაბიშვილი იმის ნაცვლად, რომ დასჯილიყო, აქციაზე საკმაოდ ომახიანად წარსდგა...**

— რაც ვანო მერაბიშვილს ქვეყანაში ნაკეთები აქვს, როგორ შეიძლება, თუ ღირსება გაქვს, მის დაძახილზე მიხვიდე და მოუსმინო. მერაბიშვილმა ადრე თქვა — „ამერიკაში ჩემთვის ყველაფერი მისაღებია. ამერიკაში ყველაფერი კარგია იმიტომ, რომ ადამიანური და ბუნებრივია. სხვაგან, მათ შორის, ევროპაშიც, ყველაფერი არაადამიანურია. ქართულ ტრადიციას არ ვიცნობ, პატივს არ ვცემ, ევროპა არადამიანურიაო“. მასვე ეკუთვნის გამოთქმა, რომ ის მართლმადიდებელი არ არის, მისი წინაპრები კათოლიკები იყვნენ, რომ თვითონ არც ერთ რელიგიას არ აღიარებს, ანუ ურწმუნოა. ამ და მსგავს უამრავ გამონათქვამთა ავტორი დღეს გვესაუბრება ქართველობაზე, პატრიოტიზმზე... ცხადია, რომ ის არის მხოლოდ სკამის პატრიოტი და მასონური, სექტანტური თუ სხვა ჯურის უცხოური დაჯგუფებების პატრიოტი.

**— „ნაცებმა“ აქციაზე ივანიშვილი პრორუსულობაში დაადანაშაულეს და თქვეს, რომ ევროპა ჩვენ ვართო.**

— უფრო დიდი რუსული საქმე, რაც 19 აპრილის აქციაზე ნაციონალებმა ილაპარაკეს, არ მომხდარა. როგორ შეიძლებოდა იმ დღეს აქციაზე „აგუტინების“ ხსენება — ეს სიძულვილის ენა ხომ უნდა დამთავრდეს?! ბლერმა არჩევნები რომ წააგო მაშინვე გადადგა, საქართველოში ასეთი რამ არ ხდება. შეიძლება 20 წელი პარტიას ერთი თავმჯდომარე ჰყავდეს?! ესაა ევროპა, სად ნახეს ასეთი ევროპა? ხალხი, რომელიც თავისი ცხოვრების წესით ევროპას ებრძვის, დღეს ევროპისკენ სვლას ღაღადებს. მათი საქციელი ევროპული არც მაგიდასთანაა, არც ქუჩაში, არც საუბრისას, არც პოლიტიკის კეთებისას. თუ ევროპა ისეთია, როგორადაც სააკაშვილი იქცევა, მაშინ საერთოდ არ გვინდა ევროპა. თუ ევროპა ისეთია, რომელსაც ბლუ ვანო მერაბიშვილი ჰყავს, თუ ამერიკას ასეთი მოსწონს, მაშინ როგორ შეიძლება ქართველებს აშშ ან ევროპა მოგვწონდეს?! აშშ და ევროპა იმიტომ მოგვწონს, რომ ისინი განათლებას, კონკურენციას მიაგებენ პატივს. ამერიკა ისუნთქავს ქართველ ნიჭიერებს, ერთი ნიჭიერი მხატვარი გვყავდა ყაზაიშვილი და კლინტონმა თქვა — მე ვარ ამის პატრონიო, საქართველოში ვერ მოვუარეთ. 1989



## თუ პოლიტიკურ ასპარეზზე მხოლოდ ორი ძალა — „ქართულ ოცნება“ და „ნაციონალურ მოძრაობა“ დარჩება, ეს ქვეყნისთვის ყველაზე დიდი ღალატი იქნება!








წელს, ქუთაისში პარიზის დღეების ჩატარებას სააკაშვილი ებრძოდა. მათ საქართველო, ქუთაისი კი არ უყვართ, არამედ სკამისთვის სჭირდებათ. ეს ანტიქართული ძალაა. დაუკვირდით, როგორმა სიტყვებმა დაკარგა ძალა საქართველოში: ავიღოთ, ავტორიტეტი — კანონში დაიწერა, ქურდული ავტორიტეტის წინააღმდეგ ბრძოლა. მე ვამბობდი, რომ ქურდები ავტორიტეტები კი არა, კურდღლები არიან-მეთქი. საქართველო რამდენიმე სიტყვაზე იდგა — ავტორიტეტზე, რომელიც ამათ ქურდზე გადაიტანეს, „მოკლეს“ ეს სიტყვა, რაზეც ქვეყანა დგას; ასევე, საქართველო იდგა ნაციონალურზე და ყველაზე ანტინაციონალურმა პარტიამ დაირქვა „ნაციონალური“; საქართველო დგას ეროვნულობაზე და ყველაზე ანტიეროვნულები დღეს ახალ ეროვნულ მოძრაობას აფუძნებენ; საქართველო დგას მიწაზე, რომელიც ქართველებს აღარ ეკუთვნით. ის, რითაც ჩვენი ქართული ცნობიერება, ეროვნული განწყობა ჩანდა, იმას სპობენ და ებრძვიან. ივანიშვილს დიდი მადლობა იმისათვის, რომ გვიჩვენა, როგორი არარაობა მართავდა საქართველოს.

თუ ვინმეს უნდა, რომ მომავალში ორი პარტია დამკვიდრდეს —„ნაც. მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ — ეს ნიშნავს, რომ ძალიან ბევრ ჯანსაღ პოლიტიკოსს და პარტიას ომი გამოუცხადო, ეს ანტიქართულია და მეორეც, ქვეყანაში სექტის დატოვება პოლიტიკურ ოპოზიციად — ეს მიანიშნებს იმაზე, რომ დავალება გარედან მოდის. საქართველოსთვის ყველა პოლიტიკოსი, მით უფრო პოლიტიკური პარტია, რომელიც გარედან იმართება, მიუღებელია. ორი პარტიის დატოვება, მხოლოდ გარედან დავალებაა. სააკაშვილი ახლა უცხოეთს საერთოდ არ აინტერესებს, მათ უნდათ, რომ საქართველოში როგორმე, ორი პარტია დარჩეს, სხვა დანარჩენი, ყველაფერი განადგურდეს. მეორე პარტიად აპირებენ „ნაციონალების“ სექტა დარჩეს. დემოკრატია სხვა რამეა — სამი-ოთხი პარტია მაინც უნდა არსებობდეს და მონაცვლეობდეს ერთმანეთში. სულაც არ ვფიქრობ, რომ ყოველთვის „ქართულმა ოცნებამ“ უნდა გაიმარჯვოს, რაც არ უნდა ძლიერი იყოს იგი. თუ ივანიშვილი მიუხედავად ქურქის შეცვლისა, „ნაც. მოძრაობას“ ოპოზიციად დატოვებს, ეს დემოკრატია არ იქნება. „ნაციონალები“ — ვიმეორებ სექტაა, მასონთა ლოჟაა. დასავლეთში ბევრგანაა მასონთა ლოჟები. ვინც დღეს მათი წევრი გახდა, ისინი რიხინ-რიხინით მიიწევენ წინ.

**— სააკაშვილმა კი თქვა ჰააგაში ჩემი გადაცემა ქვეყნისთვის იქნება ცუდიო. ეს შემთხვევით ხდება?**

— დღეს, სააკაშვილი „ნაც. მოძრაობაშიც“ უმძიმესი ტვირთია თავისი აზროვნებით, ქცევით, ცხოვრების წესით, მაგრამ სააკაშვილი საშიშია იმიტომ, რომ მან იცის როგორ დაიწყო ომი. ამიტომ, დღეს აშშ და ყველა ვალდებულია სააკაშვილის მიმართ ლოიალური დამოკიდებულება ჰქონდეთ. სააკაშვილმა ომთან დაკავშირებით პირი რომ გააღოს, აშშ და დასავლეთი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდება. ამიტომ, დღეს უნდათ სააკაშვილის სიმშვიდე. ეჭვი არ მეპარება, ბიძინა ივანიშვილს ეხვეწებიან, წყნარად, მშვიდად გაგვაცილებინეთ სააკაშვილიო.

**— „ნაციონალური მოძრაობის“ გაძლიერება ხომ არ მოხდა ამ მიტინგით და ვისი ბრალია ეს?**

— ყველაფერი, რაც 19 აპრილს მოხდა „ქართული ოცნების“ ბრალია. ამიტომ ვსაუბრობთ ჩვენ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე. ჩვენი პოზიცია ასეთია —„ნაციონალების“ გასამართლება უნდა მომხდარიყო. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ვანო მერაბიშვილი დღეს გარეთ უნდა იყოს, ძალიან ცდება. მას უამრავი ოჯახი ჰყავს გაუბედურებული, მათი შვილები მოკლული. საქართველოში სისხლის აღება რომ დაიწყონ, საშინელება მოხდება. ერთ-ერთი დაზარალებული პირდაპირ ამბობს — სააკაშვილს ჩემი შვილის მკვლელობისთვის თუ არ გაასამართლებენ, მე მოვუღებ ბოლოსო. ეს ხომ კატასტროფაა.

**— დღეს სირცხვილი არაა ციხეში დასაფიცებლად ერთი ახალაია რომ ჰყავთ, მკვლელი მერაბიშვილი კი ახალ ეროვნულ მოძრაობას აფუძნებს?**

— დიახ. დღეს მერაბიშვილი, უგულავა ციხეში რომ არ სხედან, ეს მართლაც სირცხვილია. როგორ, გველაპარაკებიან ხმამაღლა ტრიბუნებიდან? ამ შემთხვევაში, მე „ქართული ოცნების“ არ მესმის. ამ მიტინგის შემდგომ თუ მათ დაიჭერენ, მთელი მსოფლიო ილაპარაკებს — მიტინგის გამო მოხდა ესო. ეს თავიდან იყო გასაკეთებელი. მერაბიშვილი რომ ახალ ეროვნულ მოძრაობას აფუძნებს, ეს იმის გაგრძელებაა, რომ უნდათ ახლა სიტყვა — ეროვნულიც მოსპონ. ავიღოთ, ეს ორი პიროვნება — ვანო მერაბიშვილი და ვაშაძე. მერაბიშვილი მიწის საერთაშორისო მაფიას წარმოადგენს, ხოლო



საკუთრება როგორ უნდა გადავიდეს სხვის ხელში და დაკანონდეს — ეს სისტემა ვაშაძეს ააწყობინეს. ეს ორი პიროვნება დღეს საქართველოსთვის ყველაზე საშიშია და გარე მაფიოზური წრეების მიერაა მართული. მათ, გარეთ, სხვადასხვა მასონურ წრეებს კარგად დაამახსოვრეს თავი. მე პირველმა დავეტაკე საქართველოში იმ წრეებს, რომლებმაც საბანკო პირამიდა შექმნეს.

**— პრობლემა ისიც ხომ არაა, რომ დღეს საქართველოს გარე ძალები მართავენ?**

— დიახ. დღეს ჩვენი ტრაგედია სწორედ ამაშია — საქართველო შიგნიდან არ იმართება. საქართველოში ჩვენ დღეს ის ხალხი კი არ მოგვწონს ვინც აქ იცხოვრა, ისწავლა და ა.შ. არამედ ვინც უცხოეთში ისწავლა, იცხოვრა — აი, ესაა ყველაფერი. უცხოელებმა ეს მომენტი დაიჭირეს და დღეს ცდილობენ საქართველოდან რაც შეიძლება ბევრი ადამიანი გაიყვანონ, სათავისოდ მოარჯულონ. როგორ ფიქრობთ, რა ომი მიდის ახალაიებსა და მერაბიშვილს შორის? გამორიცხულია როლანდ ახალაია რომელიმე მასონთა ოჯახს წარმოადგენდეს. როლანდ ახალაია არის ქართული ოჯახი — შეიძლება მაფიოზური, მაგრამ ქართული ოჯახი. ვანო მერაბიშვილი არის ბლუ — დასავლეთში მოსწონთ ასეთი ხალხი იმიტომ, რომ გარედან ადვილად იმართება. რატომ მოსწონდათ სააკაშვილი უცხოელებს? — ადვილად მართვადი იყო. რატომ არ მოსწონთ ივანიშვილი? — იმიტომ, რომ ადვილად მართვადი არაა. ივანიშვილს დღეს დახმარება სჭირდება.

**— 19 აპრილს გაკეთბულ კიდევ ერთ მოწოდებაზე მინდა გკითხოთ — „ნაციონალები“ ამბობდნენ ჩვენ ერთადერთი კონსტრუქციული ოპოზიცია ვართ, მაგრამ ივანიშვილს პუტინთან ვიზიტზე მყოფი ბურჯანაძე მოსწონსო.**

— წარმოუდგენლად მეჩვენება, ნინო ბურჯანაძე ანტიქართული იყოს, როგორც ამას სააკაშვილი ხატავს. როცა მე ბურჯანაძეს ვაკრიტიკებდი, მაშინ სააკაშვილი მას ტეტჩერს ადარებდა, მისით ამაყობდა. სააკაშვილი ოპოზიციაში რომ იყოს, პირველი წავიდოდა პუტინთან. დღეს სააკაშვილი პუტინთან გზებს ეძებს, მას არ აწყობს ალაპარაკებული პუტინი. პუტინს აწყობს მიწაზე გართხმული მიშა. რაც მეფის რუსეთმა ვერასდროს შესძლო, ის გააკეთა პუტინმა სააკაშვილის საშუალებით. 19 აპრილი პუტინისთვის საშუალების მიცემა იყო, რათა ამერიკელ მეგობრებს უთხრას — ეს გიჟი არ მეშვებაო. ისინი, ხომ ვიცით, რასაც ეტყვიან — ცოტა გვაცადეთო. პუტინსა და ამერიკელებს შორის სერიოზული საუბარი მიდის. საქართველოზე შეყვარებული კაცი ამდენ ყურადღებას არ დაუთმობდა რუსეთს. ხმამაღლა ვამბობ — რუსეთის ლანძღვით, საქართველოში რუსული იმპერიის საქმე კეთდება. ვინმე მკითხავს, აბა რუსეთი უნდა ვაქოთო? — არა, მაგრამ ფეხქვეშ არ უნდა გავეგოთ. რუსეთს მარტივი ფორმულა აქვს — როგორც კი გხედავს, რომ ამერიკის წინაშე მიწაზე ხარ გართხმული — რუსეთი გვეუბნება ჩვენ ამერიკელებთან ვივაჭრებთ და შენ დამარცხებული დარჩებიო. პუტინის ლანძღვით საქართველოს ხელისუფლებაში რუსული იმპერიული ძალების ზრახვათა განხორციელება ხდება. იმიტომ მინდა აგვისტოს ომის გამოძიება — ან უნდა გამიქარწყლდეს ეჭვი, რომ სააკაშვილი პუტინის პროგრამის ნაწილი იყო, ან უნდა დამიდასტურდეს. დღეს, ჩემი აზრი, ასეთია, სააკაშვილმა როგორც იმოქმედა, ეს პუტინის პროგრამის ხელშეწყობა იყო. ესაა რეალობა, ამიტომ სააკაშვილს და ამერიკელებს ნინო ბურჯანაძე არ აწყობთ. რატომ? — ამერიკელებმა იციან, რომ ბურჯანაძემ ბევრი რამ იცის და ამიტომ არ აწყობთ იგი, მაგრამ ეს ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს. თუმცა, ბურჯანაძეში ანტიამერიკული არაფერია. არადა, მიუხედავად ამისა, 26 მაისს ამერიკელებმა მისცა ჩვენს ხელისუფლებას ნებართვა — დაცხეთო. დღემდე ბურჯანაძე ზედმეტია აშშ-სთვის. ნინო ბურჯანაძე აშშ-ს ფეხქვეშ არ გაეგება, თუმცა რომ ფრთხილობს, ამას ვხედავ. თუკი ამერიკელებს სააკაშვილთან ერთად ვინმე უნდათ გააყოლონ, ეს ნინო ბურჯანაძეა. ივანიშვილმა ოპოზიციად დაასახელა — ნინო ბურჯანაძე, სალომე ზურაბიშვილი და ირმა ინაშვილი. მინდა გითხრათ, რომ სამივეს დასახელება შეცდომა იყო. ამერიკელებმა იციან, რომ ინაშვილს პარტია არ აქვს და პრეზიდენტი ვერ იქნება, დარჩა ზურაბიშვილი და ბურჯანაძე. აშშ-ს აწყობს ზურაბიშვილი და არ აწყობს ბურჯანაძე. სააკაშვილი ამერიკელების ენით ლაპარაკობს.

აქვე კიდევ ერთი მაგალითი მინდა მოვიყვანო, თუ სად ჩანს სააკაშვილს ანტიქართველობა — გამოვიდა და მიტინგზე პოლიციას მადლობა მოუხადა. იგივე პოლიციელმა 26 მაისს სხვა რამ გააკეთა. პოლიციელს კი არ ეკუთვნის ეს მადლობა, არამედ ეს მადლობა ბიძინა ივანიშვილს, შსს მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს ეკუთვნის — ყოჩაღ, მას. მინისტრი თუ სხვა რამეს დაავალებდა, პოლიცია შესაბამისად მოიქცეოდა. 26 მაისს პოლიციას დაავალეს სცემეთ ეს ხალხიო და გვცემეს. მივმართავ რიგით პოლიციელებს — ახლა, მაინც ხომ მიხვდით, რომ ბრძანების გამცემი იყო უბედურების სათავე, ვინც 26 მაისს თქვენს ძმებზე ხელი აგაწევინათ. აბა, ვანო მერაიშვილს არ დაუვალებია და ისე აკეთებდნენ ამ ყველაფერს?




დღეს ბატონ ბიძინას ჩვენს სამართლიანობის მანიფესტს ვუგზავნით. თუ საშუალება იქნა მინდა, რომ გაზეთებმა დაბეჭდონ. ჩვენ ვამბობთ — სამართლიანობის აღდგენა კი არ გვინდა — ეს არ ყოფილა ქვეყანაში და მისი აღდგენა არ შეიძლება, სამართლიანობის დადგენაა საჭირო. თუ ამ განწყობით ვიმოქმედებთ, საქართველოს დიდი მომავალი ექნება. ჩვენი პრემიერ-მინისტრი ქვეყნისთვის შანსია. კარგი გაგებით ვამბობ, ახალი არჩევნები პრემიერ-მინისტრის და ქვეყნის გადარჩენა იქნება. მომავალი წლიდან ახალი კონსტიტუცია ამოქმედდება და ივანიშვილი დიდი ფიგურა ხდება. და კიდევ ერთი, დღევანდელი „ნაციონალური სპექტაკლი“ იყო კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ უსამართლო გარემოში ყველა მართალია, დასჯილია ხალხი, ინგრევა ქვეყანა. სწორედ სამართლიანობის დადგენაშია საქართველოს მომავალი და სულ მალე პრემიერ-მინისტრი და საქართველოს მთავარი პროკურორი მიიღებენ „თეთრების“ „სამართლიანობის მანიფესტს“.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# როგორ ბედავენ „ნაციონალები“, რომლებიც ტრანსმუტანტის შექმნას ცდილობდნენ, ეროვნულ მოძრაობაზე ილაპარაკონ?

*გვესაუბრება „სახალხო კრების“ წარმომადგენელი **ირაკლი ბათიაშვილი:***

**— ბატონო ირაკლი, როგორ შეაფასებდით 19 აპრილის აქციას, რომელიც „ნაცმოძრაობამ“ გამართა?**

— აღნიშნულმა აქციამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ განწირულია იმისთვის, რომ საბოლოოდ ჩაბარდეს წარსულს. მათ ეს აქცია რამდენიმე თვე ამზადეს. არაფერს იშურებდნენ — ფულს, ადმინისტრაციულ რესურსს რათა რაიონებიდან ჩამოეყვანათ ხალხი და გაემრავალრიცხოვნებინათ მიტინგი, ტელევიზიებით მუდმივად ხდებოდა აქციის დაანონსება. ყველას კარგად გახსოვთ, რომ სააკაშვილის რეჟიმის დროს ოპოზიცია უმძიმესი ტერორის, სატელევიზიო ბლოკადის პირობებში ახერხებდა ათჯერ და უფრო მეტი რაოდენობის ხალხის მობილიზებას. იმ განსხვავებით, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ „ნაციონალურ მოძრაობას“ სრული ოაზისი შეუქმნა, ყველანაირი შეღავათები მისცა, ისინი არანაირ წნეხსა და წინააღმდეგობას არ გრძნობდნენ, მიუხედავად ამისა, ჩვენ ვნახეთ ამ აქციის „მასშტაბები“ — თავიდანვე გასაგები იყო, რომ ამ მიტინგის დანიშნულება გახლდათ დასავლეთისთვის გაეხმოვანებინათ, რომ მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“ არის ვითომ მყარად პროდასავლური კურსის ერთგული და ყველა სხვა: „ქართული ოცნება“, ნინო ბურჯანაძე თავისი პარტიით, არიან პრორუსული ორიენტაციის.

**— რაც არ უნდა გასაკვირი იყოს ჩვენთვის, აქციაზე ითქვა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ იწყებს ახალ ეროვნულ მოძრაობას.**

— ეს იყო შეურაცხმყოფელი. არა მარტო ჩემთვის, არამედ იმათთვის, ვინც იყო საბჭოეთის დროს ამ მოძრაობის სათავეებთან. თურმე ახალ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას იწყებენ: გოკა გაბაშვილი, გიგი უგულავა, ვანო მერაბიშვილი, გიგი წერეთელი. ეს კიდევ ერთი შეფურთხება და შეურაცხყოფაა ქართველი ხალხისათვის.

„ნაციონალებს“ თანმიმდევრულად ყველაფერს აკეთებდნენ იმ შორეული მიზნისათვის, რათა აღმოეფხვრათ ქართული ეროვნული ცნობიერება, რომ შეექმნათ ახალი ტიპის ადამიანი, ახალი, გადაგვარებული ცნობიერებით, თუ შეიძლება ითქვას, ტრანსმუტანტი, და არა ქართველი, ყველამ ხომ კარგად ვიცით. ეს იყო ბოკერიას, თავისუფლების ინსტიტუტის, კმარელების იდეოლოგია. „ვარდების რევოლუცია“ ამ იდეოლოგიაზე იდგა. ამ იდეოლოგიის მატარებელი და მქონე ადამიანები ჩემულობენ, მიიწერონ ეროვნული მოძრაობის სახელი. გიმეორებთ, ეს არის ყველა ჩვენგანისთვის უდიდესი შეურაცხყოფა, გამოწვევა. ამ გადაგვარებული, ტრანსნაციონალური ცნობიერების მქონე ადამიანებს არავითარი უფლება არა აქვთ, საერთოდ, ახსენონ ეროვნული მოძრაობა. ახლა ესენი ეროვნულ მოძრაობაზეც იტყვიან, მართლმადიდებლურ ეკლესიაზეც, პატრიოტიზმზეც ილაპარაკებენ, ყველაფერზე, იმისთვის, რომ თავიანთ ჭკუაში ხელახლა მოიპოვონ ხალხის მხარდაჭერა, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ეს გახლავთ აბსოლუტურად ფუჭი მცდელობა, რადგან „ნაცმოძრაობას“ აღარ უწერია ისტორიულ-პოლიტიკურ არნაზე დაბრუნება, დროის ჩარხს უკან ველარავინ დააბრუნებს, საბედნიეროდ.

**— პირადად ჩემთვის ამაზრზენი შთაბეჭდილება დატოვა იმ გარემოებამ, რომ ტრიბუნაზე იყვნენ ადამიანები, რომლებიც სისხლში არიან ამოსვლნი.**

— იცით, რა, ეს ყველაფერი უკვე ამ ხელისუფლების ბრალია, რომ საქმე აქამდე მიიყვანეს, ამის მაგივრად ეს ადამიანები სოროებში იყვნენ — ვანო მერაბიშვილები და სხვები მათი მსგავსნი, ჰქონდეთ შიში, სინანულის, სირცხვილის გრძნობა იმ უზარმაზარი შეცდომებისა და დანაშაულებების გამო, რაც მათ ჩადენილი აქვთ, ამის ნაცვლად ეს ადამიანები უკვე ისე გადიდგულდნენ, რომ ახლა დგანან მაღალ ტრიბუნასთან და ზემოდან, სცენიდან გვმოძღვრავენ. ეს შედეგი მივიღეთ ეგრეთწოდებული „კოჰაბიტაციის“ პოლიტიკის შედეგად.



**— ბატონო ირაკლი, თქვენ კოჰაბიტაციაზე საუბრობდით. თქვენი აზრით, როგორ უნდა იმოქმედოს დღევანდელმა ხელისუფლებამ, რა უნდა გააკეთოს?**

— ჩემი აზრით, დღევანდელმა ხელისუფლებამ უნდა იფიქროს არა კოჰაბიტაციაზე, გაუთავებელ დისკუსიებზე, ვთქვათ, კაკო მინაშვილთან, დავით დარჩიაშვილთან ან თუნდაც იგივე ჩიორა თაქთაქიშვილთან, რითაც შევსებულია დღევანდელი პოლიტიკური დღის წესრიგი, უნაყოფო დებატებს უყურებს ჩვენი საზოგადოება. საქმე უნდა აკეთოს ხელისუფლებამ, რომელიც მრავლად არის დაგროვილი როგორც საშინაო, აგრეთვე საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე. მათ უნდა აჩვენონ რეალური შედეგები ეკონომიკაში, დასაქმების, სოფლის მეურნეობის, საგარეო პოლიტიკის კუთხით, ამასთან შეასრულოს ჩვენი საზოგადოების მთავარი დაკვეთა. სამართლიანობის აღდგენა მთავარია, ჩვენმა ხალხმა დაინახოს, რომ ნამდვილად მოუწევთ სისხლის სამართლის პასუხისგება. ყოფილი რეჟიმის წარმომადგენლებს უმძიმეს დანაშაულებებზე და ამასთან, დაინახოს რომ რეალურად და სწრაფად მიმდინარეობს მართლმსაჯულების რეფორმა სისტემაში, რადგან რეალურად ვიხილოთ დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, რომელიც გადაწყვეტილებებს, არა სააკაშვილის დაკვეთით გამოიტანს, არამედ იქნება ობიექტური.

**— დღევანდელ ხელისუფლებას საყვედურობენ ნელა მოქმედებენო...**

— ოქტომბრის არჩევნებიდან ერთი თვის შემდეგ ყველას გვერიდებოდა შედეგებზე საუბარი და ვამბობდით, ჯერ ცოტა დროა გასულიო. დეკემბერშიც, იანვარში, თებერვალში, მარტშიც, ახლა აპრილი რომ გადის, ახლაც ვამბობთ ბევრი დრო არ გასულაო. თუმცა იმდენი დრო გავიდა, რაღაც შედეგები უნდა გვენახა. თუნდაც რეზონანსული საქმეების გამოძიების თვალსაზრისით. საზოგადოებაში ჩნდება ეჭვი, ხელოვნურად და სპეციალურად ხომ არ ხდება, რომ ყველაფერი ფერხდება. საზოგადოებაში ის ეჭვიც ჩნდება რაიმე გარიგებას ხომ არ აქვს ადგილი? პროკურატურაში საჩივრები ხალხს მასიურად აქვს შეტანილი.

**თუ ვინმე პოლიტიკური მოტივებიდან გამომდინარე ანგარიშს უწევს „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის წარმომადგენლებს, კი, მაგრამ ანგარიში არ უნდა გაეწიოს აფრასიძეების, ზურაბ ჟვანიას, გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის ოჯახებს? ვალერი გელაშვილს არ უნდა გაეწიოს ანგარიში? გია კრიალაშვილის ოჯახს ანგარიში არ უნდა გაეწიოს? ამ საჩივრების იგნორირება შეიძლება აღმოჩნდეს არანაკლები დანაშაული, ვიდრე მთელი დანაშაულებრივი აქტები, რაც ჩაიდინა წინა ხელისუფლებამ.**

ჩვენ მადლიერები ვართ ბატონი ბიძინა ივანიშვილის პირველი ოქტომბრის გამო, რომ უმტკივნეულოდ მოგვაშორა „ნაცმოძრაობის“ რეჟიმი, თუმცა ისევ მათ ვუყურებთ გაუთავებლად, სააკაშვილს, მერაბიშვილს, უგულავას, საზოგადოება წუხს ამაზე. ეს უკვე პათოლოგიური სიტუაციაა. საზოგადოებას უნდა დაენახა, რომ ქვეყანა წინ მიდის. მადლიერების გრძნობა არსებობს, მაგრამ ახლა გვინდა რეალური წინსვლა და შედეგები.

**გია ბურდული**
551 71 27 07

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

მაშ “ახლა „ეროვნული მოძრაობა ვართო“ არა? :))))))))) ეროვნული ღირებულებების საფუძველი თუ იცით — ვაბშე რა არის??? “მამული, ენა, სარწმუნოება” — ესეთი ცნება თუ გაგიგიათ???

პარტია, რომლის გენერალური მდივანი ივანე მერაბიშვილია, ეროვნულობაზე საერთოდ ხმას როგორ იღებთ??? ამ ტიპმა და თქვენი პარტიის მმართველობამ:

1) რუსებს გადაუფორმა ძირძველი ქართული მამულები!

2) გამართულად ვერ ფლობს ქართულ ენას!

3) საქართველო 337 წლიდან ითვლება მართლმადიდებლურ სახელმწიფოდ და არც ერთი დღე არ ყოფილა კათოლიკური, რომელი სარწმუნოების წარმომადგენელიც ეს სუბიექტია!




მაშ, ამიხსენით, რომელი „ეროვნული მოძრაობა“, ხართ, თქვე უთვისტომო ნაბიჭვრებო?!

გოგა, შე უბედურო, ამას რა უჭირს, შენ ის იდარდე, ბორდელშიც თუ ინვოისებით დადიხარ

ისე ჩემთვის იმ მიტინგზე მისული ყველა ადამიანი მართლაც მკვლელი თუ არა, სულ ცოტა მკვლელობისა და ძალადობის მხარდამჭერია. ყველა იქ მისული ადამიანის თანხმობით არის მოკლული პოლკოვნიკი თეთრაძე, ნაწამები და დასახიჩრებული უამრავი ადამიანი. სიკეთესა და ბოროტებაზე სრულიად, რადიკალურად განსხვავებული წარმოდგენები გვაქვს ჩვენ და მათ. ისინი ძალადობის აღდგენას უჭერენ მხარს, რეალურად მხოლოდ მკაცრი ხელი ენატრებათ და საკუთარი კეთილდღეობა აღელვებთ, თუნდაც სხვების ღირსებისა და სიცოცხლის ფასად. მათ მიერ ასე ხმამაღლა დეკლარირებული ევროპული არჩევანი სრული ფიქციაა, რადგან ევროპული ღირებულებების ცენტრში სწორედ ადამიანი, მისი სიცოცხლე და ღირსება დგას.

## პეტრე მამრაძე:

# დღეს მერაბიშვილი დამატებით ლურსმნებს აჭედებს ნაციონალების კუბოზე

***ვესაუბრებით არასამთავრობო ორგანიზაცია „სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის“ ხელმძღვანელს ბატონ პეტრე მამრაძეს***

**— ბატონო პეტრე, ორი თვეა მთელ საქართველოს ჰქონდა 19 აპრილის აქციის განსაკუთრებული მოლოდინი, ვანო მერაბიშვილმა წინასწარ ისიც განაცხადა, რომ ამ დღეს ბევრი ახალი რამ გაირკვეოდა, თუმცა, მოლოდინი არ გამართლდა.**

— მე ამ ადამიანებს, რომელნიც იქ იყვნენ შეკრებილნი ხელისუფლების მხრიდან, საკმაოდ ახლოს ვიცნობ და თავიდანვე გამოიკვეთა მათი მიზანი, ეს იყო ერთად სურათის გადაღება — თავად რომ „კარტინკას“ ეძახიან. სააკაშვილისათვის პოლიტიკა არის „შოუ“, ამიტომ სწორედ ეს გვიჩვენა მან. **„შოუ“ დადგმული იყო „ხაზინის ქურდების“ მიერ, იმ ხალხის მიერ, რომელნიც წლების განმავლობაში ეწეოდნენ ანტიეროვნულ და ანტიდასავლურ საქმიანობას,** რომელმაც არა მარტო გაალატაკა ქვეყანა არამედ ჩვენი სვლა დასავლეთისკენ შეაჩერა და ამ მიმართულებას დაგვაშორა.

ყველაფერ ამის გადაფარვა სურდათ ამ აქციით ანუ სატელევიზიო სურათით და რეალურს მოწყვეტილი დემაგოგიით. ჩვენ ყველამ ვიცით როგორ ემზადებოდნენ ორი თვის განმავლობაში, რა თანხებს ხარჯავდნენ და შეაგროვეს იმ ხალხის რაოდენობა, რაც ვიხილეთ ანუ უმცირესი, დაახლოებით 10 000 კაცი. ეს ის ხალხი იყო, ვინც დანაშაულებრივი კავშირით არიან მათთან შეკრული. ეს იყო საცოდაობა, უსუსურობა.

მათ ლოზუნგებს რომ ვისმენდი მახსენდებოდა ერთი გამონათქვამი, რომ „პატრიოტიზმი არის ნაძირალების თავშესაფარი“ — ასეც გახლდათ — სულ „პატრიოტები“ იყვნენ ყველანი, ვინც საკუთარი მიზნებისათვის ხარჯავდნენ სახელმწიფო ბიუჯეტს.

არ შემიძლია არ შევაფასო მარიკა ვერულაშვილის გამონათქვამი, რომ **„დღეს ვანო მერაბიშვილის გვერდში დგომა არის დანაშაული“ — ეს სრული სიმართლეა!** მერაბიშვილი წლების განმავლობაში ზრუნავდა იმაზე, რომ ის ყოფილიყო ერთადერთი დასაყრდენი პრეზიდენტისათვის, თუმცა, ამას ვერ მიაღწია. მე მას ვუწოდე **ტერმინატორი,** იმიტომ, რომ მისი ნებისმიერი ქმედება ისეთ ფაზაში შევიდა, რომ მისი მუშაობა ყველა მიმართულებით გახდა კონტრპროდუქტიული. თუნდაც ახლა, „ნაცმოძრაობის“ პარტიის გენმდივნის პოსტზე მუშაობით **ის ფაქტობრივად ისე იქცევა, რომ დამატებით ლუსმნებს**



**აჭედებს „ნაციონალების“ კუბოზე!**

ერთი პერიოდი ეჭვიც კი შეეპარათ, რომ ხომ არ იყო ის ივანიშვილის კაცი, ისე ცუდად იქცეოდა ამ პარტიის მიმართ. 19 აპრილის აქციაზე მას ჰქონდა **„კუთხეში მიმწყვდეული დამნაშავე ბავშვის სახე“, რომელსაც** სურდა ეჩვენებინა რომ ყველაფერი კარგად არის. პარტიაში მას შეიძლება „ხერხემალს“ ეძახდნენ, **მაგრამ ის ყოველთვის იყო „მონსტრი“** — ლატინინამ მას ასე უწოდა. დღეს მის ძალაუფლებას წარმოადგენს ის, რომ მერაბიშვილი განკარგავს „ობშიაკს“ და აქვს გარკვეული კომპრომანტები. ეს არის და ეს! თუმცა ისიც მინდა აღვნიშნო, რომ მგონია „ნაციონალურ“ ჯგუფს არ უწერია ბოლომდე ერთობა!

**— აქციის მონაწილეებს გაზეპირებული ჰქონდათ ერთი ფრაზა, სლოგანი, რომ არ უნდათ გადაუხვიონ ევროპული გზიდან, რას ნიშნავდა ყოველივე ეს და საერთოდ ცნობილი „7 ნოემბერი“ ან „26 მაისი“ — ევროპული გზა იყო? რატომ გახდა ეს ფრაზა დღეს ასე მნიშვნელოვანი?**

— უცხოელი იმიჯმეიკერების დახმარებით, ძირითადად ამერიკელი სპეციალისტების მიერ — შეიქმნა ეს ფრაზა. აქვე მინდა ხაზი გავუსვა, ისინი დაქირავებული მუშაკები არიან და ყველას ეხმარებიან თანაბრად, ეს იქნება პუტინი, სანაკოევი თუ სხვა. სწორედ მათ მიერ შეიქმნა ეს ფრაზა „წინ ევროპისაკენ — არ გვინდა რუსეთი“. ეს გახლავთ თანამედროვე სარეკლამო მეთოდების ჩანერგვა პოლიტიკაში, რაც მსოფლიოში მიღებული და აპრობირებული მეთოდია. ეს გამოიყენეს ნაციონალებმაც. ამით ვერაფერს აღწევენ გარდა ერთისა რომ ევროპის ტელევიზიებით გავიდა საინფორმაციო გადაცემები. სადაც იტყოდნენ, რომ საქართველოს დედაქალაქში შეიკრიბნენ სააკაშვილის მხარდამჭერები, რომელთაც სურთ რომ ქვეყანას ჰქონდეს ევროპული ორიენტაცია, ევროპული გზა.

პოლიტოლოგი **რასელი** თავის დროზე წერდა, რომ თუ ეს მეთოდები დაინერგება პოლიტიკაში, ვის ხელშიც იქნება მასმედია, ის ყოველთვის იქნება გამარჯვებულიო. ასეც არის, მაგალითისათვის ბერლუსკონეს რა უქნეს, რა არ თქვეს მასზე, მაგრამ მედიამაგნატია და ვერაფერი დაუმტკიცეს.

პოლიტოლოგი **ლინკონ მიტჩელი** გარკვევით წერდა, რომ სააკაშვილი რუსულ საქმეს აკეთებს საქართველოშიო“, ამ ფონზე რომ გამოხვალ და ევროპულ გზაზე და ორიენტაციაზე ისაუბრებ და მოუწოდებ ხალხს, ეს არის უმაღლესი ცინიზმი!

**— ბატონო პეტრე, თქვენ ახლოს იცნობთ და მეგობრობთ ჰაიდი ტალიავინთან, დღეს „ნაციონალებს“ ძალიან აშფოთებთ ასევე ის, რომ არ მოხდეს 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიება, რომელი საქმეც თავის დროზე ტალიავინის კომისიამ შეისწავლა, ფიქრობთ, რომ სააკაშვილის გამოძიებაში ჩართვა და დაკითხვა ქვეყნის იმიჯს დააზარალებს?**

— პირიქით, ეს გამოძიება ქვეყნის იმიჯისათვის აუცილებელია, წარმოიდგინეთ მილოშევიჩი რომ დღესაც არ იყოს გასამართლებული მის ქვეყანას წაადგებოდა? ცხადია არა. ვინ დაიწყო ომი, ეს უკვე გარკვეულია, მაგრამ ადამიანთა უფლებები რომ შეილახა და გარკვეული ადამიანები უკვალოდ გაქრნენ — ეს გამოძიებული უნდა იქნას! ამით გამოჩნდება, რომ საქართველო არის დემოკრატიული, სამართლიანი ქვეყანა და აქ მთავარია კანონის უზენაესობა. მხოლოდ ამის შემდეგ ჩვენ გაგვეხსნება გზა იქითკენ, რომ დავიწყოთ დიალოგი ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან.



ვოვა სანაკოევი „ფსბ“-ს თანამშრომელი იყო და „ფანდარასტის“ პროგრამა რომ ჩაატარებინეს რა გამოვიდა? მან ბურთივით ათამაშა როგორც სააკაშვილი, ისე მერაბიშვილი და ბოლოს აქედან წავიდა.

სააკაშვილი რომ ამბობდა, რუსეთს ცხინვალი არ აინტერესებთ, ეს ჩემთან პუტინს წამოსცდაო, არ არის ეს გამოსაძიებელი? აწ გარდაცვლილმა გია არსენიშვილმა ომის დღეებში მითხრა, თემურ ალასანიამ — პრეზიდენტის ბიძამ მითხრა, რუსებთან ყველაფერი გარკვეულია, ცხინვალს ორ დღეში ავიღებთო — ეს არ არის გამოსაძიებელი? რაც შეეხება პარტიულ სახეებს, მათ რომ ჭკუა ჰყოფნიდეთ, უნდა ჩამოიცილონ ის ხალხი, რომელნიც საზოგადოებას სერიოზულად აღიზიანებს. ბოკერია, მერაბიშვილი, წიკლაური და სხვები სერიოზულ ზიზღს იწვევს ყველაში. როგორც არ უნდა „ეროვნული მოძრაობა“ დაირქვან, ამ ხალხით ვერასოდეს გაიმარჯვებენ, მათ პოლიტიკური მომავალი არ აქვთ! სააკაშვილს რომ ცოტა ჭკუა ჰყოფნოდა, ციხის კადრების შემდეგ მაშინვე უნდა დაეპატიმრებინა როგორც ახალაიები, ასევე მერაბიშვილი. მან კი მერაბიშვილს დაავალა საქმის გამოძიება — ეს იყო სიგიჟე!

ამ ხალხს პოლიტიკური მომავალი არ გააჩნიათ იმდენი ბოროტება აქვთ ჩადენილი.

ერთი რამ მინდა ვთქვა, ვხედავ, რომ თბილისშიც და რეგიონებშიც, უკმაყოფილო ხალხის რიცხვი ძალიან იზრდება, მათთვის არაფერი არ შეცვლილა ჯერჯერობით, ამას უცხოელი ექსპერტებიც ადასტურებენ. თვითმართველობებში მუშაობა ძნელად მიმდინარეობს, ასევე, კომუნიკაციის პრობლემებია ახალ ხელისუფლებაში. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს პრობლემები დროზე არ მოგვარდეს **და არ გამოჩნდეს მესამე ძალა,** რომელიც ყოველივე ამას მოაგვარებს, თორემ თუ ამ ყველაფრით ისარგებლებენ „ხაზინის ქურდები“ ანუ „ნაციონალები“ — საქმე ძალიან ცუდად განვითარდება. ეს იქნება ეროვნული ტრაგედია!

**ეთერ კასრელიშვილი**
**599 110 200**

---

5 ათასი ნაციონალი ქუთაისიდან შეუერთდება მიტინგს განაცხადა ნაცმოძრაობის სახემ უკლებამ საპარლამენტო ქალაქიდან. შე პირქვე გადაკუზულო, ტიტანიკს გამოაყოლე ეგ ხალხი? 5 ათასი სულ არ იყო მთლიანად მიტინგზე)))))

ხვალ ვანოსთან მივდივარ, აბა, ერთი არ დაუსაქმებივარ და მიტინგს მერე ნახავს. გათახსირებულები ესენი. კბილაშვილის კისერზეა ამათი დღევანდელი ღლაბუცი.

სამძიმარს ვუცხადებ ვანო მერაბიშვილს ახალი ეროვნული მოძრაობის ჩანასახში დაღუპვის გამო...

არმაგედონს აანონსებდნენ და 2 თვის პრომოკამპანიის, ძალების უკანასკნელი დაძაბვის შედეგად, იმ ფონზე, რომ არავითარი საშიშროება ამ მიტინგზე მოსულ ხალხს არ ემუქრებოდა, შეძლეს მხოლოდ ის, რაც გადასარევად ჩანს ინფო 9-ის მიერ ზევიდან გადაღებულ კადრებში. აი, მათი რეიტინგი - 5-6 პროცენტი და არც ერთი პროცენტით მეტი. მაგარი დღე იყო, ძალიან მაგარი.




26 მაისს მეტი მკვლელი ჰყავდათ მობილიზებული ამ დედააფეთქებულებს, ვიდრე დღეს ძონძი!!

ხომ აუსრულეთ უკანასკნელი ოცნება, მიტინგი ჩაგვატარებინეთო? დაიჭირეთ ახლა მაგათი დედაც...!

დღეს შსს-მ იმაზე ბევრად ეფექტურად იმუშავა, ვიდრე ამას ზოგზოგიერთი ვარაუდობდა. არავისთვის უცხო არ არის, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრებზეც და მათ მხარდამჭერებზეც ბევრი ადამიანია გაბრაზებული. შსს-მ ეს ტესტი ჩააბარა, აქციის არც ერთ მონაწილეს არც ერთი ნაკაწრი არ აქვს.

სანდო წყაროს ცნობით, სააკაშვილმა ამჯერად ვანო მერაბიშვილი “გადააგდო”... პირველკაცობისთვის გამზადებულ ვანოს, მიშას მოსვლით ამდენი ნაჩალიჩარი წყალში ჩეყარა და ამიტომაც დატოვა მიტინგი პრეზიდენტის ისტერიული გამოსვლის ფონზე.

ერთი რამ მეჩვენა საგულისხმოდ:: რუსული გამოცემების თანახმად, “ანტირუსულ მიტინგში” 20 000 კაცი მონაწილეობდა და რაც უფრო დასავლეთით მივდივართ, მით უფრო იკლებს ეს ციფრი - გუგლი, საერთოდ 3-4000-ს ასახელებს... ახლა როგორ დავიჯერო, რომ ეს მიტინგი იყო ევროპული და ანტირუსული?



# მჯერა, ნაძალადეველები 27 აპრილს ქვეყნისთვის სასარგებლო არჩევანს გააკეთებენ!

„საერთო გაზეთის“ სტუმარია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი **სოსო მანჯავიძე**

**— ბატონო სოსო, გარდა იმისა, რომ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი ხართ, შუალედურ არჩევნებში ნაძალადევის რაიონის ერთ-ერთი მაჟორიტარი კანდიდატი ბრძანდებით, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მცირეოდენი გაელვების გარდა, ვერსად მოგკრათ ამომრჩეველმა თვალი ეთერში — რაშია საქმე?**

— სრულ საინფორმაციო ბლოკადაში ვარ, ერთადერთი „ობიექტივი“ და ზოგჯერ „პალიტრა“ მითმობს დროს. სამწუხაროდ, როგორც ვხედავ, ტელევიზიები აგრძელებენ მანკიერ პრაქტიკას, არც არჩევნები აწუხებთ, არც პროფესიული ეთიკა, არც არაფერი მსგავსი. ხასგასმით ვამბობ, ისიც კი არ გააშუქეს, რომ ბიძინა ივანიშვილი და ჩვენი გუნდი ნობელის პრემიის ნომინანტები გავხდით — აბსოლუტური დუმილია. ეს კომიკურიც აღარ არის უკვე, ეს სრული მარაზმია...

**— თქვენ რას თვლით ამის მიზეზად თუ მოტივად.**

— ეს არხები პირადად კონტროლდება ლიბერასტული ძალის მიერ მიერ და რა თქმა უნდა, მე იქ არასასურველი ვარ — ვინაიდან, ჩემი მიზნები იციან, პარლამენტში რომ აღმოვჩნდე, იმდენად არ უნდათ, სრულიად წარმოუდგენლადაც მიაჩნიათ და მაქსიმალურად ცდილობენ, რომ საინფორმაციო დიქტატურა განახორციელონ. ეს სისტემა როგორც ფუნქციონირებს, მშვენივრად მოგეხსენებათ — ის პოლიტიკური სისტემა, რომელიც ამათ საქართველოში დაამკვიდრეს, ვერ იარსებებს ძალადობის გარეშე. ცნობილი ამბებია, ამიტომ, აღარ განვავრცობ, მაგრამ გამოკვეთილად ჩანს, რომ ახლა ცდილობენ, ძალადობრივი სისტემა შეცვალონ საინფორმაციო დიქტატურით, საინფორმაციო ტერორით, დაამყარონ მკაცრი კონტროლი საინფორმაციო საშუალებებზე — ეს არ გამოვა! თქვენ ნახეთ ახლა „ნაციონალური მოძრაობის“ რეინკარნაციის სასაცილო მცდელობები, იგივე მოუვა ამ საინფორმაციო დიქტატურის განხორციელების მსურველებს, ძალზე სამარცხვინოდ ჩაეფუშებათ განზრახვა.

**— ამ ფონზე როგორ გრძნობ თავს როგორც კანდიდატი, კმაყოფილი ხარ იმ საინფორმაციო ვაკუუმის გარღვევით, რასაც საკუთარი ძალისხმევით აწარმოებთ?**

— სხვათაშორის, აღმოჩნდა, რომ ამომრჩეველმა ძალიან კარგად იცის ვინ ვარ. გარდა ამისა, ჩვენ სხვა მეთოდით ვიმუშავეთ, დავარიგეთ გაზეთები, კიდევ დავარიგებთ, ჩატარდება ჩვენი მხარდასაჭერი გრანდიოზული კონცერტი *(საუბარი ჩაწერილია 20 აპრილს — მ.ჭ)*, სადაც მონაწილეობას მიიღებს ის ქართული ეესტრადა, რომელიც ამ ცხრა წლის განმავლობაში მიჩქმალული ჰყავდა სააკაშვილის ხელისუფლებას — სხვადასხვა უნიჭო და უზნეო მოქმედებები ხდება გარკვეული ძალებიდან, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მოვიგებთ ამ არჩევნებს!

**— ეს სურვილია თუ რეალური სურათი.**

— მე ძალიან კარგად ვიცი, ნაძალადეველების განწყობა და აუცილებლად ჩვენი გამარჯვებით დამთავრდება, მაგრამ ეს იქნება კიდევ ერთი სამარცხვინო ფურცელი საქართველოს უახლეს ისტორიაში, რომ ხდება ამის წარმოუდგენელი საინფორმაციო ბლოკადა. უკვე იუმორით ვუყურებ რაც ნათლად ჩანს, როგორ ასრულებენ ადამიანები გარკვეული პირების პირდაპირ დავალებებს, როგორ ცდილობენ გააპიარონ თავისი კანდიდატი და როგორ მოსდევს ამას საზოგადოების აღშფოთება.



**— საზოგადოებაში გაუგებრობას ხომ არ იწვევს „კოალიციის“ შუალედურ არჩევნებში კანდიდატად თამარ კორძაიას დასახელება, როგორც „საია“-სა და შესაბამისად „რესპუბლიკური პარტიის“ წევრისა.**

— რა თქმა უნდა, წამოაყენეს „რესპუბლიკელის“ კანდიდატურა... რაც შეეხება ბატონი ბიძინას ნათქვამს, რომ მიესალმება „მესამე ძალას“ და კიდევ სხვას და სხვას, კიდევ უფრო გააკერპა და გაკაპასა ეს ხალხი. ბოკერიამ ღია ეთერში პირდაპირ ფაშისტებიც კი გვიწოდა ჩვენ, სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის იდეოლოგმა, რომელიც ისევ ძალადობს პოლიტიკური პარტიების მიმართ, სატელევიზიო დებატებში გამოდის და ისევ იგივე ფუნქცია აქვს — აი, ასეთი სიტუაციაა.

**— ბატონო სოსო, იმედი გაქვთ, რომ გაიმარჯვებთ?**

— იმედი კი არ მაქვს, მოვიგებ!

**— რა განწყობაა, ვისკენ იხრება ნაძალადევის რაიონის ამომრჩევლის სიმპათიები?**

— სამი დღის წინანდელი კითხვარებიდან გამომდინარე, დაახლოებით ერთნაირი რეიტინგი გვაქვს მე და თამარ კორძაიას, შემდეგ, დიდი სხვაობით მოდის კახა კუკავა, არანაირი რეალური შანსი არ აქვს გიორგი გუგავას, ასე ვთქვათ, კოაბიტაციის პროცესის ჩასაშხამებლად მონაწილეობს...

**— კონკრეტულად რას პირდებით ამომრჩეველს, რაზე იღებთ პასუხისმგებლობას.**

— ერთი — სამართლიანობას, მეორე — ვადამდელი საპარლამენტო და ადგილობრივი არჩევნების ჩატარებას, საპრეზიდენტოს — შევეცდები, დანარჩენი, ქვეყნის უსაფრთხოებაზე, მის განვითარებაზე და ა.შ უკვე პროგრამაშია და ცნობილია ყველასთვის.

**— პირადად თქვენი განწყობაა, რომ პარლამენტი უნდა დაიშალოს და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები უნდა დაინიშნოს. აბა, ამ ინტერესის მქონე კაცს ვინ გამოგაჩენთ ეთერში.**

— რას ვიზამთ, ასეთი ვითარებაა... მე ჩემს პოზიციას არ ვცვლი, ასეც გავაგრძელებ, შუალედურ არჩევნებში გავიმარჯვებ და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებიც ჩატარდება — ეს იქნება საქართველოსთვის თავსმოხვეული სქემის კრახი და საერთოდ, ნეოლიბერალური მმართველობის დასასრული და საქართველოს განთავისუფლების დასაწყისი! როდესაც ეს პროცესი განხორციელდება, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი ეროვნული პროცესების დაწყება.

**— რას ამბობთ, „ეროვნული ძალა“ უკვე მოვიდა 19 აპრილს გვარიანად შეფერთხილი „ნაცმოძრაობის“ სახით.**

— ძალიან კომიკური სიტუაცია იყო... „ნაცმოძრაობის“ ამბავი დამთავრდა ქუთაისში, როდესაც ქუთაისის მერი გადავაყენეთ. ამის გამო გააფთრებული გვეძგერნენ ყველანი...

გასაგებია, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამ ფორმით ველარ იარსებებს, ამიტომ, ახლა აქტიურად მიმდინარეობს მისი რეინკარნაციის სამუშაოები, რაშიც თვითონ ბოკერია ერთვება.



იგი ყველანაირად შეეცდება, რომ იგივე იდეოლოგიური მიმართულების დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა ჩამოაყალიბოს.

ის ნეოლიბერალური მიდგომები, რომელიც ხელისუფლების მხრიდან იყო და არის საქართველოში, ერთნაირად მიუღებელია, რადგან, საქართველოში ეროვნულ, კონსერვატულ ღირებულებებზეა მოთხოვნილება, რაც ბუნებრივია. ადამიანს აქვს არჩევანის უფლება და არჩევანის თავისუფლება, ამიტომ, საზოგადოების ეს მოთხოვნა უნდა დაფიქსირდეს.

**— ირაკლი კაკაბაძემ მოიწერა გიგა ბოკერიას მისამართით, ერთი წელი მაინც მოგეკეტა, თორემ ისე აძულებ ხალხს ამერიკას, რეფერენდუმს ჩაატარებენ და შევარდებიან რუსეთშიო.**

— ჩვენი პრობლემა ის კი არა, რუსეთთან გვაქვს ცუდი ურთიერთობა, ამერიკასთან თუ კიდევ ვინმე სხვასთან, მთავარი პრობლემა ის არის, რომ ჩვენ, როგორც ასეთი, საკუთარი პოლიტიკური ინტერესების გამომხატველი ერთობა, არ ვარსებობთ. აქედან გამომდინარე, ყველა დაინტერესებული მხარე შესანიშნავად ახორციელებს თავის ინტერესებს საქართველოში, ისინი მხოლოდ ერთმანეთს უსმენენ და უგებენ.

რა უნდა შეძლოს და გააკეთოს ამ ფონზე ერთმა ბიძინა ივანიშვილმა ქვეყანა საქართველოსთვის, როდესაც გარშემორტყმულია ნეოლიბერალური ინტერესების გამომხატველი სხვადასხვა პოლიტიკური ძალებით. სწორედ ამიტომ, უპირველესად საჭიროა არსებობდეს ეროვნული იდეოლოგია, ძალა, რომელიც იმუშავებს როგორც ეროვნული ინტერესების დასაცავად, შესაბამისად საკადრო პოლიტიკის დასლაგებლად და საშინაო პოლიტიკური სისტემის გარდასაქმნელად ისე, რომ საკმაოდაც ძლიერი იყოს რათა გაუძლოს საგარეო პოლიტიკურ დაწოლებს.

**— მაგრამ, რაც ჩვენი ეროვნული ღირებულებებია ის რომ ვერაფრით ეთავსება ნეოლიბერალურ ე.წ ღირებულებებს?**

— ამიტომაც არის აბსოლუტურად მიუღებელი. რა თქმა უნდა, მათ აქვთ უფლება, ვთქვათ, არ მიიღონ ეროვნული ტრადიცები თუ ეროვნულიდან გამომდინარე შეხედულებები, მაგრამ ჩვენც გვაქვს უფლება, რომ არ გავიზიაროთ მათი აზრი, თუმცა კანონის წინაშე თანასწორნი უნდა ვიყოთ. როდესაც ისინი გამოხატავენ თავის არჩევანს, საკუთარ არჩევანში კარგად იყვნენ, ჩვენ ჩვენი არჩევანი გვაქვს არ უნდა შეიზღუდოს ჩვენი არჩევანის თავისუფლება — ამას უნდა არეგულირებდეს კანონმდებლობა.

**თამარ მჭავია**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# „გაყრილნი", „გადამალულნი", „გამოყოფილნი"...

19 აპრილმა ბოლოს და ბოლოს ჩამოხსნა ნიღაბი ნაციონალურ მონოლითურობას და კარგად დაანახა დაკვირვებულ თვალს, რომ რღვევა, რომელიც ნაციონალურ გუნდშია დაწყებული, თანდათან უფრო ღრმა ნაპრალებს იძენს და ამ გუნდის დაშლა, ფაქტობრივად, გარდაუვალია.

ახლა ნაციონალები ამ დაშლის ტრაგედიას და ბევრ სხვა უბედურებას **ბიძინა ივანიშვილს** მიაწერენ, მაგრამ არც მთლად ასეა საქმე. ნაციონალურ გუნდში რღვევა გაცილებით ადრეა დაწყებული, ხოლო ივანიშვილის პოლიტიკურმა გააქტიურებამ კატალიზატორის როლი ითამაშა.

გასული წლის სექტემბრის შუა რიცხვებში, როცა ვლადიმერ ბედუკაძის მიერ საპყრობილეებში არსებული გაუგონარი წამების ფაქტები გამომზეურდა, მაშინვე გაიჟღერა ინფორმაციამ — წამების ამსახველი კადრები ვანო მერაბიშვილის ხელქვეითმა გამოიტანა სისტემიდანო. ბევრს დღესაც არ სჯერა, ბევრი კი უკვე დარწმუნდა, რომ სწორედ ვანო მერაბიშვილი იყო ერთ-ერთი მალალჩინოსანი, ვინც ნაციონალურ გუნდს ფარულად და ფრთხილად დაუწყო ძირის გამოთხრა.

**გიგა ბოკერიას** საქართველოს მომავალი პრეზიდენტობა ჰქონია გუმანში, პრეზიდენტობა სურს **გიგილო უგულავასაც, ვანო მერაბიშვილი,** სააკაშვილის „ხერხემლად" აღიარებულიც პრეზიდენტობას უმიზნებს, ნაციონალების უმეტესობას **დათო ბაქრაძე** სდომებია პრეზიდენტად, პრეზიდენტობის კანდიდატად **გიორგი ვაშაძის** კანდიდატურასაც განიხილავენ თურმე ნაციონალები... ახალი ხელისუფლების ტუსაღის **ბაჩანა ახალაიას** მხარდამჭერები კი



უკვე ხმამაღლა აცხადებენ — ბაჩო მომავალი პრეზიდენტიაო!..

მოკლედ, ნაცმოძრაობა პარტია კი არა, პრეზიდენტების სამჭედლოა, აქ რიგითი ნაციონალიც კი პრეზიდენტად მოიაზრება.

როგორც ამბობენ, ნაციონალებს უკვე კარგა ხანია იდეოლოგიურად გამოჰყოფია **გიგა ბოკერია და გიგი უგულავა.** ჩემი წყაროს ინფორმაციით, **გიგა ბოკერია** „განდგომილთა" ყველაზე ძლიერი ფრთის მეთაურია. სიტყვა „განდგომილნი" იმიტომ ვახსენე, უფრო ადვილი რომ იყოს დაყოფა — ნაცმოძრაობადატოვებულნი, იქ მყოფნი, მაგრამ „გადამალულნი" (მაგალითად, **ხერხეულიძე, სამუშრაშვილი, გოროზია, ძმები კოდუები** და მისთ.) იქ მყოფნი, მაგრამ მიშას „კოჭებში" მაყურებელნი და ა.შ. მათი ჩამოთვლა მართლაცდა შორს წაგვიყვანს და არ ღირს, თავი არ მინდა შეგაწყინოთ.

ერთი სიტყვით, გიგა ბოკერიას წინააღმდეგ ნაციონალების გარკვეული ჯგუფი ისე ყოფილა გამწარებული, რომ ერთი სული აქვთ, როდის დაეტაკებიანო. სულ „პეტუხს" ეძახიან თურმე — თავის გახურებულ ცოლს — **თამარა ჩერგოლეიშვილს** ვერ თოკავს და ქვეყანას როგორ უნდა მიხედოსო?!

**გიგა ბოკერიას** ახალი ნაციონალური ფრთის ჩამოყალიბება, როგორც მითხრეს, არჩევნების შემდეგ დაუწყია და **დავით საყვარელიძისთვისაც** შეუთავაზებია ჩუმად — ერთ ჯგუფად შევიკრათ და ძლიერი ძალა გავხდეთო. ამხტარა საყვარელიძე და ჰაერში გაკვანძულა: არავითარ შემთხვევაში, მიშას და პარტიას მე ვერ ვუღალატებო.

თუ ჩემს წყაროს დავუჯერებთ, და წესით, უნდა დავუჯეროთ, რადგან თვითონ ნაციონალია და ნაცურ წრეში მიღებული, საყვარელიძესაც არ ენდობა თურმე ბოლომდე ნაცბომონდი — ფული და ფუფუნება უყვარს **დათო საყვარელიძეს** და ყოველ წუთს მოელიან, როდის გაიყიდება „წითელ თუმნიანებზეო".

ნაციონალების უმრავლესობას ღამე მშვიდად არ სძინავთ თურმე მას შემდეგ, რაც **ბაჩო ახალაია** დაჭერილია. უძილობა განსაკუთრებით მას შემდეგ გამხდარა აუტანელი, რაც **დათა ახალაიას** წერილი გამოჩნდა სოციალურ ქსელში. ნაცების დიდი ნაწილი ძმებს **ბაჩო და დათა ახალაიებს**, ნაცმოძრაობის „განტევების ვაცებს", წყევლას და ქოქოლას აყრის იმის შიშით: ბიჭებმა ბევრი რამ იციან და ვაითუ, ყველაფრის თქმა მოიწადინონო.

არ მეგონა, მაგრამ, როგორც მითხრეს, ნაციონალებში მართლაც დიდი ნერვების თამაში და შეხლა-შემოხლა ყოფილა თურმე. ფარულად და ზოგჯერ აშკარადაც დედის გინება და სასქესო ორგანოების სახელწოდებების ბზრიალ-ტრიალი ხანდახან ხელჩართულ ბრძოლაშიც გადადის, ნაწილი კი ერთმანეთის ცოლებს „ართობს", დადიან დუბაიში, ბადენ-ბადენში ხუთვარსკლავიან სასტუმროებში, ბარებსა და ღამის კლუბებში და არ იკლებენ გართობასა და დროსტარებასო.

ნაციონალების რადიკალური წარმომადგენლები არც **ვანო მერაბიშვილს** და **გიგი უგულავას** დედებს ტოვებენ თურმე „მოუკითხავად" და ბოკერიას დედასაც შეუკურთხებენ შიგა და შიგო, გამყიდველებს ეძახიან ამათო.

მერე ერთი სახუმარო ამბავიც მოაყოლა: **ნანა ალექსანდრიამ** რომ მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა, პატრიარქმა დალოცა: ბედნიერი დედა ხარ, გაიხარეო. გავიდა რამდენიმე წუთი, კიდევ დალოცა: ბედნიერო დედავ, დალოცვილი იყავიო. რამდენჯერმე რომ გაიმეორა, **ნანა ალექსანდრიას** უკითხავს: მე მრავალშვილიანი დედა არა ვარ, ერთი შვილი მყავს, მადლობელი ვარ დალოცვისთვის, მაგრამ, რამე ხომ არ გეშლებათო?! ბედნიერი დედა ხართ, ერთი რომ გყავთ გიგასნაირიო, — უთქვამს პატრიარქს.

ჩემი წყაროს ცნობით, გუნდში ბოკერიას „სექტანტს" და ნარკომანს უწოდებენ თურმე. გამომივიდა ესეც ქვეყნის პატრონი, თავის ოჯახს მიხედოს, ის ურჩევნიაო. ეგაო, **ლევან ბერძენიშვილის** გაზრდილია, გიგას და ლევანს ერთმანეთი ისე უყვარდათ, გიგა ლევანს მამას ეძახდაო.

ასე რომ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, 19-ში რომ ბაქიბუქობდნენ, მთლად ისე არ აქვთ საქმე. მართალია, **დავით უსუფაშვილმა** კი ბრძანა: ნაცმოძრაობის, როგორც პარტიის შენარჩუნება ჩვენი დემოკრატიული ამოცანააო, მაგრამ უნდა განვუცხადო: ნაცმოძრაობას დიდი დღე აღარ უწერია და მათი დიდება შავ ზღვაში ჩასასვენებლად არის გამზადებული!

არ მითხრათ ახლა: არ დაგიჯერებთ, რასაც ამბობთ, წყარო დაგვისახელე და მაშინ გერწმუნებითო. როგორც ივანიშვილი ამბობს: „დამელოდეთ"! ანუ დაიცადეთ ცოტაც და წყაროსაც დაგისახელებთ და ოკეანესაც, მანამდე კი გული არ მომითმენს ერთიორი სიტყვა ნაციკოების მრავალჯერ დეკლარირებულ ევრო-არჩევანზე არ გითხრათ. კაცმა რომ თქვას, რა ევროპული არჩევანი აგვიტყდა, რას ვიქაჩებით ფუფუნებაში ჩამხრჩვალი, ულტრათანამედროვე ევროპა-ამერიკისკენ?! კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურებივით" გაფხეკილ-გაღლეტილი, სხვისი ხელის შემყურე ქვეყანა ვართ და რატომ ვერ ვეტევით ჩვენს მიწაზე, რა გვახტუნებს ატროკებული თიკნებივით, ვის ვჭირდებით ან ამერიკაში ან ევროპაში?! თვით ნაციონალებიც კი, რომლებიც ევროპულ ფასეულობებზე ლაპარაკობენ ხმამაღლა, ერთმანეთის ცოლების და დედების პატიოსნება-უპატიოსნობაზე ჭორაობენ ჩუმ-ჩუმად, დედის გინებისთვის კვლავ ძველებურად უბრახუნებენ ერთმანეთს, მაგალითად, გიგა ბოკერიას, მოღალატედ რაცხენ და ტყვიას ნატრობენ მისი ვიწრო შუბლის გასახვრეტად, „პედერასტი" კვლავ საგინებელ სიტყვად მიაჩნიათ, რატიანის და ღვინიაშვილის „კოჰაბიტაცია" — ერთსქესიანთა აღვირახსნილი ვნება... და ეს ხალხი სად მიდის, სად ეტენება?.. ევროპა მაქეთ არაა, ძმებო, სულ სხვა მხარესაა. მეც არ ვარ იმ მხარეს. მაგრამ თქვენს ილუზიას ევროპა რომ არ ჰქვია, ეს ნამდვილად ვიცი...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# „პოლიტიკურმა ნიანგმა“ როლანდ ახალაიას შვილები მოსტაცა



**ვახტანგ ხარჩილავა**

ეს ამბავი 7 წლის წინათ მოხდა...

დეკემბრის ბოლო იყო, 25 თუ 26 რიცხვი, წალენჯიხიდან, ჩემი მშობლიური რაიონიდან, დამირეკეს – სასწრაფოდ ჩამოდიო.

როგორც გაირკვა, ჩემი უახლოესი ადამიანი დაეპატიმრებინათ.

საქმე ძალიან ჰგავდა წინასწარ დაგეგმილ პროვოკაციას, თუმცა დრო იყო ისეთი, მტყუანი იყავი თუ მართალი, ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

რაღაც უნდა მეღონა...

ორი კვირის განმავლობაში თბილისი-ზუგდიდის გზაზე ვიყავი გადებული.

ზუგდიდამდე საკმაოდ დიდი გზა არის – დაახლოებით 360 კილომეტრია.

7-ჯერ თუ 8-ჯერ ჩავედი და ჩამოვედი, მაგრამ დაღლა მაინც არ მიგრძვნია.

ყველა ვნახე, ვისაც კი რაღაცის გაკეთება შეეძლო, მაგრამ ამაოდ – გამოძიება ბოლომდე იყო მიყვანილი საქმე უკვე „შეკერილი“ ჰქონდათ და განაჩენის აღსასრულებლად სულ მალე სასამართლოს გადაეცემოდა.

ადვოკატმა მითხრა – ერთადერთი კაცი, ვისაც თქვენი დახმარება შეუძლია, როლანდ ახალაიაა. ნახეთ ბატონი როლანდი, აუხსენით საქმის ვითარება და იქნებ რაღაცაში დაგეხმაროთ.

– არ ვიცნობ ბატონ როლანდს და რომც ვიცნობდე, მე, ვახტანგ ხარჩილავას, რომელიც ამ ხელისუფლების შეურიგებელ ოპოზიციად არის შერაცხული, როგორ და რანაირად დამეხმარება? ეჭვი მაქვს, რომ ეს ყველაფერი ჩემზე შურის საძიებლად არის მოფიქრებული და ახალაია როგორ დამეხმარება? კიდევ უფრო არ გავაფუჭო საქმე-მეთქი, – ვიუარე.

– თქვენ რომ არ იცნობთ, ეგ არაფერს ნიშნავს... სამაგიეროდ, ის გიცნობთ თქვენ... დამიჯერეთ, მოდით და დაელაპარაკეთ... ცდა ბედის მონახევრეაო, ხომ გაგიგიათ? – მარწმუნებდა ადვოკატი. წერილი დაუტოვეთ მისაღებში... თუ დაგიძახათ და თუ მიგიღოთ, ხომ კარგი, თუ არადა, რას კარგავთ?

დავუჯერე ქალბატონ ლონდას, პროკურატურის მისაღებში წერილი დავტოვე და თბილისისკენ წამოვედი – პასუხს ერთ კვირამდე არ ველოდებოდი და ერთი კვირა მისაღებში ხომ არ დავჯდებოდი?

– თბილისისკენ წამოვედი. საღამო ხანი იყო ქუთაისში რომ შევედით. უცებ ვიღაც მირეკავს უცნობი ნომრიდან.

– ბატონო ვახტანგ, მე ესა და ეს ვარ, ბატონი როლანდ ახალაიას დავალებით გირეკავთ. ბატონი როლანდი ხვალ დილის 10 საათზე გელოდებათ და მობრძანდითო.

... ის ღამე ზუგდიდში, სასტუმროში, გავათიე, გავათიე კი არა, გავათენე, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

დილით ადმინისტრატორმა თავი მოიკლა და ფული არ გადამახდევინა – უფროსმა დამიბარა, რამე არ შეგეშალოს და მაგ კაცს ფული არ გამოართვაო.

დათქმულ დროს პროკურატურის მისაღებში ვიყავი. უამრავი ხალხი დამხვდა მოსაცდელში, შუადღემდე არ მომიწევს რიგი-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ მდივანმა გოგონამ ჩემი გვარი სულ მალე ამოიკითხა და ბატონი როლანდის კაბინეტამდე მიმაცილა.

„ნაციონალურ მოძრაობასთან“ იმთავითვე იდეოლოგიური „შეუთავსებლობა“ მქონდა.

ზოგიერთისგან განსხვავებით, მე მალევე მივხვდი, რომ ეს გუნდი ხეირს არ დააყრიდა ქვეყანას და ჩემს ხაზგასმულად უარყოფით დამოკიდებულებას მათი მისამართით არც ვმალავდი.

„ვარდების რევოლუციამდე“ გაცილებით ადრე და „ვარდების რევოლუციის“ შემდეგაც „ნაც. მოძრაობის“ განმაქიქებელი უამრავი წერილი მქონდა გამოქვეყნებული, ახლა კი იმ კაცთნ უნდა მივსულიყავი რაღაცის სათხოვნელად, რომელიც თავის ვაჟებთან ერთად „ნაც.მოძრაობის“ ერთ-ერთ მთავარ საყრდენს წარმოადგენდა.

– პატივცემულო, თქვენ ამდენს გვლანძღავთ, გვაკრიტიკებთ, არ გვინდობთ, ომს გვიცხადებთ და ახლა ჩემთან რა პირით მოდიხართ რაიმეს სათხოვნელადო, – რომ ეთქვა ამ კაცს, რა უნდა მეპასუხა?

სულაც არ იყო გამორიცხული, ახალაიასთან შეხვედრა ამ სცენარით წარმართულიყო და ამ ფსიქოლოგიური დარტყმისთვის ვერც გამეძლო, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა – საქმე ჩემს უახლოეს ადამიანს, თანაც უკვე ასაკოვან ქალბატონს, ეხებოდა, რომელიც ციხეში იჯდა და შველას ითხოვდა.

სახელური ჩამოვწიე, კარი შევაღე და ახალაიას კაბინეტში შევედი....

* * *

ბატონი როლანდი ისე შემხვდა, როგორც ძველ, დიდი ხნის უნახავ ნაცნობებს ხვდებიან ხოლმე.

ცოტა ხანი პოლიტიკაზე და სამეგრელოში მიმდინარე პროცესებზე ვისაუბრეთ.

გაირკვა, რომ ბატონ როლანდს წაკითხული ჰქონდა ჩემი ვრცელი წერილი „მარადიული ეჭვმიტანილი“, რომელიც იმ პერიოდში „ასავალ-დასავალში“ დაიბეჭდა და რომელსაც მკითხველი საზოგადოების ფართო გამოხმაურება მოჰყვა.

სამეგრელო, რომელსაც არასოდეს არ უღალატია ქართული სახელმწიფო ინტერესებისთვის და რომელმაც თუნდაც ბოლო ოცი წლის განმავლობაში უზარმაზარი მსხვერპლი გაიღო, მაინც მარადიულ ეჭვმიტანილად რჩება, რაც უკიდურესად შეურაცხმყოფელია სამეგრელოს ქართველობისთვის – აი, ამ თემაზე იყო იმ წერილში საუბარი.

წერილში ასევე ვრცლად ვლაპარაკობდი აფხაზეთსა და აფხაზეთის ქართველობაზე, რომლის უმრავლესობა, რა თქმა უნდა, მეგრელები არიან და გამოვთქვამდი მოსაზრებას, რომ ქართულმა სახელმწიფომ თავის დროზე ვერ მოუარა ამ ადამიანებს, ვერ უზრუნველყო მათი ინტერესების დაცვა, უფრო ზუსტად, მათი ინტერესების ხელყოფის ხარჯზე სცადა მუდამ სეპარატისტობის და გამოყოფის ხასიათზე მყოფი აფსუების და მათი მხარდამჭერი პროვოკატორების გულის მოგება.

არ ვიცი, რამდენიმე ტვინგადაბრუნებულს ისეთი რა მოელანდა და რა მოეჩვენა ჩემს წერილში, მაგრამ საქმე იქამდე მივიდა, რომ ვიღაცვიღაცებმა სეპარატისტიც კი მიწოდეს, ხოლო ამ წერილის გამოქვეყნებისთვის რედაქციას სასამართლოში უჩივლეს.

ბატონმა როლანდმა ეს ჩემი „სეპარატისტობის“ ამბავიც გაიხსენა და თავის მხრივ დასძინა: – ძნელი სათქმელია, ვინ აკეთებს ამას, რა ძალები მოქმედებენ, თუმცა ფაქტია, ზოგჯერ ისეთ პროვოკაციას შემოაგდებენ და ისეთ დაუმსახურებელ შეურაცხყოფას მიაყენებენ მთელ კუთხეს, გული გეტკინება. ის კი არა, მეც მქონია შემთხვევა, როცა პირადად ჩემთვისაც, ჩემი მეგრელობის გამო ვიღაცას ალმაცერად შემოუხედავს. სხვათა შორის, მარტო ეს წერილი კი არა, რომ იცოდეთ, მე თითქმის ყველა თქვენი წერილი მაქვს წაკითხული! მათ შორის ისინიც, სადაც თქვენ ძალიან მკაცრად გვაკრიტიკებთ. რაღაცნაირად მოსხეპით მითხრა ბატონმა როლანდმა და გაჩერდა.

– დაიწყო! – გავიფიქრე გულში და ვინანე, იქ რომ მივედი.

– ახლა ეს გადმომილაგებს ამ წერილებს და – ამეების დამწერმა როგორ მობედე მოსვლაო, მეტყვის და მართალიც იქნება, – ვიფიქრე და ბატონ როლანდს გავხედე, რომელიც კვლავ ავისმომასწავებელი დუმილით დუმდა.

ბედად, ვიღაცამ ქალაქის ტელეფონზე დარეკა და ბატონ როლანდს კარგა ხანს ელაპარაკა.

– მოდი, ახლა ადექი და წადი, არაფერი არ უთხრა ამ კაცს, ისე წადი! ასე სჯობია! – ჩამძახა რაღაც ხმამ და წამოსადგომად მოვემზადე.

ამასობაში ბატონმა როლანდმა ტელეფონზე საუბარი დაამთავრა და ჩემსკენ შემობრუნდა:

– დიახ, მე თითქმის ყველა თქვენი წერილი მაქვს წაკითხული და, იცით, ძალიან ბევრ რამეში გეთანხმებით, თუმცა ზოგჯერ ზედმეტად მკაცრიც ხართ და დაუმსახურებლად გვაკრიტიკებთ. რაც მთავარია, თქვენს წერილებში სიძულვილი არ არის, გულისტკივილით ამბობთ, რასაც ამბობთ. სიძულვილი საშინელებაა. მე პროკურორი ვარ და ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, იმდენ სიძულვილს წავწყდომივარ ადამიანებს შორის, გაოცებული დავრჩენილვარ.

ვიცი, თქვენ ბევრი ცუდი რამ გსმენიათ ჩემს შესახებ – არის ვიღაც მონსტრი და სისხლისმსმელი ახალაია, რომელიც დღედაღამ იმაზე ფიქრობს, ვინ დაიჭიროს, ვინ გაამწაროს, ვინ დაჩაგროს. ქართულმა პრესამ, უფრო ზუსტად, იმ ჟურნალისტებმა შემიქმნეს ეს იმიჯი, რომლებიც სულ ვიღაცის დაკვეთაზე მუშაობენ და ტყუილის, ცილისწამების და ათასგვარი სიბინძურის გავრცელებაში ფულს იღებენ. ადრე სხვისგან იღებდნენ ამ ფულს, ახლა სხვისგან იღებენ, მომავალში კიდევ სხვისგან აიღებენ და ასე შემდეგ, უსასრულოდ.

ვერავინ ვერ იტყვის, რომ როლანდ ახალაიამ ჟურნალისტი მოისყიდა, რაღაც სტატია შეუკვეთა ან რომელიმე ცილისმწამებელ ჟურნალისტს დაემუქრა, ან ვინმეზე შური იძია. არასოდეს მიკადრია მსგავსი რამ და არც არასოდეს ვიკადრებ, თუმცა, შეიძლება, რაღაც კუთხით ეს შეცდომაც არის – როცა თავს არ იცავ და პასუხს არ ითხოვ, ჰგონიათ, რომ მართლა დამნაშავე ხარ და ამიტომ სდუმხარ.





დაბნეული ვუსმენდი ბატონ როლანდს. ვერაფრით წარმოვიდგენდი თუ ასეთი საუბარი შედგებოდა ჩვენს შორის, აქ, მის კაბინეტში.

არ ვიცი, რით დავიმსახურე მისი ნდობა, არ ვიცი, რატომ ჩამთვალა მან იმ ადამიანად, ვისთანაც შეიძლებოდა ასე გახსნილად ესაუბრა, მაგრამ ფაქტი იყო – მას გულში დიდხანს დაგროვილი სათქმელის გამხელა უნდოდა ვიღაცისთვის და ეს ვიღაც მე აღმოვჩნდი.

– სულ რამდენიმე წლის წინათ საშინელი სიტუაცია იყო სამეგრელოში – მკვლელობა, ყაჩაღობა, ძარცვა, ადამიანების გატაცება, ქურდების და კრიმინალების პარპაში, ნარკოტიკები, კონტრაბანდა ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ. შეღამდებოდა თუ არა, ადამიანი გარეთ ვერ გამოდიოდა, თუმცა არც დღისით იყო უკეთესი მდგომარეობა.

აფხაზეთის ომის შემდეგ უამრავი იარაღი დარჩა სამეგრელოში, ხოლო როცა იარაღი ბლომადაა,

მისი ხელში ამღებიც ბევრი გამოჩნდება.

ფრონტისპირა რეგიონია სამეგრელო, ფრონტის ხაზი გადის აგერ, რამდენიმე კილომეტრში.

დიდი შრომა და თავგანწირვა დასჭირდა იმ მდგომარეობის მიღწევას, რაც დღეს არის — ბანდიტები და ყაჩაღები ავლაგმეთ, ,,კანონიერი ქურდები" დავიჭირეთ, ზოგიც გაიქცა აქედან, ადამიანებს შიშის გრძნობა გაუქრათ.

შეღამდებოდა თუ არა ზუგდიდიდან წალენჯიხამდე ვერ ჩახვიდოდი — ყველა მოსახვევში ყაჩაღები იყვნენ ჩასაფრებულნი — ერთ ჯგუფს თუ გასცდებოდი, მეორეს ვერ გადაურჩებოდი.

გაწმენდილია ახლა ყველა გზა შარაგზის ყაჩაღებისგან და ბანდიტებისგან. განა ეს პატარა ამბავია?

ახლა რაც შეეხება თქვენი ახლობლის საქმეს, ერთი რამ მინდა იცოდეთ: მე ფაქტის წინაშე დამაყენეს, სულ ბოლოს, როცა ყველაფერი მომთავრებული იყო.

ნამდვილად არ ვიცოდი, ის ქალბატონი თქვენი ვინ იყო. როცა დააკავეს, მერე გავიგე ეს ამბავი და ძალიან შევწუხდი.

ისე, რომ იცოდეთ, ერთმა არაკაცმა იაქტიურა ამ ოპერაციის მომზადებაში, როგორც მითხრეს, მან დაალაგა და დაგეგმა ეს ყველაფერი... არადა, მისთვის იმ ქალბატონს ბევრი სიკეთე აქვს, თურმე გაკეთებული.

სიკეთე მეც ბევრჯერ შემომტრიალებია უკან ბოროტებად, მაგრამ რას იზამ, ასეთია ადამიანის ბუნება.

ორშაბათს მობრძანდით თქვენ, ბატონო ვახტანგ, დილის საათებში მოდით... როგორც შეგპირდით, მე ნამდვილად მოვინდომებ, რომ რაღაც შედეგს მივაღწიოთ.

თუმცა აქვე გაფრთხილებთ, მე ყველაფერი არ შემიძლია... აუცილებლად უნდა დავეკითხო თბილისს, იქ ვიღაცებს უნდა ვთხოვო... დამოუკიდებლად ვერაფერს ვერ გადავწყვეტ... ვნახოთ, რა გამოვა...

ორშაბათამდე კიდევ ოთხი დღე იყო დარჩენილი.

დავემშვიდობე ბატონ როლანდს და თბილისისკენ წამოვედი.

სამარშრუტო ტაქსტში მეგრელები უმცირესობაში აღმოვჩნდით. 14 მგზავრიდან 9 ჩინელი იყო, რომლებიც მთელი მგზავრობის განმავლობაში ფანჯრებს არ მოშორებიან — გაფაციცებული ათვალიერებდნენ ყველაფერს, თითქოს ზვერავენო.

ერთმა მეგრულად შეუკურთხა: — თქვენს დედებს ასე და ისეო, მაგრამ მეორემ პირზეააფარა ხელი: არ შეაგინო, ბიჭო, მეგრული იციან ამ ოხრებმაო.

ცუდ ხასიათზე ვიყავი, მაგრამ ამ სცენის შემხედვარეს, გამეცინა.

ცუდ ხასიათზე ვიყავი იმიტომ, რომ ვერ დავიჯერე ბატონი როლანდის დანაპირების — ჩამოვალ ორშაბათს მეტყვის, კი მოვინდომე, მაგრამ რა ვქნა, ვერაფერს გავხდიო.

ამ ფიქრით და ამ განწყობით წამოვედი ზუგდიდიდან და ეს განწყობა ორშაბათამდე გამყვა...

ორშაბათს ბატონი როლანდის კაბინეტში პირველი, რაც მან მითხრა, ზუსტად ის სიტყვები იყო, რაც ზემოთ გავიფიქრე: — ბოდიში უნდა მოგიხადოთ, ბევრი ვეცადე, ნამდვილად მოვინდომე, მაგრამ რა ვქნა, ვერაფერს გავხდი. ოთხ წელზე ნაკლებს ვერ მიუსჯიან, ამასთან ერთად ჯარიმაც უნდა გადაიხადოთ, 20 000 ლარი. მეტის გაკეთება ვერ მოხერხდა. — რა ამბავია 4 წელი? ან ეს 20 000 საიდან მოვიტანოთ? — წავილუღლუღე და ვიგრძენი, რომ სკამმა ტორტმანი დაიწყო.

სკამი კი არა, ეტყობა, მე ვტორტმანებდი.

ბატონმა როლანდმა შემამჩნია, ცუდად რომ გავხდი და უცებ გალიმებული სახით მეუბნება: — ცოტა უფრო მეტი მოვინდომე ბატონო ვახტანგ... ცოტა მეტი მოვინდომე და... ერთ წელზე მეტს არ მიუსჯიან. თანაც არც ერთი თეთრი არ ექნება გადასახდელი.

მერე, მოგვიანებით, სულ სხვა ადამიანისგან გავიგე, როგორ დაეძებდა ბატონი როლანდი ტელეფონით სამი დღის განმავლობაში ერთ კაცს. თბილისში რომელიღაც უცხო ქვეყნის დელეგაცია იყო ჩასული და იმ კაცთან დაკონტაქტება გაჭირდა, მაგრამ ბატონმა როლანდმა ვიღაცების დახმარებით ბოლოს მაინც მოახერხა მასთან დაკავშირება.

მე არ ვიცი, რა უთხრა ბატონმა როლანდმა იმ ადამიანს, არც ის ვიცი, ვინ არის ის ადამიანი, არც ის, რა წერია იმ განაჩენში, მაგრამ ვიცი ერთი რამ — ამ სამყაროში არ არსებობს უფრო დიადი და მნიშვნელოვანი რამ, ვიდრე სიკეთეა.

... იმ დღეს მე და ბატონმა როლანდმა დიდხანს ვილაპარაკეთ. უფრო სწორად ის ლაპარაკობდა და მე ვუსმენდი.

ის ყვებოდა იმის შესახებ, თუ რა ძნელი და რთულია პროკურორობა მშობლიურ კუთხეში, იქ, სადაც უამრავი ნათესავი, მეგობარი, ნაცნობი თუ ახლობელი გყავს.

— ადამიანებს ზოგჯერ არ ესმით ან არ სურთ გაიგონ, რომ პიროვნულად შენ კი არ ითხოვ ვიღაცის დასჯას, კანონი ითხოვს და შენ, როგორც პროკურორი, ვალდებული ხარ ამ კანონის ფარგლებში იმოქმედო, თუმცა არსებობს უამრავი ფაქტორი, რომელიც კანონში ვერ აისახება, მაგრამ აუცილებლად უნდა მიიღო მხედველობაში და უნდა გაითვლისწინო, სანამ ამა თუ იმ დანაშაულისთვის ვიღაცის დასჯას მოითხოვ.

ზედმეტად მკაცრი კანონები გვაქვს, ქართული ხასიათისა და ქართული შემწყნარებლური ბუნებისთვის ზედმეტად მკაცრი და შეუთავსებელი, მაგრამ, იმედია, დრო გავა და დაიხვეწება, დალაგდება ყველაფერი, ჯერჯერობით კი უნდა ვეცადოთ, რაღაც ზღვარს არ გადავცდეთ, თორემ ეს უკან მოგვიბრუნდება ბუმერანგივით.

ხშირად ვკამათობ ჩემს შვილებთან. ისინი ახალგაზრდები არიან, მაქსიმალისტები და ის ცოდნა აკლიათ, რასაც ვერც ერთ უნივერსიტეტში ვერ ისწავლი — ეს ცოდნა წლებს, ცხოვრებისეულ გამოცდილებას და იმ შეცდომებს მოაქვს მხოლოდ, რომლებიც გზადაგზა მოგდის.

ზოგს ჰგონია, როლანდ ახალაია თავგამოდებით ზრუნავს თავისი შვილების კარიერაზე და ის უწყობს ხელს მათ სამსახურეობრივ აღმავლობას.

ტყუილია ეს! სიცრუეა!

თუ დამიჯერებთ, მე სულაც არ მიხარია, რომ ამ ახალგაზრდა ბიჭებმა, ჩემს შვილებზეც ვამბობ ამას და სხვებზეც, ამხელა ტვირთი, ამხელა პასუხისმგებლობა წამოიკიდეს მხრებზე.

მე ძალიან ბევრს ვფიქრობ და, თუნდაც როგორც მშობელი, ძალიან ბევრს ვდარდობ ამაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, უძლური ვარ რაიმე შევცვალო — მათ თავიანთი გზა აქვთ არჩეული, თავიანთი შეხედულებები და თავიანთი პრინციპები აქვთ და ჩემს რჩევას ნაკლებად ითვალისწინებენ.

ადამიანი თავისი ხასიათით იბადება. აი, ეს ჩემი უმცროსი ბიჭი, ბაჩო, ,,კანონიერ ქურდებს" რომ გამოუცხადა ომი, ხომ არ გგონიათ, მხოლოდ იმიტომ აკეთებს ამას, რომ ვიღაცამ დაავალა და უბრძანა.

არა, ის სულ ასეთი იყო და სულ ასეთი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა ქურდულ სამყაროსთან.

მახსოვს, მეცხრე თუ მეათე კლასში იყო, ერთ ზუგდიდელ კანონიერ ქურდთან მოსვლია კონფლიქტი და მისი ქურდული ,,ღირსება" ისე შეულახავს, იმან, საკადრისი პასუხი რომ ვერ გასცა (ეტყობა, ჩემი შიშის გამოც...) სხვა ვერაფერი მოიფიქრა და ნეკა თითი მოიჭრა და ამით სცადა შელახული სახელის აღდგენა.

ეს ამბავი მე კარგა ხნის შემდეგ გავიგე, როცა ყელაფერი ჩამთავრებული იყო.

მე, ამ ხნის კაცმა, განა არ ვიცი, რა სახიფათო ომშია ჩაბმული ჩემი შვილი, მაგრამ რა ვქნა — ეს მისი ომია და გამოდი ამ ომიდან თქო, ვერ ვუბრძანებ.

რომც ვუთხრა, არ დამიჯერებს და არ მომისმენს.

განმუხურის ინციდენტის შესახებ გსმენიათ, ალბათ...

დამირეკეს: — პრეზიდენტია ჩამოსული, შენი ბიჭი, დათა, ახლავს თან, განმუხურისკენ მიდიან, იქით, სადაც რუსების პოსტიაო.

პრეზიდენტს და მის ამალას რომ დავეწიე, რუსების პოსტამდე სამასიოდე მეტრი აშორებდათ.

## როლანდ ახალაია: ერთმანეთის პირისპირ იდგნენ ავტომატმომარჯვებული რუსი ჯარისკაცები და საქართველოს ხელისუფლება. ავტომატის ერთი ჯერი და ხელისუფლება, თავის პრეზიდენტიანად, აღარ გვეყოლებოდა...

პრეზიდენტი და მისი თანმხლებნი პირდაპირ ავტომატმომარჯვებული რუსი ჯარიკაცებისკენ მიდიოდნენ, რომლებსაც იარაღი პრეზიდენტის და მისი ამალისთვის ჰქონდათ მიშვერილი.

ჩახმახის ერთი გამოკვრა და საშინელება დატრიალდებოდა.

დათა ორიოდე ნაბიჯით უკან მისდევდა პრეზიდენტს.

დავეწიე, მკლავში ჩავავლე ხელი და შემოვაბრუნე: — სად მიდიხარ ბიჭო-მეთქი, — ვუჩურჩულე.

— დამანებე თავი! — მიყვირა დათამ, მკლავი გამომგლიჯა და პრეზიდენტს გაეკიდა.

რაღაც დიდი უბედურების მოლოდინში გავშეშდი.

უკვე ერთმანეთის პირისპირ იდგნენ ავტომატმომარჯვებული რუსი ჯარისკაცები და საქართველოს ხელისუფლება.

როგორც ვთქვი, ავტომატის ერთი ჯერი და ხელისუფლება, თავის პრეზიდენტიანად, აღარ გვეყოლებოდა...

შვიდი წელი გავიდა როლანდ ახალაიასთან შეხვედრის შემდეგ.

ამ ხნის განმავლობაში მე ის არ მინახავს, არც თვითონ შემხმიანებია და არც მე შემიწუხებია.

არადა, ამ შვიდი წლის მანძილზე სულ მახსოვდა და სულ მინდოდა სახალხოდ მომეყოლა ეს ამბავი, მაგრამ მიზეზთა და მიზეზთა



გამო ამის გაკეთება არ შეიძლებოდა.

ახლა, შვიდი წლის შემდეგ, როცა ახალაიების ოჯახის გარშემო დატრიალებულ მოვლენებს ვუყურებ, კიდევ უფრო ნათელი და ცხადი გახდა ჩემთვის არსი იმისა, რასაც როლანდ ახალაია 7 წლის წინათ მიყვებოდა.

ის 7 წლის წინათაც შესანიშნავად ხვდებოდა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო 7, 8, 9 წლის შემდეგ, ხვდებოდა, მაგრამ მას არაფრის შეცვლა არ შეეძლო.

თითქოს ყოვლის შემძლე იყო — უზარმაზარი გავლენით და ძალაუფლებით სარგებლობდა, მაგრამ საკუთარი შვილების დაცვაზე რომ მიდგა საქმე, უძლური აღმოჩნდა.

— ახალაიები სისტემის მსხვერპლნი არიან, — თქვა გია ხუხაშვილმა და მისი ეს ნათქვამი ბევრს არ მოეწონ, თუმცა ბატონმა გიამ, ჩემი აზრით, აბსოლუტური სიმართლე თქვა.

ახალაიებიც და კიდევ მრავალნი სხვანი, ნამდვილად არიან იმ სისტემის მსხვერპლნი, რომლის შენებაში თვითონაც დიდი წვლი აქვთ შეტანილი.

რეპრესიებზე აგებულ სისტემას, ზოგადად, ასეთი ზნე აქვს — ის რაღაც დროის შემდეგ თავისავე შემქმნელებს მოუტრიალდება ხოლმე და მათ შეჭმას იწყებს.

რა თქმა უნდა, დანაშაული იმათაც მიუძღვით, ვინც სისტემის მშენებლობაში იღებდა მონაწილეობას, მაგრამ მთავარი დამნაშავე მაინც სისტემის ავტორი და მისი შემოქმედია.

ამ შემთხვევაში სისტემის ავტორი, მისი მთავარი არქიტექტორი, მთავარი იდეოლოგი მიხეილ სააკაშვილია.

სწორედ მიხეილ სააკაშვილია პასუხიმგებელი ყოველივე იმაზე, რაც ამ ცხრა წლის განმავლობაში ხდებოდა.

მიხეილ სააკაშვილმა, თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად, თავისი კარიერისტული ამბიციების, თავისი მანიაკალურ-ავადმყოფური ინსტინქტების დასაკმაყოფილებლად შვილები, დები, ძმები, დედები, მამები მოსტაცა ადამიანებს.

როლანდ ახალაიასაც მან მოსტაცა შვილები და საკუთარი ქვენაგრძნობებს შესწირა.

**მიხეილ სააკაშვილი ადამიანთმტაცებელი, ადამიანთმყლაპველი პოლიტიკური ნიანგია.**

**მან არა მარტო ძმები ახალაიების, არამედ მთელი თაობის მოტაცება და ჩაყლაპვა სცადა, მაგრამ როცა ეს ბოლომდე არ გამოუვიდა, უმცროს თაობას, 13-15 წლის მოზარდებს მიადგა ჩასაყლაპად და მათი ბუჩქებში შეტყუება მოინდომა.**

**მიხვდა რა, რომ უფროსი თაობა საყლაპავში ვერ გადაუვიდოდა, სააკაშვილი მისი ჩარეცხვის მოწოდებით გამოვიდა.**

**— რასაც ვერ ჩაყლაპავ, ის უნდა ჩარეცხო, გაასამტვერო და გაანადგურო, — ასეთია სააკაშვილისნაირი პოლიტიკური ნიანგების დევიზი.**

**სააკაშვილმა არა მარტო ადამიანების, მთელი ქვეყნის, მთელი ქართველი ხალხის გადასანსვლა მოინდომა და რომ არა 1 ოქტომბრის არჩევნები, ამ საწადელსაც შეისრულებდა უთუოდ.**

პოლიტიკური ნიანგი ახლა ცრემლებს აღვარღვარებს და თავს გვაცოდებს — საქართველოს სიყვარულის გამო, თქვენი სიყვარულის გამო ჩავიდინე, რაც ჩავიდინე. ნიანგი კი არა უცოდველი კრავი ვარ და ვინმემ ზედმეტი სიტყვა არ მაკადროთო.

* * *

...პროკურატურის შენობიდან რომ გამოვედი, ზემოთ ავიხედე — ფანჯარასთან ბატონი როლანდი იდგა და მიყურებდა.

ცოტა ხანს მიყურა, მერე ხელი დამიქნია და თავის კაბინეტში გაუჩინარდა.

2007 წლის იანვარი იყო.

2013 წლის აპრილამდე, როცა ეს წერილი დაიწერებოდა, ჯერ კიდევ ექვსი წელი იყო დარჩენილი...

**აპრილი, 2013 წელი**

# დავლური ცხედრების გარშემო ანუ რატომ თხზავს ყალბ ლეგენდებს რეინტეგრაციის მინისტრი?

ჩემი წერილი „ხმამაღლა გამოთქმული ფიქრები", რომელიც 2012 წლის 12 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქს ილია მე-II, პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილსა და 16 თანამდებობის პირს გაეგზავნა დღემდე არცერთ ადრესატამდე არ მისულა. ფოსტაში კი მაცნობეს, რომ წერილი იმ დღესვე გაიგზავნა და სამი დღის ვადაში მასზე დამისამართებულ ყველა პირს ერთდროულად უნდა მისწოდებოდა.

წერილის გაგზავნიდან რამდენიმე თვე გავიდა, მაგრამ ჩემს მიერ გამოთქმული შეშფოთება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხის არასწორ ხედვაში, სამწუხაროდ დღესაც აქტუალობას არ კარგავს და მეტიც, ის ახალი ძალით განმიახლდა მას შემდეგ, რაც რეინტეგრაციის მინისტრმა განაცხადა, რომ „გაგრის სტადიონზე ქართველების თავებით ფეხბურთის თამაში ლეგენდაა".

სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენისთვის" მიცემულ ინტერვიუში პაატა ზაქარეიშვილის ეს განცხადება პასუხია აფხაზური მხარის მიერ აგორებულ ახალ პროპაგანდაზე, რომლის მიხედვით გაგრის სტადიონზე ქართველების თავებით ფეხბურთის თამაშს ადგილი არ ქონია და ეთნოწმენდას -ზოგადად. ზაქარეიშვილი ამოწმებს აფხაზურ ვერსიას და ამბობს, რომ გაგრის სტადიონზე „ბიბინა ბალახი" ნახა, რომელსაც ძალადობის ნასახიც კი არ ემჩნეოდა.

"ჩვენ შეგვიყვანეს სტადიონზე, სადაც ბალახი ბიბინებდა. იმ შემთხვევაში, თუ იქ რამოდენიმე დღის წინ ომი მოხდა, შეუძლებელია იქ ბალახი დაერგოთ. სტადიონს არა თუ ომის, ტალახის კვალიც არ ეტყობოდა. ჩანდა, რომ ამ სტადიონზე არანაირი საომარი ქმედება განხორციელებული არ იყო" - აცხადებს ზაქარეიშვილი.

ზაქარეიშვილი ამბობს, რომ „ბიბინა ბალახი" გაგრის სტადიონზე ტრაგედიიდან რამოდენიმე დღის შემდეგ ნახა. თუმცა, მაესტროს ეთერში გადაცემა „პოლიტმეტრში" ზაქარეიშვილი აცხადებს, რომ გაგრაში ის ტრაგედიიდან ერთი თვის თავზე ჩავიდა.

„მე და გია ბარამიძე ერთად ვიყავით გაგრის სტადიონზე 7 ნოემბერს 1992 წელს. 3 ოქტომბერს იქნა აღებული გაგრა, ერთი თვის თავზე ჩვენ ვიყავით გაგრაში. მოვიარეთ მთელი გაგრა. არძინბამ მოგვცა სრული თავისუფლება და იაზიჩბა იყო იქ გაგრის გამგებელი და ვნახეთ ყველაფერი, რისი ნახვაც შეიძლებოდა. თქვას რა, რაც ჩვენ მაშინ ვნახეთ. ეხლა გაიმეოროს. მე მასზე უფროსი ვარ და არ დამწყებია ჯერ სკლეროზი. ახლა ბარამიძე ჩემზე ახალგაზრდაა. თქვას ის, რაც ჩვენ ერთად ჩამოვიტანეთ იქედან. არანაირი ნიშანი, არანაირი მტკიცებულებები ჩვენ არ გვქონდა".

იმ შემთხვევაში თუ ზაქარეიშვილი ტრაგედიიდან არა რამოდენიმე დღის შემდეგ, არამედ ერთი თვისა და 5 დღის თავზე ჩავიდა, ვფიქრობ ძალადობის კვალის დასაფარად ეს საკმარისზე მეტი დროა. თუმცა, ზაქარეიშვილი ამ გარემოებას იგნორირებას უწევს და დაჟინებით გაიძახის, რომ ტრაგედიის კვალი არ უნახავს. არ უნახავს ზაქარეიშვილს კვალი, თუ არ ანახეს?!

სეპარატისტული მთავრობის მაღალი თანამდებობის პირები, რომლებიც ზაქარეიშვილის გაგრაში ექსპედიციას კურირებდნენ და რომელთაც ის ემადლიერება, მაქსიმალურად დაინტერესებული უნდა ყოფილიყვნენ, რომ სამხედრო ტყვეებისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების კომისიას მომხდარ დანაშაულზე არანაირი მტკიცებულება ქალაქიდან არ გაეტანა. ამიტომაც ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ქალაქი იმ დროისათვის, როცა კომისია გაგრაში ჩავიდა დანაშაულის კვალისგან საგულდაგულოდ გასტერილებული უნდა ყოფილიყო.



ამიტომ ზაქარეიშვილს კი არ უნახავს, ზაქარეიშვილს არ ანახეს კვალი. თუმცა, გაგრაში ჩასვლის თარიღთან დაკავშირებით რეინტეგრაციის მინისტრის ასეთი აშკარა უზუსტობა იმთავითვე უნდობლობას აღძრავს მისი, როგორც მოწმის, ასევე მისი მონაყოლის მიმართ. შესაბამისად, ზაქარეიშვილის ტყუილი გაგრაში ჩასვლის თარიღის გარშემო სხვა ტყუილის არსებობას მის მონაყოლში არ გამორიცხავს.

ამავე სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენისთვის" მიცემულ ინტერვიუში ჟურნალისტის კითხვაზე უარყოფს თუ არა ის გაგრის სტადიონზე ქართველების თავებით ფეხბურთის თამაშს და არის თუ არა ეს- ქართული მხარის მიერ გამოგონილი სიცრუე ზაქარეიშვილი პასუხობს:

„ეს არ არი ქართული მხარის მიერ გამოგონილი ლეგენდა - ეს ომის მიერ გამოგონილი ლეგენდაა. ამგვარ ლეგენდებს ყველა კონფლიქტში ყვებიან".

ზაქარეიშვილი გაგრის ტრაგედიას ომის შედეგად გამომცხვარ ლეგენდად რაცხავს, თუმცა მცხობელის ვინაობის დაკონკრეტებას გაურბის. ის მისთვის დამახასიათებელი საუბრის მანერით „უხეში ფორმების" გამოყენებას ერიდება. „ლეგენდა" ზაქარეიშვილის ენაზე უწყინარი ფორმაა „სიცრუისგან" განსხვავებით. უკანასკნელის ჟღერადობა ყურს ჭრის, მაშინ როდესაც „ლეგენდა", „მითი", „ეპოსი" ბევრად უფრო სასიამოვნოდ ჟღერს და სმენას არ აღიზიანებს. არარსებულ ტრაგედიას ლეგენდა რომ დაერქვას ზაქარეიშვილის აზრით ბევრად უფრო უპრიანია, ვიდრე სიცრუე და ტყუილი. რა აუცილებლობა დგას გახსნილი ტექსტით „ლეგენდის" ავტორად ქართული მხარის დასახელებისა და მისი ასე განაწყენებისა, მაშინ, როდესაც ხელშემწყობი გარემოება ომის სახით აქვეა. ზაქარეიშვილის ხედვით ომი განზოგადოებული მცნებაა. გაგრის ტრაგედიას ქართული ლეგენდის ნაცვლად ომის ლეგენდა რომ დაერქვას, განაწყენებული არავინ დარჩება. არაფერი დაშავდება იმით, რომ ომს ჩამოეწეროს ტყუილ-მართალი. როგორც ამბობენ: „âîéíà âñå ñïèøåò". ომი ხომ ომია მისთვის თანმდევი „მითებით".

ზაქარეიშვილის მიერ ლეგენდად შერაცხულ ტრაგედიას წინ უძღვის აფხაზი მოღვაწის ბესლან კობახიას იგივე შინაარსის განცხადება. ის წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ მითი გაგრის სტადიონზე ქართველების თავებით ფეხბურთის თამაშისა დღემდე მოქმედებს.

ქართველი „მოღვაწე" ზაქარეიშვილი და აფხაზი „მოღვაწე" ბესლან კობახია უცნაურად ერთგვაროვნად იხსენებდნენ ორი ქართველის (ანუ ზაქარეიშვილის და ბარამიძის) 1992 წლის 7 ნოემბრის საექსპერტო ჩასვლას აფხაზეთში და იმ „უწყინარ" გარემოს, რაც იქ სუფევდა. კობახია აცხადებს:

„Ñàìà ñèòóàöèÿ ïîðàçèëà íàøèõ ãîñòåé, ïîòîìó ÷òî îíè ðàçãîâàðèâàëè ìåæäó ñîáîé, ñðàâíèâàëè ïîëîæåíèå â Ñóõóìè è â Ãóäàóòà è áûëè âûíóæäåíû ïðèçíàòü, ÷òî ó íàñ î÷åíü âûñîêàÿ äèñöèïëèíà. Ìû ïðèåõàëè â Ãàãðû, â ðàéîí ñòàäèîíà, ãäå îñòàâàëîñü î÷åíü ìíîãî ëþäåé ãðóçèíñêîé íàöèîíàëüíîñòè. Ìû îáõîäèëè âñå äîìà, ïðè÷åì ìû ñ Ðóñòàìîì äàâàëè âîçìîæíîñòü ïîîáùàòüñÿ ñ òåìè ëþäüìè, ñ êåì îíè õîòÿò áåç íàñ. Â èòîãå îíè íàì ñêàçàëè: ñïàñèáî áîëüøîå, ìû óáåäèëèñü, ÷òî ýòî íåïðàâäà, íèêàêèõ çâåðñòâ íå áûëî è ò. ä. Ê ñîæàëåíèþ ýòîò ìèô ïðîäîëæàåò äåéñòâîâàòü, è ê ñîæàëåíèþ, ëþäè, êîòîðûå áûëè ñ íàìè òîãäà, êîòîðûå ñåãîäíÿ çàíèìàþò âûñîêèå äîëæíîñòè â Ãðóçèè, ýòîò ôàêò íå îïðîâåðãëè". ფრაზაში- "ìû óáåäèëèñü" - ჩვენ დავრწმუნდით, ზაქარეიშვილთან ერთად ბარამიძეც იგულისხმება, რომელიც დღემდე უცნაურად დუმს.

კობახიას ეს განცხადება ზაქარეიშვილმა არც კი უარყო და სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენისისთვის" მიცემულ ინტერვიუში ჟურნალისტის კითხვაზე, რატომ დასჭირდათ აფხაზებს ახლა ამგვარი პროპაგანდის აგორება, განაცხადა:

„კამპანიას ვერ ვხედავ. ეს არის მხოლოდ ერთი ადამიანის მიერ გახსენებული ეპიზოდი. კამპანიის ნიშნები კი ჯერ არ ჩანს".

ასევე ნიშანდობლივია ზაქარეიშვილისა და კობახიას ერთგვაროვანი ლექსიკა გაგრის ტრაგედიის ლეგენდა-მითად შერაცხვის შესახებ და გაგრაში გამეფებული „უწყინარი" გარემო.

ამასთანავე კობახია დადებითად აღწერს ქართველი კოლეგების ქმედებებს და „სიმართლეს" იხსენებს. „სიმართლე" კი თურმე ის ყოფილა, რომ ზაქარეიშვილმა დიდი მადლობის ნიშნად უთხრა კობახიას: „ დიდი მადლობა, ჩვენ დავრწმუნდით, რომ ეს სიმართლე არ არის, არავითარ სიმხეცეს ადგილი არ ჰქონია". ამ ფრაზით ზაქარეიშვილმა არა მარტო დაღუპული, არამედ ცოცხალი გაგრელები და მთელი საქართველო დაამცირა და შეურაცხყო.

ზაქარეიშვილისა და კობახიას ერთგვაროვანი ლექსიკა გაგრის ტრაგედიის გათეთრების მიზნით აგორებულ პროპაგანდაში ურთიერთშეთანხმებულ, კოორდინირებულ და კარგად დაგეგმილ ქმედებაზე აშკარად მიუთითებს. ამიტომაც გასაგები ხდება ჩემთვის ზაქარეიშვილის 2012 წლის 24 ოქტომბერს გაჟღერებული ოპტიმისტური განცხადება იმის თაობაზე, რომ აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის რიტორიკა 6 თვეში შეიცვლება. გამორიცხული არ არის, რომ გაგრის ტრაგედიის გარშემო აგორებული აფხაზურ-ზაქარეიშვილისეული ბინძური პროპაგანდა რიტორიკის შეცვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი იყოს. ამიტომაც, სავარაუდოა, მსგავსი პროპაგანდა მომავალში არაერთხელ აგორდეს და იმ დასახლებული პუნქტების გათეთრებითა და გაყალბებით გაგრძელდეს, სადაც სეპარატისტებმა ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინეს. გაგრის შემდეგ ამ ამაზრზენი პროპაგანდისტული გეგმის რიგში, შესაძლოა, ომის შემდგომი გალი მოიაზრებოდეს, სადაც სეპარატისტებმა 1600 მშვიდობიანი ქართველი მოსახლე მოკლეს.



არ გამოვრიცხავ გათეთრების სანაცვლოდ, რომელიც აფხაზური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის არსებობის გამართლებისთვის აგორდა, ანქვაბმა დიდი მადლიერების ნიშნად ქართველ ხალხს ბოდიშიც კი მოუხადოს ნებისმიერი ომისთვის დამახასიათებელი ძალადობის გამოვლინების ცალკეული შემთხვევების გამო. შესაძლოა ამისთვის უახლოეს მომავალში აფხაზების მიერ დაიდგას პაატა-შოუ, რომელიც ომის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგულ ქართველთა ცხედრების გადაცემის ყალბი ცერემონიალით დაგვირგვინდება. ეს იქნება სწორედ ის მადლიერების ხარკი, რომელსაც აფხაზური მხარე ზაქარეიშვილს გენოციდის გათეთრებისთვის (ომის შემდგომ 5000-მდე დახვრეტილი ქართველის ჩათვლით), მადლობის ნიშნად გადაუხდის. ამ ყალბი ცერემონიალის მსვლელობისას ანქვაბს შესაძლოა ცრემლის კურცხალიც კი ჩამოუვარდეს, რის ფონზე ზაქარეიშვილი მისი „წინასწარმეტყველური" ნიჭის გამო — „რიტორიკა შეიცვლებაო" გმირად გამოცხადდება. გულუბრყვილო ქართული საზოგადოება კი შეიძლება აღტაცებული შეხვდეს ამ მზაკვრულ ხაფანგს, რომელიც საბოლოოდ სახელმწიფოებრივი სუიციდი იქნება.

რეინტეგრაციის მინისტრის აზრით არავის აქვს უფლება გარდა სასამართლოსი გაგრის ტრაგედიას გენოციდი დაარქვას. ეს მხოლოდ გამოძიების პრეროგატივაა.

„გენოციდის თქმის უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს, მეტი არავის. არავის აქვს უფლება, მე, ან სხვა ვინმეს თქვას, რომ ვინმემ ვინმეს წინააღმდეგ განახორციელა გენოციდი, გარდა სასამართლოსი", — აცხადებს ზაქარეიშვილი გადაცემა „პოლიტმეტრში".

იმ შემთხვევაში, თუ გაგრის ტრაგედიას მხოლოდ და მხოლოდ სასამართლო დადგენილების შემდეგ შეიძლება გენოციდი დაერქვას, მაშინ სასამართლომვე უნდა დაადგინოს, რომ ეთნოწმენდას გაგრაში ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, ზაქარეიშვილს უფლება არა აქვს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე გაგრის ტრაგედიას ლეგენდის იარლიყი მიაწებოს. სახელმწიფო მინისტრის რანგში გაგრის ტრაგედიის ლეგენდად შერაცხვა მყარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ანტისახელმწიფოებრივი განაცხადებაა. ზაქარეიშვილი თავისივე განცხადებაზე აპელირებს იმით, რომ მას არსად არ უთქვამს გაგრის სტადიონზე ქართველების თავებით ფეხბურთს, რომ არ თამაშობდნენ დადგენილი ფაქტია.

„სად ვთქვი მე, რომ დადგინდა, რომ გაგრის სტადიონზე არ თამაშობდნენ თავებით. მე არსად არ მითქვამს", — აპელირებს ზაქარეიშვილი. გამომდინარე იქიდან, რომ ზაქარეიშვილი იძულებულია აღიაროს, რომ გაგრის სტადიონზე ქართველების თავებით ფეხბურთს არ თამაშობდნენ სამართლებრივად დადასტურებული ფაქ-

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# პაატა ზაქარეიშვილმა, აფხაზეთის ომიდან 20 წლის თავზე, ასეულობით თავმოკვეთილ ქართველს თავისი შემზარავი სიცრუით ხელმეორედ მოკვეთა თავები




ტი არ არის. ეს გარემოება მას ხელს არ უშლის ტრაგედიას ლეგენდის სტატუსი მაინც მიანიჭოს. გამოდის, რომ ზაქარეიშვილია გამოძიებაც, სასამართლოც, კანონიც, რომელსაც ერთპიროვნულად ძალუძს ქვეყნისთვის ზესახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხს გამოუტანოს განაჩენი, ისე როგორც თავად მოესურვება. როგორც ჩანს, ზაქარეიშვილს მისი ჯერ არცთუ ხანგრძლივი ჩინოვნიკური მოღვაწეობის პერიოდში თანამდებობით ტკბობის სენი შეჰპარვია მისთვის დამახასიათებელი გვერდითი მოვლენებით, როგორიც არის ყოვლისმცოდნეობის, ყოვლისშემძლეობისა და თვით განუსჯელობის მძაფრი ილუზია.

ამ არასამართლებრივ, ანტისახელმწიფოებრივ ვერსიას ზაქარეიშვილი ამყარებს იმით, რომ მომხდარი ტრაგედიის მოწმეები და თვითმხილველები არ უნახავს. გადაცემა „პოლიტმეტრში" ის ირწმუნება, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით, ის ქართველების თავებით ფეხბურთის თამაშს ვერ ამტკიცებს.

"ჩემ ხელთ არსებული ინფორმაციით, მე ვერ ვამტკიცებ ამას, იმიტომ რომ, მე ვერ ვნახე დღემდე ვერც ერთი ადამიანი, ვინც იტყვის, რომ აი, მე შევესწარი. ხომ ამბობენ: თამაშობდნენ. ანუ ვიღაცამ ხომ ნახა ეს, ვიღაცა ხომ თამაშობდა. უნდა არსებობდეს მოწმე, ვინ დაინახა. გარდა ამისა, ამბობენ, რომ ფირები არსებობსო. რომ, აი, მე ვიცი კაცი, ვინც ნახა ფირი. მე ვერ ვნახე კაცი, რომელმაც ნახა ფირი. ყველამ იცის ვიღაცა სხვა, რომელსაც გაუგია", — განმარტავს რეინტეგრაციის მინისტრი.

ზაქარეიშვილის განმარტებიდან ირკვევა, რომ გაგრის ტრაგედიას არ ჰყავს არც მოწმეები, არც თვითმხილველები. მის გარშემო არსებობს მხოლოდ მითქმა-მოთქმა ჭორის დონეზე. შესაბამისად, ზაქარეიშვილის თქმით, რადგან მტკიცებულებები არ არის, არ არის დანაშაული. ამიტომაც, ზაქარეიშვილმა არარსებულ დანაშაულს ლეგენდის სახელი მოუძებნა. მიუხედავად მინისტრის დიდი სურვილისა, გაგრის ტრაგედია ლეგენდად გასაღდეს, ტრაგედიის თვითმხილველები, მისდა სამწუხაროდ, მაინც არსებობენ.

გაგრის მოვლენებზე გამოძიება აფხაზეთის პროკურატურამ უკვე ჩაატარა და დაადასტურა, რომ გაგრაში ეთნიკური ნიშნით ქართველებს თავებს აჭრიდნენ. ყოფილმა იუსტიციის მინისტრმა პ. დავითაიამ განაცხადა, რომ მომხდარის უშუალო მოწმე არსებობს. თვითმხილველის ჩვენების მიხედვით მის თვალწინ ქართველს თავი მოკვეთეს და ერთ-ერთმა კავკასიელმა მოჭრილ თავს ფეხი მიარტყა. რეინტეგრაციის მინისტრისთვის ეს საკმარის მტკიცებულებას არ წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ ის მოუწოდებს გამოძიებას, სასამართლოს გამოიძიონ და დაადასტურონ.

„კეთილი ინებოს გამოძიებამ, სასამართლომ გამოიძიოს და დაადასტურონ. როგორც კი მე მივიღებ ფაქტებს, მე ვაღიარებ"- აცხადებს ზაქარეიშვილი.

გასაკვირია რეინტეგრაციის მინისტრის გულმავიწყობა, მიუხედავად იმისა, რომ, მისი თქმის არ იყოს, სკლეროზს არ უჩივის. 1993 წელს გაზეთ „სვობოდნაია გრუზიაში" გამოქვეყნდა ადამიანის უფლებათა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების სახელმწიფო კომიტეტის შემზარავი ცნობა აფხაზეთში ქართველების გენოციდისა და ეთნიკური წმენდის შესახებ, რომელიც ზაქარეიშვილს უნდა ახსოვდეს, რადგან ის ამ კომიტეტის განყოფილების გამგედ მუშაობდა 1992-1995 წლებში. შესაბამისად, ზაქარეიშვილი სახელმწიფო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ გაგრაში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული ეთნოწმენდის ფაქტებს მაშინ ეთანხმებოდა. ცნობა გაგრაში ქართველების წინააღმდეგ განხორციელებული მასობრივი ჟლეტის ფაქტებს ცხადყოფს.

„გაგრის აღების პირველივე დღეებში უამრავი უდანაშაულო მოქალაქე დახვრიტეს. საშინელ წამებაში ამოწყვიტეს მთელი ოჯახები - ბარამიძეების, ჩხეტიების, ბარამიების, გვაზავების, ძიძიგურების, აბსანძეების, შონიების, კუციების და სხვა. ჩვენს მიერ გადამოწმებული მონაცემებით, გაგრაში 500-ზე მეტი ოჯახი ამოჟლიტეს მთლიანად. გაგრის სტადიონზე 600 -მდე ქართველს სასტიკად გაუსწორდნენ. მარტო გაგრის ზონაში მოკლულია 3500-ზე მეტი ქართველი. დახვრეტილთა შორის არის აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი, გაგრის ადმინისტრაციის მეთაურის მოადგილე დეპუტატი მიხეილ ჯინჭარაძე".

კომიტეტის ცნობა ცხადყოფს, რომ გაგრის ზონაში ქართველებთან ერთად სხვა ეროვნების მოქალაქეებიც დახვრიტეს, იმის გამო, რომ ისინი ქართველებს იფარავდნენ. ცნობაში წარმოდგენილი შემზარავი ფაქტების ნუსხა უსასრულოა და სრულად აღწერს გაგრაში დატრიალებული ტრაგედიის არნახულ მასშტაბებს, რომელსაც ზაქარეიშვილი მაშინ ეთანხმებოდა და ხელს აწერდა, თუმცა დღეს მას ეს არ ახსოვს.

რეინტეგრაციის მინისტრს ასევე უნდა ახსოვდეს აფხაზეთში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ ეთნიკური წმენდისა და გენოციდის პოლიტიკის დამდგენი ფაქტების სახელმწიფო კომისიის განცხადება.

სახელმწიფო კომისიის განცხადებიდან ირკვევა, რომ 1992 წელს სეპარატისტებმა გაგრის ზონაში ტერორის კამპანია დაიწყეს მისთვის თან-





მხლები მკვლელობის, წამების, ყაჩაღობის, რბევის, სახლებისა და კერძო საკუთრების განადგურების სახით. საერთო ჯამში ამ ზონიდან ძალადობრივი გზით 17000 ქართველი გააძევეს, ხოლო 3000 მოკლეს. ფაქტები, რომლებიც ასეულობით მშვიდობიანი ქართველი მოქალაქის მასიურ წამებას ეხება დადასტურებულია სპეციალური კომისიის მიერ, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა დააფუძნა.

სეპარატისტები და მათი დაქირავებულები გაგრის მსგავსად სხვა დასახლებულ პუნქტებში - სალხინოს, განთიადის, ბიჭვინთას, ლიძავას, ალახაზესა და ბზიფის მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის მეთოდურ მკვლელობას განაგრძობდნენ. 85 წლის მოქალაქე გორგილაძეს და მოქალაქე სამხარაძეს თავები მოჰკვეთეს.

ზაქარეიშვილი მაინც ახირებულად გაიძახის დღეს, რომ მტკიცებულება ქართველების თავებით ფეხბურთის თამაშის შესახებ არ არსებობს, მაშინ როდესაც თავების მოკვეთის ფაქტები გამოძიების მიერ დადასტურებულია. ზემოთ აღნიშნული ადამიანის უფლებათა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების კომიტეტის შემზარავი ცნობაც, ასევე აფხაზეთში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ ეთნიკური წმენდისა და გენოციდის პოლიტიკის დამდგენი ფაქტების სახელმწიფო კომისიის განცხადებაც, გაერო-ს სპეციალური კომისიის მიერ დადგენილი ასეულობით მშვიდობიანი ქართველი მოქალაქის მასიური წამების ფაქტებიც რეინტეგრაციის მინისტრისთვის მტკიცებულებას არ წარმოადგენს.

მის ტოტალურ ამნეზიას ერთადერთი ახსნა შეიძლება ჰქონდეს. ზაქარეიშვილი ტრაგედიის გაყალბებისა და გათეთრების სურვილით არის შეპყრობილი და არა მისი დადგენით. ამიტომაც, ცხადია, რატომ არ ახსოვს და ვერ ხედავს ის ტრაგედიის თვითმხილველებსა და მტკიცებულებებს, რომლებსაც ის იმ დროისთვის ეთანხმებოდა. დღეს კი ზაქარეიშვილი საზოგადოების წინაშე კარდინალურად სხვა ამპლუაში გამოდის და თავისი „ლეგენდარული" ვერსიის შეთხზვით არის გატაცებული. სახელმწიფო მინისტრი გადაცემა „პოლიტმეტრში" გაგრის ლეგენდის წარმომავლობას შემდეგნაირად ხსნის:

„მე ვასვენებდი იმ გვამებს, რომლებსაც თავები არ ჰქონდათ. რატომ არ ჰქონდათ, იმიტომ რომ ზემოდან ეყარა გვამები მიწაზე და აფხაზეთი, მოგეხსენებათ, ნესტიანი მხარეა. საკმარისია გვამი ზემოდან იყოს ერთი დღე, თუ ორი დღე, ბოდიში ამ ნატურალიზმისათვის, რომ უკვე სხეული იშლება. მარტო მე ვაკეთებდი ამას. არავინ არ მეხმარებოდა. როგორც კი გვამს მოჰკიდებ ხელს იშლება და ხშირად ტომარაში ვდებდით ცალკე გვამს და ცალკე თავს. კიდევ უარესი რაღაცები შემიძლია მოვყვე. ამიტომ ხშირად, ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე მერე მოყვებოდა ლეგენდები, რომ თავმოკვეთილი გვამი ჩააბარა პატრონს. მე ხომ კარგად ვიცი რა მოხდა. ჩემი ხელით კეთდებოდა ყველაფერი ეს. ამიტომ მე ვარ ის პირველი ადამიანი, პირველწყარო, რომლის მოქმედებების შემდეგ იწყებოდა ლეგენდები სხვადასხვა მიმართულებით" — აცხადებს ზაქარეიშვილი.

უთავო გვამებს ზაქარეიშვილი თავის საქმიანობას და აფხაზეთის ნესტიან კლიმატს აწერს . თავები ცხედრებისთვის ერთ- ორ დღეში კლიმატს დაუჭრია. საინტერესოა სამედიცინო განმარტება, თუ რამდენად შესაძლებელია ორ დღეში, რაც არ უნდა ნესტიანი კლიმატი იყოს, ცხედარს თავი მოძვრეს.

ასეთი გახლავთ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა ჩემს ოფიციალურ თხოვნაზე — განემარტათ პაატა ზაქარეიშვილის მიერ გაჟღერებული ზემოთ აღნიშნული განცხადების სრული ტექსტი.

ასევე, ზაქარეიშვილის ამ განცხადებაზე მივიღე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ პათოლოგანატომ ზაზა თოფურიას სამედიცინო განმარტება, რომლის თანახმად ყოვლად გაუმართლებელია (სამედიცინო თვალსაზრისით) ტერმინი „სხეული იშლება". გვამური გახრწნა და არა შლა მიკრობულ დონეზე ეხება რბილ ქსოვილებს, რაც შეეხება ძვლოვან ქსოვილს, ხერხემლის სვეტს თავის ქალასთან ერთად, ხრწნითი, ანუ ლპობითი პროცესი მის მთლიანობას ათეული და ასეული წლების განმავლობაში ნაკლებად აზიანებს.

შესაბამისად, უთავო გვამები, რომელსაც ზაქარეიშვილი აფხაზეთის ნესტიან კლიმატს აბრალებს, არა ლპობისა და გვამური დაშლის შედეგია, არამედ გარეშე ფიზიკური ზემოქმედების, როგორიცაა მჩეხავი, მჭრელი თვისებების მქონე საგნის მოქმედება. ამიტომ იტყუება ზაქარეიშვილი, როდესაც აცხადებს, რომ საკმარისია ერთი, — ორი დღე ნესტიანი კლიმატის პირობებში, რომ თავი გვამს თავისით მოძვრეს. დღეს ტრაგედიიდან 20 წლის თავზე საქართველოს რეინტეგრაციის მინისტრმა ასეულობით ქართველის თავმოკვეთილ გვამს კიდევ ერთხელ თავები დააჭრა, იმ სიცრუით, რომლის მიხედვითაც ცხედრები თავის საქმიანობასა და ნესტიან კლიმატში გააფორმა. ცხადია, ზაქარეიშვილი ომის ლეგენდის შემთხზველიც და გამომგონებელიც თავად ბრძანდება. თუმცა, ის ლეგენდის ავტორებად ჭირისუფალთან მისასამძიმრებლად მისულ საზოგადოებას ასახელებს.

„ჭირისუფალს ვერც აუხსნიდი და ძნელიცაა. მე ვუხსნიდი ყველაფერს, მაგრამ მერე იქ სხვები მოდიოდნენ, იქ სხვები იყვნენ და ამას რომ უყურებდნენ, იგებოდა, იგებოდა. ასეთი ფაქტები არის ათეულობით და ასეულობით. ჩემი მონაწილეობით, სხვისი კი არა, სხვისი კი არ მომიყოლია არაფერი. ასე შემიძლია მოვყვე ათასობით რაღაცები, მაგრამ ეს, ეხლა, არ არის ეხლა ამის დრო", — აცხადებს ზაქარეიშვილი.

ირკვევა, რომ ათეულობით და ასეულობით თავმოკვეთილი გვამის გათეთრებაში ზაქარეიშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ჭირისუფალს უთხზავდა ლეგენდებს აფხაზეთის ნესტიანი კლიმატის შესახებ, რომელმაც ერთ- ორ დღეში ცხედრებს თავები თვითონ „დააჭრა". თავადაც აცხადებს, რომ „ამიტომ მე ვიცი, საიდან მოდის ეს ლეგენდები. სადაა ფესვები ჩაყრილი". ცხადია, ლეგენდის ავტორსა და გამომგონებელს საკუთარი ლეგენდის წარმომავლობა სხვაზე უკეთ მოეხსენება. ამიტომაც იცის ზაქარეიშვილმა მის მიერ შეთხზული ლეგენდის ფესვები სადაა ჩაყრილი - ისევ და ისევ მის მრუდე ფანტაზიაში, თუმცა ჭირისუფალთან მისასამძიმრებლად მისული საზოგადოებისკენ ურცხვად, უსინდისოდ იშვერს ხელს და ასობით ქართველის თავმოკვეთილი გვამის ლეგენდის შემთხზველად ასახელებს მის მიერვე შეთითხნილი სიცრუით ლაფში სვრის და ჩირქს სცხებს.

შესაბამისად, გაგრის ლეგენდად გაფორმების, თავმოკვეთილი გვამების გათეთრებისა და გაგრაში ჩადენილი ეთნოწმენდის ომისთვის ჩამოწერის პირველი და ერთადერთი წყარო თავად საქართველოს ამჟამინდელი სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილია.

გამომდინარე აქედან, ზაქარეიშვილის ამასწინანდელი ნიშნის მოგება და ტრაბახის კილოთი გაჟღერებული განცხადება დამაჯერებლობას კარგავს.

„მოდით, ვისწავლოთ ყოველთვის ზუსტად, იმიტო რომ დიპლომატები, პოლიტიკოსები კარგად წონიან სიტყვებს. ამიტომაა, რომ მე ვერავინ მიჭერს სიტყვებში. თუმცა, ჩქარა ვლაპარაკობ ძალიან, მაგრამ შეცდომებს არ ვუშვებ არასდროს. ამიტომ ყოველთვის ვიცი, რას ვლაპარაკობ. არასდროს მითქვია რა, რომ მე მომხრე ვარ, სიტყვაზე, აფხაზეთის დამოუკიდებლობისა. ყოველთვის ვიღაცებს ეს შთაბეჭდილება რჩება. ვერასდროს ვერ მოაქვთ ვერანაირი მტკიცებულებები"- აცხადებს ზაქარეიშვილი.

არა მგონია, მსგავსი ნიშნის მოგებისა და ტრაბახის საფუძველი ზაქარეიშვილს დარჩეს მას შემდეგ, რაც ლეგენდა აფხაზეთის ნესტიანი კლიმატის გამო თავმოჭრილი გვამებისა არ დადასტურდა.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ საზოგადოება მიეჩვია ამ სწრაფადმეტყველი კაცის „ყოვლისმცოდნეობას", მის თავდაჯერებულ გამოსვლებში შეპარულ სიცრუეს, ანტისახელმწიფოებრივ, პროაფხაზურ და ანტიქართულ განწყობას. ამის დასტურია ის, რომ არავის - მათ შორის, მასთან მოპაექრე სოხუმელ ექიმს, წინა ხელისუფლების კომიტეტის თავმჯდომარეს, ამჟამინდელ პარლამენტის დეპუტატს შ. მოლაშხიას ზაქარეიშვილისეული ლეგენდის მიხედვით, ვითომდა ნესტიანი კლიმატის გამო

16 gv.

# დავლური ცხედრების გარშემო ანუ რატომ თხზავს ყალბ ლეგენდებს რეინტეგრაციის მინისტრი?

14-15 gv.

სხეულს თავმოცილებული გვამების თაობაზე კითხვები არ უჩნდება.

ზაქარეიშვილი ეთნოწმენდის ომისთვის ჩამოწერას აფხაზებთან შერიგების აუცილებლობით ხსნის. იმისათვის, რომ შერიგება შედგეს დანაშაული უნდა გათეთრდეს.

„დავუშვათ დადასტურდა. დავუშვათ თამაშობდნენ თავებით, ჩვენ დღეს გვჭირდება ამაზე ლაპარაკი, თუ შერიგებაზე მივდივართ? თუ ჯობს რაღაცები გვერდზე გადავდოთ და შევრიგდეთ და მერე ვილაპარაკოთ ამაზე“, — აცხადებს ზაქარეიშვილი და დასძენს, — „რას მოგვიტანს დღეს ოცი წლის თავზე ამაზე ლაპარაკი, თუ ჩვენ ისევ შერიგებისკენ მივდივართ“.

დავუშვათ ზაქარეიშვილისეულ ლოგიკას გავყევით. აფხაზებთან შერიგების სანაცვლოდ გაგრაში და ზოგადად, აფხაზეთში ეთნოწმენდა გავათეთრეთ, ასობით ქართველის თავმოკვეთილი გვამი აფხაზეთის ნესტიან კლიმატში გავაფორმეთ და შევრიგდით. ამ შემთხვევაში, დარჩება თუ არა საქართველოს მორალური და სამართლებრივი საფუძველი იმისთვის, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩადენილი ეთნოწმენდის ფაქტების განხილვას სამომავლოდ დაუბრუნდეს? პასუხი ცალსახაა. რა თქმა უნდა, არა. შესაბამისად, საქართველო ავტომატურად კარგავს საკუთარ ტერიტორიებზე სამომავლო სამართლებრივ პრეტენზიას. ზაქარეიშვილს კი, როგორც სახელმწიფო მინისტრს, საქართველოსთვის ამ „მიმზიდველი“ პერსპექტივის განხორციელება ეჩქარება.

„თუ ჩვენ დრო დავკარგეთ და გავიდა თვეები და მათ მოლოდინებს არ ვუპასუხეთ, ჩვენს მიმართ უკვე აღარ ექნებათ ეს ნდობა“, — აცხადებს მინისტრი.

გამოდის, რომ აფხაზებთან ნდობის აღდგენის სანაცვლოდ საქართველომ საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ განხორციელებულ სიცოცხლისა და საკუთრების ხელყოფის მასობრივ ეთნიკურ ტერორზე თვალი უნდა დახუჭოს. ეს ის ფასია, რომელიც ზაქარეიშვილის აზრით, საქართველომ უნდა გადაიხადოს.

შესაბამისად, გასაგებია ზაქარეიშვილის მიერ გამოთქმული უკმაყოფილება მისი სამინისტროს სახელწოდებასთან დაკავშირებით. სიტყვა „რეინტეგრაცია“, რომელიც აღდგენას ნიშნავს, ამჟამინდელი მინისტრისთვის ძირეულად მიუღებელია, ისევე, როგორც აფხაზებისთვის. ის ქვეყნის მთლიანობის აღდგენით ნაკლებად არის დაინტერესებული. ამიტომაც, ზაქარეიშვილს რეინტეგრაციით სახელდებული სახელმწიფო უწყების არსებობა დისკომფორტს უქმნის.

რეინტეგრაციის მინისტრი აფხაზებსა და ქართველებს შორის ნდობის აღდგენის მისეულ სამოქმედო გეგმას აჟღერებს. ამ გეგმის მიხედვით გამოძიებული უნდა იყოს ყველა ის ქმედება, რომელიც საქართველოს სხვადასხვა ხელისუფლების მიერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიმართულებით განხორციელდა.

„მე მესმის, რომ ეხლა სხვა თემები უფრო მნიშვნელოვანია, მაგრამ არის უამრავი თემები, უამრავი საკითხები, რაც აუცილებლად მოითხოვს გამოძიებას. მაგალითად, 22 მაისის ამბავი ხურჩაში 2008 წელს არჩევნების დღეს. რა მოხდა იქ, ორი ავტობუსი რომ დაიწვა. მაგალითად, 3 ივლისის ტერაქტი სანაკოევის წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა შეუქცევადი დაბომბვები ქართული სოფლების, რამაც მიგვიყვანა 8 აგვისტომდე შემდეგ. ანუ ბევრი კითხვებია. მე არ ვამბობ, რომ ვიღაც კონკრეტული დამნაშავეა. მე ვამბობ, რომ უამრავ კითხვაზე პასუხი არაა. უამრავ კითხვას უნდა გავცეთ პასუხი და ჩვენ აღვადგენთ ნდობას აფხაზებთან და ოსებთან“ — აცხადებს ზაქარეიშვილი.

ცხადია, პასუხგაუცემელი კითხვები არ უნდა დარჩეს. ნდობა აღსადგენია. დანაშაული მიუხედავად დამნაშავის ეთნიკური კუთვნილებისა, გამოსაძიებელია. ცალკეული შემთხვევების გამოძიებას წინ არაფერი უდგას, ოღონდ ეს ყველაფერი მას შემდეგ, რაც აფხაზეთში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილ მასობრივ ეთნოწმენდას - გაგრაში, სოხუმში, კოლხიდაში, ბიჭვინთაში, ალახაზეში, განთიადში, არადუში, ცაგერაში, ახალსოფელში, გოლგოთას გზაზე ჭუბერში, კამანის მონასტერში დახვრეტილი ქართველი და აფხაზი ღვთისმსახურები, აფხაზეთის მთავრობის სამაგალითო დახვრეტის, ათასობით ქართველის დახვრეტასა და ბარბაროსულ წამებას ომის შემდგომ მშვიდობიან ოჩამჩირეში, განსაკუთრებულად გაუგონარ სისასტიკეს გალში საერთაშორისო სამართლის ენაზე სამართლებრივი შეფასება მიეცემა.



თუმცა ზაქარეიშვილის „კეთილშობილური“ გეგმის თვითმიზანი სულ სხვა არის. კერძოდ, აფხაზეთში განხორციელებული ეთნიკური ნიშნით ქართული მოსახლეობის მასშტაბურ დევნას ამ გეგმის მიხედვით მხოლოდ და მხოლოდ ძალადობის ცალკეული შემთხვევების ელფერი მიეცეს, რაც ეთნოწმენდის მასობრივ ხასიათს გააბათილებს. ავტოქტონური მოსახლეობის ოკუპირებული ტერიტორიებიდან მასშტაბური დევნა მხოლოდ დანაშაულებრივი ქმედებების ერთეულ შემთხვევებში გატარდება, რაც თავისთავად ეთნოწმენდის საკითხის განხილვას სამომავლოდ დახურავს.

რეინტეგრაციის მინისტრის „უწყინარი“ გეგმის ამ ამორალურ არსს მისივე განცხადება ადასტურებს.

„აფხაზებსაც აქვთ ლეგენდები ჩვენს წინააღმდეგ, დამერწმუნეთ. ეს არ ნიშნავს რომ სისასტიკეები არ იყო. ძალიან ბევრი სისასტიკე იყო ორივე მხარეს. მე შემიძლია ერთიც მოვყვე და მეორეც მოვყვე“, — აცხადებს ზაქარეიშვილი.

უდაოა, რომ სისასტიკე იყო, და იყო ორივე მხარეს, მაგრამ ამ „სისასტიკეებისა“ და „ლეგენდების“ შედეგად საკუთარი მიწა-წყლიდან გაძევებული მხოლოდ ერთი მხარეა - 300 000 დევნილის სახით და სწორედ ეს მხარე, ანუ ქართული მხარე, როგორც გენოციდისა და ეთნოწმენდის მსხვერპლი ზაქარეიშვილი ლამობს მის მიერვე გამოგონილ „ომის ლეგენდას“ ჩამოწეროს. გამოდის, რომ ზაქარეიშვილი, საბოლოო ჯამში, თავისი „უწყინარი“ გეგმით გაგრის ტრაგედიის გაყალბების ფარგლებს სცილდება და ლამისაა მთელ აფხაზეთს გადასწვდეს.

ზაქარეიშვილს თავისი უწყინარი გეგმის განხორციელების დრო შემთხვევით ახლა არ შეურჩევია. თავადაც აცხადებს: „მე მესმის, რომ ეხლა სხვა თემები უფრო მნიშვნელოვანია“. იმ ფონზე, როდესაც საზოგადოების ყურადღებას არაერთი გახმაურებული საქმე იქცევს და ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების წინა პლანზე ბევრად უფრო აქტუალური თემები მოქმედებს, მსგავსი საეჭვო ჩანაფიქრის შესაცურებლად საკმაოდ ხელსაყრელი მომენტია. ეს სწორედ ის დროა, რომელიც მღვრიე წყალში თევზის დაჭერით არის ცნობილი. ამიტომაც, ცხადია ასე რატომ ეჩქარება ზაქარეიშვილს ქართველებსა და აფხაზებს შორის ე.წ. მისეული ნდობის აღდგენა.

გაგრაში დატრიალებული საშინელი ტრაგედიის ამ ახლებურ, აფხაზურ ინტერპრეტაციას, რომელიც ზაქარეიშვილმა დიდი ენთუზიაზმით აიტაცა, მკაცრად ეხმაურება ექსპერტ-კონფლიქტოლოგი მამუკა არეშიძე.

ის აცხადებს, რომ გაგრაში საშინელი ფაქტები მოხდა. ამ ფაქტებს ვიდეო მასალა ადასტურებს, რომელიც პროგრამა „საღამო მშვიდობისას“ კოლექტივმა იყიდა. ვიდეოზე აღბეჭდილია როგორ ყრია გაგრის ქუჩებში უამრავი ადამიანი, როგორც სამხედრო, ასევე არასამხედრო ფორმაში და ეს კადრები მთელმა საზოგადოებამ იხილა.

არეშიძე აცხადებს, რომ ამ ახალი პროპაგანდით აფხაზური მხარე ისტორიის გათეთრებას ცდილობს, იმისათვის, რომ მაქსიმალურად გამოაჩინოს თავისი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ძნელია მას არ დაეთანხმო.

„დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რომელსაც აქვს ასეთი ბნელი, ცუდი წარსული და ცუდი ბიოგრაფია, მისი აღქმა მსოფლიო საზოგადოებისთვის, როგორც ნორმალური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნისა რთულია. აქედან გამომდინარე, ცდილობენ ამ ტიპის პროპაგანდით იმოქმედონ, როგორც თავის საზოგადოებაზე, ისე უცხოურზე“, - განმარტავს არეშიძე.

უახლოეს წარსულში კონფლიქტოლოგები ერთსულოვანი იყვნენ თავის ხედვაში, რომ აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსის ასამაღლებლად პროცესი უნდა დაწყებულიყო. გაგრის ტრაგედიის ომისთვის ჩამოწერა ამ პროცესის ხელსაყრელი დასაწყისია, მაგრამ იდეოლოგიურ თანამოაზრეთა შეხედულებები და პოზიციები გაგრის ტრაგედიის გარშემო იყოფა.

არეშიძე გაგრის ტრაგედიის ახლებურ ხედვას კატეგორიულად არ იზიარებს და ისტორიის გათეთრებად აფასებს. თუმცა, ის განზრახ გვერდს უვლის იმ გარემოებას, რომ ამ გათეთრების მცდელობას სწორედ რეინტეგრაციის მინისტრი თავისი ბოლო განცხადებებით არათუ ხელს უწყობს, არამედ პირდაპირ ამოწმებს. მას არათუ გაგრის სტადიონზე, არამედ ქალაქშიც ეთნოწმენდის კვალი არ შეუმჩნევია, გარდა რამოდენიმე ცეცხლმოკიდებული სახლისა, რომელიც ქართველებს ეკუთვნოდათ.

„გაგრაში მართლაც იყო რამოდენიმე სახლი დამწვარი, თუმცა, არა ის სახლები, რომლებიც სიაში გვქონდა. სიაში შეტანილთაგან კი არც ერთი სახლი დამწვარი არ აღმოჩნდა. აფხაზებმა გვითხრეს, რომ ეს შენობები ომის დროს დაიწვა. ჩვენ ფსოუმდე ჩავედით, გავიარეთ სოფელი თავისუფლება, სადაც ერთი სახლი იწვოდა“, — აცხადებს ზაქარეიშვილი სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ცხადია, ასეთი უწყინარი სურათისა და მხოლოდ რამოდენიმე, ომის შედეგად დამწვარი სახლის საფუძველზე (ასე უთხრეს ზაქარეიშვილს აფხაზებმა), საუბარი ქალაქში ეთნიკური ნიშნით მოსახლეობის მასობრივ დევნაზე, გამორიცხულია. მაშინ რამ განაპირობა ქართული მოსახლეობისგან გაგრის სრული დაცლა? მხოლოდ და მხოლოდ, აფხაზების თქმით, ომის შედეგად დამწვარმა რამოდენიმე სახლმა?

რეინტეგრაციის მინისტრის მონაყოლიდან ირკვევა, რომ არა თუ გაგრაში, გაგრიდან ფსოუმდე განვლილ მანძილზეც, მას ძალადობის კვალი არ შეუმჩნევია. არეშიძე კი კარდინალურად საპირისპირო სურათს აღწერს იმ არნახულ სისასტიკეზე, რომელიც არა მარტო გაგრის აღების დღეს დატრიალდა გაგრაში, არამედ მის მიმდებარე სოფლებშიც და მაგალითისთვის სოფელ ახალსოფლის ტრაგედია მოჰყავს.

„მაგალითად, გუდაუთის რაიონის სოფელ ახალსოფლის ტრაგედიას ჩემი ცნობიერებიდან ვერავინ ამოშლის. სახელებითა და გვარებით ვიცი, იქ ვინ რა ჩაიდინა. ეს იყო გუდაუთის რაიონში არსებული ქართული სოფელი, რომელსაც ალყა შემოარტყეს და ამოწყვიტეს. ქალები გააუპატიურეს, ბავშვები დახოცეს და კიდევ რა არ გააკეთეს. ეს რაჭველების სოფელი იყო. რომელი ერთი ჩამოვთვალო“ — აცხადებს არეშიძე.

ექსპერტი არეშიძე მიუხედავად მის მიერ ჩამოთვლილი ეთნიკური ნიშნით ქართული მოსახლეობის მასობრივი წამებისა და დევნის დამადასტურებელი უტყუარი ფაქტებისა, რომლის თვითმხილველიც თავად არის, დასძენს, რომ „ეს ყველაფერი ვიცით. უბრალოდ, მე და იგივე პაატა ზაქარეიშვილს არ გვინდა ამ საკითხების პედალირება. ამაზე რომ ვილაპარაკოთ გაუთავებლად, ეს მხოლოდ ჩვენი მტრის წისქვილზე დაასხამს წყალს“.

„არ გვინდა ამ საკითხების პედალირება“, — ამბობს არეშიძე და იქმნება არცთუ უსაფუძვლო შთაბეჭდილება იმისა, რომ ისტორიის გათეთრების მცდელობას ირიბად მაინც ამართლებს, მაშინ როდესაც დასაწყისში ის ამას გმობდა. გამომდინარე აქედან, ბუნებრივი კითხვა მიჩნდება: არის თუ არა არეშიძესა და ზაქარეიშვილს შორის წარმოქმნილი აზრთა სხვადასხვაობა მოჩვენებითი? იქნებ ურთიერთოპონირება ურთიერთდაბალანსებას გულისხმობს იმ რთულ გზაზე, რომელსაც აფხაზური სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი აღიარების პროცესი ჰქვია. მსგავსი დაბალანსების ტაქტიკა პოლიტიკაში მრავალნაცადი ხერხია, რომელიც, საბოლოო ჯამში, საზოგადოებისთვის თვალის ახვევას ემსახურება და ამ შემთხვევაში ე.წ. ოპონენტები ერთმანეთს ავსებენ.

არეშიძის აზრით, გაგრის ტრაგედიაზე პედალირება მტრის წისქვილზე ასხამს წყალს. ტრაგედია მოხდა, მაგრამ პედალირება, ანუ ამ თემაზე საუბარი და ზედმეტი ყურადღების გამახვილება საჭირო არ არის. ისტორიის გათეთრების, გაყალბების, დანაშაულის მიჩქმალვის და ომზე ჩამოწერის ხელშეწყობა, არეშიძის აზრით, თურმე საქართველოს წისქვილზე ასხამს წყალს. ისტორიის გათეთრების გაპროტესტება და იმავდროულად მისი ირიბი გამართლება იმ ბინძურ თამაშზე მეტყველებს, რომელიც ქართულ პოლიტიკაში სახელმწიფოებრივი და ეროვნული ღირსების, თავმოყვარეობისა და ქართველი ხალხის სამართლებრივი, მორალური უფლებების შელახვის ხარჯზე უკვე დაიწყო. ზაქარეიშვილის თქმის არ იყოს: „ჩვენ წაუგებელი თამაში დავიწყეთ“. ... òî æå ìíå - “Ìû Íèêîëàé II-îé”.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ამ წერილის დაწერის მოტივი არანაირ კერძო ხასიათს არ ატარებს და არც პოლიტიკური ხარკი არ არის, რადგან საკითხი, რომელსაც შევეხე ზესახელმწიოებრივი და ზეპარტიული მნიშვნელობის მქონეა. მოტივი ერთია - ჩემი როგორც რიგითი ქართველის უსაზღვრო ტკივილი ჩემი სამშობლოს, მისი განუყოფილი ნაწილის — აფხაზეთის მომავლის გამო. ჩემი ტკივილი იმის გამო, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უზენაესი საკითხი აბარია პიროვნებას, რომელსაც ისეთი უფსკრულის პირას მივყავართ, საიდანაც მხოლოდ ერთი - სრული განადგურების გზაღა ჩანს.

ტკივილი იმის გამო, რომ აფხაზეთში დაღუპული, დახვრეტილი, ნაწამები ჩვენი მოქალაქეების ხსოვნა, დევნილი ქართული მოსახლეობის ღირსება ფეხქვეშ ითელება მტრული, ანტისახელმწიფოებრივი, ცრუ, ანომალური, აბსურდული იდეებით შეპყრობილი ადამიანის მიერ.

ქართველი ერის საყოველთაო წუხილი, დარდი და ფიქრი საქართველოს განუყოფელი ნაწილის - აფხაზეთის მიმართ „ყოვლისმცოდნე“ კაცს ერთპიროვნულად პრივატიზირებული აქვს. კაცს, რომელსაც ზნეობრივი, მორალური, ქრისტიანული, ადამიანური, პოლიტიკური რესურსი არ გააჩნია ამ საკითხს უხელმძღვანელოს, რადგან არა მარტო უმრავლესობაში მყოფ პოლიტიკურ გუნდს, არამედ მთელ ქართველ ერსა და სახელმწიფოს დისკრედიტაციას უწევს.

მეტიც, ბოლო საგანგაშო განცხადებებიდან გამომდინარე ,სახელმწიფო ღალატში ვდებ ბრალს, რადგან მის მიერ შეთხზულ ლეგენდაში აშკარად იკვეთება სამსახურებრივი გულგრილობის, კვალის განზრახ დაფარვის, სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენების, სიმართლის მიჩქმალვა-მიჩუმათებისა და სამხედრო დანაშაულის კვალი. ამიტომ მოვითხოვ, ზაქარეიშვილის შემზარავი ლეგენდა ნესტიანი კლიმატის გამო, სხეულს თავმოცილებული ასობით ქართველის გვამის თაობაზე სამართალდამცავი ორგანოების მიერ საგანგებო და საფუძვლიანი შესწავლის საგანი გახდეს.

**ზურაბ ჩიქოვანი**
**ტელ.: 599 56 87 78**
**Facebook: ზურაბ ჩიქოვანი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ვინმეს ჰგონია, რომ თუ ახლოს გაივლის სვეტიცხოველთან, მადლი გადმოვა მასზე?

*ბაგრატის ტაძრის „რეკონსტრუქციას“ რა შედეგი მოჰყვა, ცნობილია, ახლა ჯერი სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარზე, სამთავროსა და ჯვრის მონასტრებზეა მიმდგარი. 2009 წლიდან ხსენებული ძეგლები გადაიტანეს საფრთხეში მყოფი ძეგლების ნუსხაში, ახლა კი, თუ „იუნესკოს“ დაგეგმილ 37-ე სესიამდე არ გაუქმდება საქართველოს მთავრობის მიერ 2012 წლის 17 სექტემბერს გამოცემული განკარგულება №1750 – „ქალაქ მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის შესახებ“, რომელსაც ხელს იმჟამინდელი პრემიერ-მინისტრი ივანე მერაბიშვილი აწერს და ამა წლის 16 ივნისამდე „იუნესკოში“ არ გაიგზვნება მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვითი ზონების ახალი პროექტი; თუ საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურები არ შეაჩერებენ მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლების სიახლოვეს დაწყებულ მშენებლობებს და არ მოახდენენ პოლიციის, მუზეუმის, საქსტატისა და იუსტიციის სახლის დემონტაჟს; თუ სახელმწიფო, „იუნესკო“ და ეკლესია კოორდინირებულად არ იმოქმედებენ, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხიდან მათი ამოღება გარდაუვალია, რადგან ესაა „იუნესკოს“ რეკომენდაციებზე დაყრდნობილი მოთხოვნები. („იუნესკოს“ მსოფლიო მემკვიდრეობის 36-ე სესიაზე უკვე ჩაწერილია, რომ „გამოხატავს უკიდურეს აღშფოთებას იმ მშენებლობებთან დაკავშირებით, რომელსაც აწარმოებს სახელმწიფო ძეგლების მიმდებრე არეალში, მდინარე არაგვის სანაპიროზე, სვეტიცხოვლის ტაძარსა და ჯვრის მონასტერს შორის და მოუწოდებს წევრ ქვეყანას შეწყვიტოს ყოველგვარი მშენებლობა ძეგლის ტერიტორიაზე და მის მიდამოში...“)*



*შესაბამისი მოქმედება არც ერთი სტრუქტურიდან არ ჩანს, არადა, ვადის ამოწურვამდე მხოლოდ ორი თვეღაა დარჩენილი...*

*ტერიტორიას, რომელსაც ორი დამცავი ზონა, არქეოლოგიური და „იუნესკოს ძეგლის ზონა“ ფარავდა, 2012 წელს პრემიერ ვანო მერაბიშვილის ბრძანებულების საფუძველზე ამოღებული იქნა არქეოლოგიური ზონის ნაწილი და დღეს ნაკვეთებად დაყოფილი გაყიდულია კერძო პირებზე, კერძო პირი კი რასაც მოისურვებს იმას აშენებს თავის ტერიტორიაზე...*

*„საერთო გაზეთის“ სტუმარია არქეოლოგი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი **გოდერძი ნარიმანიშვილი**.*

**— ბატონო გოდერძი, წინა ხელისუფლების მხრიდან უკანონო მშენებლობების წამოწყების შედეგად გარდა იმისა, რომ სახე დაკარგა ამა თუ იმ ისტორიულ ადგილს, მათი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის საკითხიც ეჭვქვეშ დგება, არადა, მსგავსი განუკითხავი მდგომარეობაა თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით.**

— რა თქმა უნდა! ხაზგასმულად უხეში ფიზიკური ჩარევა მოხდა ანტიკური ხანის მცხეთის, არმაზის, წიწამურის და სარკინეს ნაქალაქარებზე, განსაკუთრებით კი სამთავროს ველზე, სადაც 2009 წელს დაიწყო უკანონო მშენებლობები. ამ ადგილის შესწავლა XIX საუკუნეში დაიწყო და დღემდე გრძელდება. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა ბრინჯაოს, ანტიკური და შუა საუკუნეების ნამოსახლარები და სამაროვნები, რის გამოც აღმოჩენისთანავე მიიპყრო მსოფლიოს წამყვანი მეცნიერებისა და დაინტერესებული საზოგადოების ყურადღება. სწორედ სამთავროს ველზე გამოვლენილი ძეგლების განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო გამოცხადდა 1950 წელს მცხეთის ტერიტორია სახელმწიფო არქიტექტურულ ნაკრძალად და 1957 წელს ბერისციხემდე გაფართოვდა. 1966 წელს ნაკრძალის არეალში სრულად მიექცა მცხეთა და 1968 წელს ქალაქ-მუზეუმის სტატუსი მიენიჭა, 1994 წელს კი „მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში“ შევიდა მცხეთის ჯვარი, სვეტიცხოველი და სამთავროს მონასტერი.

როდესაც მშენებლობა დაიწყო (2009 წ) სწორედ ამ ზონაში, არქეოლოგებმა მაშინვე ავტეხეთ განგაში და მშენებლობა შეჩერდა, თუმცა დროებით, 2010 წელს ისევ წამოიწყეს და კიდევ შევაჩერეთ.



ახლა 2013 წელს ისევ განახლდა, ვინაიდან, ძალაში შევიდა საქართველოს მთვრობის მიერ 2012 წლის 17 სექტემბერს გამოცემული განკარგულება „ქ. მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის შესახებ“ (№1750) რითაც სამთავროს არქეოლოგიური ზონის გარეთ აღმოჩნდა ის ტერიტორია, სადაც სამშენებლო სამუსაოები ჯერ კიდევ 2009 წელს დაიწყო – საკითხი სამთავრობო დონეზე „მოგვარდა“...

**— როგორც ჩანს, ასევე „მოგვარდა“ ქობულეთის ფიჭვნარის საკითხიც...**

— მსგავსი უპასუხისმგებლო მიდგომა იყო, ვთქვათ, თუშეთში, სვანეთში... ქობულეთის ფიჭვნარში გაყიდეს ნაკვეთები და ზოგან დაიწყო კიდეც მშენებლობა, არადა, თუ არ მეშლება, 1975 წლიდან ჰქონდა ამ ადგილს ძეგლის სტატუსი.

**— კანონის მიხედვით რა ხდება, ანუ კანონი ირღვევა თუ კანონი იძლევა უკანონობის ჩადენის საშუალებას.**

— 1999 წელს, როდესაც მივიღეთ ახალი კანონი „ძეგლთა დაცვის შესახებ“, იმ კანონმა ყველა ძეგლს ერთი ხელის დაკვრით მოუხსნა ძეგლის სტატუსი – გაუქმდა ძველი რეგულაციები და უნდა შექმნილიყო ახალი. „ახალმა რეგულაციებმა“ ითრია ფეხი და 2004 წლის კანონში ჩაიწერა, რომ იმას, რომელსაც აქვს ძეგლის სტატუსი, შეუნარჩუნდეს, მაგრამ ახლებისათვის ახალი რეგულაცია დაწესდეს. რეგულაცია კი, დააწესა კანონმა, მაგრამ წესი, როგორ უნდა გაკეთებულიყო, ეს აღარ იყო, აღარ იქნა მიღებული. რადგან მაინც „ყვიროდა“ მიწისზედა ძეგლები, პრეზიდენტის ბრძანებულებით მათ მიენიჭათ სტატუსები, დანარჩენი ყველა ძეგლი დარჩა ისე, უსტატუსოდ. ჩვენ დავიწყეთ ყველა დოკუმენტაციისა და მასალის შეგროვება, რაც საჭირო იყო ძეგლებისთვის სტატუსის მინიჭებისთვის, მაგრამ ერთადერთი, რაც მოვახერხეთ, ეს იყო სამთავროს სამაროვნისთვის არქეოლოგიური ზონის სტატუსის მინიჭება. 2007 წელს გავამზადეთ მთელი დოკუმენტაცია და წარვუდგინეთ სამინისტროს, მაგრამ მაინც ვერაფერს გავხდით, არც ერთს არ დაუმტკიცეს არანაირი ზონა. აი, ასე მოხვდა ფიჭვნარის მართლაც უნიკალური ძეგლიც დაცვის ზონის გარეშე – ამასობაში გამოცხადდა ტენდერი... ვერსად ვერაფერს მივაღწიეთ, არადა, სტატუსის მინიჭებაზე კი არა, სტატუსის აღდგენაზეა საუბარი, რომელიც 1999 წელს ყველა ძეგლს ჩამოერთვა ახალი რეგულაციების მიღებამდე.

**— რა გამოდის, ფიჭვნარს არ ჰქონდა ძეგლის დამცავი სტატუსი, გასხვისდა და დაიწყეს მშენებლობები, ხოლო სამთავროს ველს ორმაგი დამცავი ზონა ჰქონდა, მაგრამ მაინც გასხვისდა და დაიწყეს მშენებლობები, სად ჩანს დაცვა?**

— აი, რა მოხდა. ვანო მერაბიშვილის 2012 წლის 17 სექტემბრის ბრძანებულებით, სამთავროს არქეოლოგიური ზონა შემცირდა და შემცირდა ზუსტად იმდენით, რამდენიც ჰქონდათ გასხვისებული, ანუ შესაბამისად, მოეხსნა ზონის სტატუსი და კანონიერი გახდა ის უკანონო მშენებლობები, რომელიც მიმდინარეობდა 2009-2010-2011-2012 წლებში – რაზეც ჩვენ ვომობდით ოთხი წლის განმავლობაში, დაკანონდა!

მოკლედ რომ ვთქვათ, კანონი თავისთვის არსებობს, ქმედებები კი თავისთვის მიმდინარეობს, არანაირი შეხება არ აქვთ ერთმანეთთან, კონტაქტი კი არა, პირიქით, განიზიდავენ ერთმანეთს...

1999 წლამდე ძალიან ბევრ არქეოლოგიურ ობიექტს ჰქონდა ძეგლის სტატუსი, რაც გამოიხატება დაცვითი ზონის ფარგლებით და დგებოდა რუკები, ახლა კი... თუმცა, ხომ გეუბნებით, რომც ჰქონდეს,



მაინც ერთნაირად გვიხდება ბრძოლა, რადგან, ისე გამოვიდა, რომ სახელმწიფო ფუნქციები კერძო პირებმა შეითავსეს და ისინი ცდილობენ გადაარჩინონ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

**— ასე გაგრძელება ხომ არ შეიძლება – ვისი ნება უნდა იყოს, რომ ჩვენი წინაპრების დატოვებული კულტურული მემკვიდრეობა ხელშეუხებელი იყოს.**

— მოდით, ასე ვთქვათ, ეს მდგომარეობა ძალიან კარგად იცის კულტურის სამინისტრომ. რა არის საჭირო? ერთი – ინსტიტუციურად რაღაც უნდა შეიცვალოს და აუცილებელი და მთავარი – საკანონმდებლო ინიციატივით უნდა გამოვიდეს კულტურის სამინისტრო, რომ გარკვეული მუხლები შეიცვალოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონში.

**— საერთოდ, რა გვინდა, ვიცით? „იუნესკო“ თვითონ ხომ არ „მოვიდა,“ ჩვენ გვქონდა ინტერესი და თუ მნიშვნელოვანი არ ყოფილა მისი რეკომენდაციები, წესები თუ სტანდარტები, რა გვესაქმებოდა ამ ორგანიზაციასთან?**

— „იუნესკოს“ სიაში ძეგლის ყოფნა არის ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ განა იმიტომ, რომ ამით ძეგლს რამე შეემატება, არამედ იმიტომ, რომ, უპირველესად, ეს არის აღიარება, რომ ამ ძეგლის შემქმნელმა ხალხმა მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა, ცალკე მხარეა, რომ მსოფლიომ იცოდეს რა სიამაყეები გვაქვს, რომ მოვიდნენ და ნახონ, ხოლო მოსვლა და ნახვა კიდევ მრავალი თვალსაზრისით არის ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი – იცით, რა, შუშის შენობებით ვერავის გავაკვირვებთ...

მე არ მესმის და ვერც ვერავინ მისაბუთებს – რა აუცილებელია, რომ ყოველდღე გამოდიოდეს, ვთქვათ, მცხეთის გუბერნატორი და უყურებდეს სვეტიცხოველს. ნუთუ შეუძლებელია, რომ ამ ადგილიდან 1 კმ-ის დაშორებიდან მართოს რაიონი? ვინმეს ჰგონია, რომ ახლოს გაივლის სვეტიცხოველთან და მადლი გადმოვა მასზე? – ძალიან მინდა ჩავიხედო მათ ტვინში, რადგან ვერაფრით ვხსნი.

მცხეთის ისტორიული უბნის რეაბილიტაციისას (2010-2012 წწ) მიწის სამუშაოები ანტიკური ხანის ქალაქის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, ხელისუფლებამ და პროექტის ავტორებმა კი მოახერხეს და არქეოლოგებს მიწის სამუშაოებზე მეთვალყურეობის უფლებაც არ მისცეს, ძველი დედაქალაქის ის უბანი კი, რომელიც სვეტიცხოვლის კარიბჭის წინ მდებარეობს, განსაკუთრებით დაზიანდა. ეს ის ადგილებია, სადაც მრავალფენიანი ნამოსახლარები და სამაროვნებია დაფიქსირებული და ამ უბანში ადრე ჩატარებული, ასევე მშენებლობებთან დაკავშირებული არქეოლოგიური გათხრებისას არაერთი უნიკალური არტეფაქტია აღმოჩენილი.

ის, რაც ააშენეს, სამი ასეთი პოლიციის შენობა დაეტეოდა ძველი პოლიციის შენობის ტერიტორიაზე თავის ავტოსადგომიანად და რაც მთავარია, სასამართლოც იქვეა და პროკურატურაც, ე.წ ახალ მცხეთაში – ეს არის ბებრისციხიდან ორას მეტრში.

**— გამოდის, თუ „იუნესკოს“ რეკომენდაციების გათვალისწინება საქართველოს ინტერესებშია, ძველ მცხეთაში ხელოვნურად ამოზრდილი შენობების დემონტაჟი უნდა განხორციელდეს.**

— ეს საკითხი სცდება კულტურული მემკვიდრეობის დაცვით დაინტერესებულ პირთა სფეროს, ურბანისტებმა უნდა იფიქრონ იმაზე, როგორ მოხდეს თანამედროვე მცხეთის განვითარება ისე, რომ არ დაზიანდეს უძველესი კულტურული მემკვიდრეობა, ან ერთად უნდა ვიმუშაოთ.

ჩვენივე კანონში წერია, რომ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალი არის 1 კმ-ის რადიუსში; ჩამოთვლილია, რა არის აკრძალული – არ უნდა ამას „იუნესკო“, კანონი უნდა შესრულდეს!

არ შეიძლება ისე მოვიქცეთ, რომ ერთ წელში საეჭვო გახდეს ოთხი ძეგლის სტატუსი...

**თამარ მჭავია**




**ხათუნა ხოფერია**: ნაციონალური მოძრაობა მართლა არის კრიმინალური დაჯგუფება და მე ეს ძალიან მაწუხებს. სიმართლე გითხრა, არც ვინტერესდებოდი და არც მქონდა მოლოდინი, რომ 19 აპრილის აქცია რაღაც უნდა ყოფილიყო და ასეც გამოდგა, ეს იყო - არაფერი! მათი მესიჯი იყო - ევროპისკენ და თურმე ახალი ხელისუფლება მიდის რუსეთისკენ, რაც ტყუილია. მათ თუ რამე ეჭვი აქვთ, უნდა დაუმტკიცონ ეს „ქართულ ოცნებას“ და არა მიტინგი მოაწყონ და იქიდან დააბრალონ! ჩვენ 9 წელი ვიცხოვრეთ ტყუილში. ამ ძალამ, რომელიც რუსთაველზე იდგა, პირადად მე და ჩემი ორი შვილი სიკვდილის პირას მიგვიყვანა 26 მაისს და ამის შემდეგ შეიძლება ისინი იქ მდგარიყვნენ და ეროვნულ თემებზე ესაუბრათ?! ისინი ამაშიც კი დამნაშავეები არიან!

საერთოდ რა იყო ამ შეკ-



რების მიზანი?! მე ვერაფერი მოვისმინე! თანაც ნუ ვაბრალებთ, რომ იქ იდგა ოპოზიცია. ამ მიტინგზე იდგა ხალხი, რომელსაც აქვს სერიოზული სახელისუფლებო რესურსი: გუბერნატორები, გამგებლები, თბილისის მერია, „რუსთავი“-2-ის ტელევიზია და რაც მთავარია, პრეზიდენტი! ეს არ არის ის კლასიკური ტიპის ოპოზიცია, რომელიც ქუჩაში უნდა გამოვიდეს და იქედან როგორც დაჩაგრულმა, ისე მიმართოს ხალხს. მათ მაქსიმალურად გამოიყენეს ყველა რესურსი. იქ მყოფი ხალხის რაოდენობა ნამდვილად არ ასახავს იმ ციფრს, რა ხმებიც მიიღეს მათ არჩევნებში!

**ლაშა თაბუკაშვილი**: „ახალი ეროვნული მოძრაობა“ ცოტა აბსურდულ ფრა-



ზად მეჩვენება, ჯერ ძველმა რა რეზულტატამდე მიგვიყვანა, რადგან არ იყო ყველაფერი სწორად დალაგებული — ემოციით დაწყებული ტაქტიკით დამთავრებული. არავის არ მინდა შეურაცხყოფა მივაყენო. უფრო სწორად, მინდა, მაგრამ თავს ვიკავებ! ძალიან უსიმპატიოა, როდესაც დიდი ფასეულობები გადადის ელემენტარულ დემაგოგიაში. არ შეიძლება საუბარი იმ პათოსით, რომელიც არ დაგიმსახურებია და აბსოლუტურად უადგილოა. და საერთოდ, დროა, საკუთარ კომფორტზე წინ დავაყენოთ ქვეყნის ინტერესები. ჩემთვის მიუღებელია თვითონ ფრაზა „ახალი ანციონალური მოძრაობა“ და მიუღებელია ასევე ის, რომ ამას აცხადებს 9 წელიწადი ხელისუფლებაშ მყოფი ძალა.

**ნესტან კირთაძე**: ის, რაც დღეს ხდებოდა რუსთაველის გამზირზე პირდაპირ ერთი სიტყვით შემიძლია გამოვხატო - ასეთია დემოკრატიის დესერტი, იგი ყოველთვის არ გახლავთ ტკბილი!

დღეს ნაციონალური მოძრაობის მიტინგზე გაკეთებული განცხადება ახალი ეროვნული მოძრაობის შესახებ უკვე შეცდომაა, რადგან ეროვნული მოძრაობა გახლავთ მთელი საქართველოს ისტორია, ქართული იდეა, დამოუკიდებლობის ისტორია, ამიტომ იგი ახალი და ძველი ვერ გახდება. ეს იყო ნაციონალური მოძრაობის მიტინგი, რომელთაც დაიწყეს არა ახალი ეროვნული მოძრაობა, არამედ ტრანსფორმაციის ახალი ეტაპი. რატომ დაირქ-



ვეს ეროვნული მოძრაობა არ ვიცი, მაგრამ რამდენად სწორია ეს, რა პლატფორმაა, რა სიგნალებია, ამაზე საუბარი შეიძლება.

მას შემდეგ რაც მოხდა არჩევნები და საქართველოს მოსახლეობამ ლეგიტიმური უფლება გადასცა სრულიად სხვა ძალას, რასაც წინ უძღოდა უზარმაზარი ბრძოლა ჩვენი ხალხისა ბოლო 9 წლის განმავლობაში, მე ვერ მოვისმინე, ვერ გავიგონე თუნდაც ერთი სინანულის სიტყვა 19 აპრილის მიტინგზე გამომსვლელი რომელიმე სპიკერისგან, რომ ბოდიში მოეხადა ქართველი ხალხისათვის. კარგია თუ შეცდომებზე სწავლობენ, მაგრამ ხალხმა ამაში ძალიან ძვირი ფასი გადაიხადა, დაუჯდა შიმშილის, სიღატაკის, სიკვდილის, პატიმრობის ფასად. ამიტომ მიტინგზე გამოსულ ერთ სპიკერს მაინც უნდა მოეხადა ბოდიში ქართველი ხალხისათვის!

ოკუპანტთან, მოძალადესთან დამოკიდებულება სამნაირია. პირველი, როდესაც ოკუპანტს თავდაუზოგავად ებრძვი. მეორე, როდესაც მტერთან თანაარსებობას ეგუები. მესამე, როდესაც ოკუპანტს, მოძალადეს, არა მარტო ეგუები, იგი გიყვარდება და მის გარეშე სიცოცხლე უკვე წარმოუდგენლად გეჩვენება; მოძალადის შენთან ყოფნის აუცილებლობას თავადვე ასაბუთებ... დღეს ამ მდგომარეობაში ჩავვარდით.



# ოკუპაციის პარადოქსები

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მასმედიასთან ბოლო, მეექვსე შეხვედრაზე კვლავ ისაუბრა 2008 წლის რუსეთ-საქართელოს ომზე, რის დაწყებაშიც სააკაშვილი დაადანაშაულა და ქვეყნის პროკურატურას იმ მოვლენის ახალი გამოძიებისკენ მოუწოდა, რასაც თითქმის მაშინვე მოჰყვა დადებითი კომენტარები რუსეთის საინფორმაციო წრეებში. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა კი კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საქართელოს პრემიერის ასეთი პოზიცია მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს რუსეთ-საქართველოს სავაჭრო და კულტურულ ურთიერთობებსო!!!

უცხადესია, რომ ნებისმიერ ქვეყანასთან სავაჭრო და კულტურულ ურთიერთობათა მყისიერი ნახტომისებური გაუმჯობესება, თანაც სულ ორიოდე სიტყვის გამო დიდად სასიხარულოა, თუმცა, არის რამდენიმე „უმნიშვნელო მაგრამ“, რაც ამასთანავე ძალზეც გვაშფოთებს.

რასაკვირველია, ომისდროინდელმა ქართულმა მთავრობამ უამრავი შეცდომა დაუშვა, უპირველესად კი ის, რომ ქვეყანა იდეოლოგიური, ინფორმაციული, შეიარაღებით, მატერიალური რესურსებით ვერ შეამზადა ომისთვის. რუსეთის სამხედრო ნაწილები უკვე შემოდიოდნენ როკის გვირაბში და ქვეყანაში არ იყო მკვეთრად გამოკვეთილი მტრის ხატი; ვისთან ან რასთან უნდა გვებრძოლა. რუსეთის იმპერიასთან, თუ ერთ მუჭა სეპარატისტებთან. ქვეყანაში აქტიურად მოქმედებდა მტრის „მეხუთე კოლონა“, პროფესიონალი ჯაშუშები, დივერსანტები, პანიკიორები, რომლებმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს ქართული მხედრობის დეზორგანიზაციებში. მათი ნაწილი დღესაც გამოსააშკარავებელია. ასევე ისინიც, ვინც ქართველი ტყვეები წამებით მოკლა, ქართული სოფლები მიწასთან გაასწორა... არ იყო შემუშავებული სამოქალაქო თავდაცვის მექანიზმი. ჯარს არ ჰქონდა სამხედრო ნაწილების ურთიერთკავშირის, რუსებისთვის უცნობი კომუნიკაციის სარეზერვო საშუალებები. მოშლილი იყო საჰაერო თავდაცვა და კიდევ ბევრი სხვადასხვა... რატომ? ამ ყველაფერს გამოძიებამ ნათელი უნდა მოჰფინოს. ყველა რანგისა და ყველა დონის დამნაშავეები უნდა დაისაჯონ. ყველაფერი მხოლოდ საქართველოს ინტერესებს, მის მომავალ გამარჯვებებს უნდა ემსახურებოდეს და არა პირიქით.

საქართველოს „ნაცმოძრაობის“ მთავრობას მოსახდელი აქვს ბოდიში საკუთარ ხალხთან, რომ ვერ იბრძოლა, მტერი ქვეყანაში რომ შემოუშვა და აბოგინა, და არა იმისთვის რუსეთთან, რატომ დაიწყე ომიო...

საერთოდ, მსოფლიო ისტორიაში ესაა უნიკალური, პირველი შემთხვევა დიპლომატიური თვითგვემისა, როდესაც ომის, კონფლიქტის ორივე მხარის პრე-



მიერ-მინისტრები ომის დაწყებაში თავიანთ ქვეყანას ადანაშაულებენ, რითაც პარადოქსია და ამით, საკუთარი მმართველობის განმტკიცებას ცდილობენ — ერთი რუსეთში და მეორე საქართველოში.

როგორც ცნობილია, რუსეთის იმჟამინდელმა პრემიერმა ვლადიმერ პუტინმა საქართველოსთან ომის აუცილებლობა, მისი მიზანი, კონფლიქტის მოსალოდნელი შედეგები და ომის დაწყება მეტად დამაჯერებლად, უტყუარი ფაქტების მოტანით, ღიად, არგუმენტირებულად აღიარა. აღიარა, რომ ომი რუსეთმა დაიწყო. რატომ ცდილობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი მის გადაჯერებას და ომის დაწყებაში საქართველოს დადანაშაულებას? რუსეთი ივანიშვილის ამ აღიარებით დაპყრობილ მიწებს არ დაგვიბრუნებს, არ დაგვითმობს არაფერს. რაში სჭირდება ეს ყოველივე? ნუთუ მხოლოდ სააკაშვილის კიდევ ერთხელ გაბიაბრუებისთვის? მაგრამ საქართველო ამ „აღიარებით“ რას მოიპოვებს და რას დაჰკარგავს, ამაზე ნაფიქრალია???

თუ მარტო ბოლმა და ერთურთის გაუსაძლისი სიძულვილია, რამაც ერთ დროს ნიკოფსიიდან დარუბანდამდე უძლიერესი ქვეყანა — ჩვენი სამშობლო დაანგრია, დააქუცმაცა, ყველაფერი კი გარნისთან ომში დაიწყო. როდესაც საქართველოს მანამდე სწორუპოვარი სარდალი ივანე მხარგრძელი, ძმებ ახალციხელებზე ბოლმით გულგასიებული არ ჩაება ახალციხელების მტერთან თავგანწირულ ბრძოლაში. თავისი ჯარით მშვიდად იდგა შორიახლოს და ასე ახოცინა ჯალალედინს შალვას და ივანეს მეთაურობით მებრძოლი ქართველები. რათა მისი საძულველი ძმები დაემცირებინა, მტრის ხელით მოეკლა. ასეც მოხდა იმ ომში — ივანე მოკლეს, შალვა ტყვედ ჩაიგდეს. მხარგრძელის მაშინდელ ბოლმას თბილისიც შეეწირა. ქალაქი საოცარი სისასტიკით ააოხრა მტერმა... გარნისთან ღალატით დამარცხების შემდეგ საქართველო წელში ვეღარ გაიმართა. სხვა მოღალატეებმა ჯერ თემურ-ლენგს, მერე შაჰ აბასს, მერე ოსმალებსა და რუსებს დააქცევინეს, გაანადგურებინეს ჩვენი სამშობლო.

**P.S. გვიხაროდენ!!! როგორც იქნა საქართველოს პრემიერმა შეცვალა საკუთარი ჩვენება და განაცხადა, რომ ომი, აგრესია რუსეთმა დაგვიწყოო... მისასალმებელია, ისიც, რომ ბატონ ბიძინას თავისი გუნდისაგან განსხვავებით არ ერიდება შეცდომების აღიარება და მათი გამოსწორება, რაც არაერთხელ დაგვიმტკიცა. ახლა ჯერი მის „თუთიყუშებზეა“, რომლებიც საეჭვოდ სდუმან. რატომ? რას ელიან?...**

**მიხო მორჩილაძე**
**მწერალი, აფხაზეთის ომის ვეტერანი, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი**

# ჯემალ დავლიანიძე

# რაც მახსოვრობას შემორჩენია

## ზვიად გამსახურდია — ომი ბნელეთთან

### წერილი პირველი

ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა 1966 წელს გავიცანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში.

შემოდგომის წყნარი საღამოა. ჩემი მეგობრები: პოეტი შოთა ჩანტლაძე და გოგი კვირკველია, ზედმეტსახელად „ოჭკომალი", კონსტანტინე გამსახურდიას ნათლული, მიხმობენ... ზვიადს და მერაბს ხელს ვართმევ. შოთა ჩანტლაძე ხელისგულების შეხურებით იწყებს კამათს და გვიანობამდე ვრჩებით...

უნივერსიტეტის ბაღი ეროვნული სულისკვეთებით აღვსებული ქართველების მაშინდელ საკრებულოს წარმოადგენდა, აქ დღე და ღამ მოღვაწეობდა შესანიშნავი პოეტი შოთა ჩანტლაძე. კაცი გამჭრიახი, ირონიით სავსე და მტერი იმდროინდელი რეჟიმისა. მილიციის ერთ-ერთმა გენერალმა თბილისიდან გასახლებაც კი დაუპირა, ხოლო რექტორატმა უნივერსიტეტის ბაღში შემოსვლა აუკრძალა.

1968 წლის ნოემბრის ბოლოს, შოთა ჩანტლაძეს ბრმა ნაწლავი გაუსკდა, პერიტონიტი დაემართა. ექიმებმა ვერაფერი უშველეს და ორმოცი წლისა გარდაიცვალა.

ისე იცხოვრა, სიცოცხლეში საკუთარი ლექსების კრებულის გამოცემას ვერ ეღირსა.

დაკრძალვის დღე 5 დეკემბერს დაემთხვა — საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის დღესასწაულს. საქართველოს უშიშროებამ კაცი გამოაგზავნა — დაკრძალვა გადადეთო.

შოთა ჩანტლაძეს ეკონომიურად უჭირდა და დაკრძალვის ხარჯები მეგობრებმა გავიღეთ. — ზვიად გამსახურდია იყო თავკაცი. ამიტომ, მანვე გადაწყვიტა: არავითარი გადატანა-გადმოტანა, შოთას მიწას მივაბარებთ 5 დეკემბერსო.

მართლაც, ზვიადის თაოსნობით, 1968 წლის 5 დეკემბერს, შოთა ჩანტლაძე გამოვასვენეთ და ყველას მოულოდნელად, უნივერსიტეტის ბაღში, გამოსამშვიდობებლად შევიყვანეთ.

კომუნისტური პარტია, მილიცია-უშიშროება, რა თქმა უნდა, ამას არასგზით არ მოელოდა. ფაქტიურად, დაუმორჩილებლობის დიდი აქცია ჩატარდა, თუმცა, შეხლა-შემოხლის, ტყვიის სროლის, ცემა-ტყეპის გარეშე ჩაიარა ყოველივემ.

ჩვენ ყურამდე მოაღწია ცნობამ, რომ გაოცებულ ვასილ მჟავანაძეს, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, უბრძანებია — არავითარ შემთხვევაში ხელი არ ახლოთ, ძალიან სახიფათო ამბავთან გვაქვს საქმეო.

მაშინ, საქართველო თავისუფალი არ იყო!

დღეს საქართველო თითქოს თავისუფალია, მაგრამ ზვიად გამსახურდიას მომხრეებისთვის თითქმის არავის არ სცხელა!

ამგვარია იმპორტული დემოკრატია!

თუმცა, ძალიან მომრავლდნენ ისინი, ვინც „სათოფეზე" არ გაჰკარებია ზვიად გამსახურდიას და უსასრულოდ ტრაბახობენ, თითქოს ახლო მეგობრობა აკავშირებდათ მასთან. რას აღარ გაიგებ და რას არ წაიკითხავ!

როცა ვიხსენებ უნივერსიტეტის ბაღის შესახებ, აუცილებლად მაგონდება ჩვენი მაშინდელი საძმოს ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი, მშვენიერი პოეტი ირაკლი ვაშაყმაძე და გაზეთი „წუთისოფელი" (1991 წ. №12), სადაც დაიბეჭდა მისი ბრწყინვალე, ორიგინალური ფოტოლექსი, დაწერილი 1978 წელს!

ამ ლექსში ოსტატურადაა აღწერილი მაშინდელი პოლიტიკური, ეროვნული განწყობა და სხვათა შორის, ირაკლი ვაშაყმაძე, გაზეთ „წუთისოფლის" შემდგომ ნომერში (№13, 1991 წ.), კიდეც აქვეყნებს „მცირე განმარტებას":

„უნივერსიტეტის ბაღში შესვლისას თვალი ყოველთვის მელიქიშვილის ძეგლთან ჩამწკრივებული სკამებისკენ გამირბის



შოთა ჩანტლაძე

და თვალწინ დამიდგება ქართული პატიოსნების ხორცშესხმული ხატი, დიდებული პოეტი შოთა ჩანტლაძე. აქ, ამ ძეგლთან იკრიბებოდნენ მამულის ჭირ-ვარამზე, ლიტერატურაზე მოსაუბრე შოთას მეგობრები, მისი სულიერი ძმები, ახალგაზრდა მწერლები: გიგლა სარიშვილი, ვიქტორ რცხილაძე, ზვიად გამსახურდია, უდროოდ დაღუპული გოგი კვირკველია, სეხნია გო-



გოლაშვილი, თედო ბექიშვილი, ვაჟა ძიძიგური, ჯარჯი ფხოველი, სოსო პაიჭაძე, გურამ პეტრიაშვილი, გივი ალხაზიშვილი, ნომადი ბართაია, გიორგი ბაქანიძე, გიორგი ჯაფარიძე, ომარ გოგიჩაიშვილი, მურმან ჯგებურია, ვანო ჩხიკვაძე, ნუკრი მამულაშვილი, კობა არაბული, ძმები ვართაგავები, თენგიზ ჯობავა, ბაადურ ბალარჯიშვილი, ავთო ჩხიკვიშვილი, თამაზ წივწივაძე, ჯემალ დავლიანიძე, ამირან გომართელი, გიორგი ლაბაძე, ჯუმბერ ტიკარაძე, ედუარდ ფალიანი...

დიახ, ეს ყველაფერი თითქმის მეოთხედი საუკუნის წინ იყო. დღეს ისინი ერისშვილები, მეცნიერები, მწერლები არიან, მათ არ შეპყრიათ მძვინვარე კომუნისტური სენი და არც სული მიუყიდიათ ეშმაკისათვის."

რა თქმა უნდა, ამჟამად არ მსურს რაიმე კომენტარი გავახმიანო ამ ლექსში და „მცირე განმარტებაში" ნახსენები ადამიანების შემდგომ ფერისცვალებაზე. არც იმას ვიტყვი, რომ სხვა მეგობრებიც არსებობდნენ, რომელთა ხსენება აუცილებელი გახლდათ, მაგრამ... დავტოვოთ ყოველივე ისე, როგორც პოეტმა გადმოგვცა, როგორც მან შეძლო „მკრთალად აღბეჭდვა".

ზვიად გამსახურდია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მოწინავე გამწევი პიროვნება გახლდათ და მაშინვე არც არავინ უარყოფითად ამას. რამდენიმე უახლოეს თანამოაზრესთან ერთად მას უკვე გადადგმული ჰქონდა ის ნაბიჯი, რამაც უეჭველი აღიარება მოუტანა.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანები თვით უბრალო ხალხს საღ ჭკუაზე მყოფნი. არც ეგონათ ამას მრავალი დღესაც ამბობს. ყველა ეჭვის თვალით უცქერდა და ქარის წისქვილებთან მებრძოლი გმირად მიიჩნდათ. მით უმეტეს, უშიშროება „ხელს უწყობდა". ათასგვარი ხრიკი ჰქონდათ. საამისოდ. მაგალითად — კოლხურ კოშკში ქათმებს ხოცავდნენ. თუ ამას ზვიადი საჯაროდ იტყოდა, საზოგადოება სერიოზულად არ ღებულობდა. პირიქით, ჩნდებოდა აზრი, რომ „კაგებე", ამხელა დაწესებულება, განა ქათმების მოკვლით შეებრძოლება დისიდენტსო?

უფრო მეტიც, ზოგი შურით, ზოგი სიძულვილით, ზოგიერთი დავალებით, ჩუმად თუ ცხადლივ, გამოდიოდნენ ზვიადის წინააღმდეგ. ეჭვი შეჰქონდათ მის საქმიანობაში და პირიქით — სუკთან თანამშრომლობასაც კი აბრალებდნენ.

ზვიად გამსახურდიას დაღუპვის შემდეგაც კი არ ცხრება სჯა-ბაასი და კამათი, დღესაც კი, რაღაც საიდუმლო მანქანა გამალებით მუშაობს და ქართული დისიდენტობის მეთაურს ცილს სწამებენ. არის საოცარი პარადოქსებიც. მაგალითად, ცნობილი კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე როსტომ ჩხეიძე, რომელმაც წიგნი მიეძღვნა („თუ საწუთრომან დამამხოს") ზვიად გამსახურდიას, წერს, რომ ვერასგზით ვერ ვაპატიე მონანიებაო. თვით სათაური: „თუ საწუთრომან დამამხოს" გვარწმუნებს, რომ ზვიად გამსახურდიას რაც შეემთხვა, საწუთროსი და ბედისწერის ამბავია. თითქოს მართლაც ასეა — ცხოვრება ბედისწერაა, თუმც შევარდნაძე, სრულიად გარკვეული პიროვნებაა, რომელმაც მართლაც საბედისწეროდ იმუშავა არა მხოლოდ ზვიადის, არამედ საქართველოს წინააღმდეგ. მითად და ლეგენდად ქცეული მოვლენები ხომ ჩქმალავს ხოლმე სრულ ჭეშმარიტებას და პიროვნებათა დანაშაულსაც...

ეს კიდევ არაფერი. ბატონი როსტომი, სამწუხაროდ, ზვიად გამსახურდიას, 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიასთან როცა აკავშირებს, პროკლამაციის ფალსიფიკაციაში სდებს ბრალს... იქნებ უნებლიედაც მოსდის? ერთობ ცდილობს აქოს და ადიდოს ზვიადი. მკითხველს კიდეც განგაწყობს, მაგრამ უცბად ამბობს: „1956 დლის ტრაგიკული 9 მარტის მოვლენებთან წილნაყარობას ძალიან ცდილობდა. ამტკიცებდა, სტიქიურ მღელვარებისთვის ეროვნული მიმართულება გვინდოდა მიგვეცაო და თავისი პრეზიდენტობის ჟამს იმ პროკლამაციის ტექსტსაც გამოაქვეყნებს, რაც თითქოს იმხანად შეედგინა და თანამზრახველებთან ერთად ხალხში გაევრცელებინა, მაგრამ ერთი თვალის გადავლებითაც ჩანს, რომ პროკლამაციის ტექსტი ახალია ენობრივ-სტილური თვალსაზრისით და არა მაშინდელი შედგენილი (გაზეთი „ახალი საქართველო", 1998 წ. №2).

ვერ გეტყვით, ბატონმა როსტომმა პროკლამაციის რომელი ტექსტი ნახა და გაშიფრა, მაგრამ საინტერესოა ვნახოთ ტექსტი, რომელიც ხელთ მომეპოვება, წავიკითხოთ და განვსაჯოთ — რა ახალი „ენობრივ-სტილი"-თაა შედგენილი:

„ქართველებო, ხომ არ დაგავიწყდათ ცხრა მარტის სისხლიანი ღამე? ხომ არ დაგავიწყდათ სისხლიანი 1924 და 1937, ქართველი ხალხის დარბევის და გაჟლეტის დღეები? როდემდის უნდა გვქონდეს ქედი მოხრილი მტარვალი კომუნისტების მახვილქვეშ? ჩვენს წინაპრებს სისხლი არავისთვის შეურჩენიათ და არც ჩვენ უნდა შევირცხვინოთ თავი.

დღეს, როდესაც მთელი შეგნებული კაცობრიობა აღშფოთებულია მოსკოვის საშინელი ბოროტმოქმედებით, ჩვენი ერის ყოფნა არყოფნის საკითხი დგება. დროა შევერთდეთ ერთი დროშის ქვეშ ჩვენი სამშობლოს დამპყრობლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მიმოიხედეთ ირგვლივ, მსოფლიო ბობოქრობს, განკითხვის დღე მზადდება კრემლელი ჯალათებისთვის. თბილისში, ბოსნიაში, ბუდაპეშტში მათ მიერ დაღვრილი უდანაშაულო მოსახლეობის სისხლი სამართალს ითხოვს, მათი აღსასრული მოახლოებულია.

ქართველებო! სხვა არავინაა ჩვენი მშველელი ჩვენი საკუთარი თავის გარდა. ბრძოლით უნდა მივაღწიოთ თავისუფლებას. ძმური სალამი გმირ უნგრელ ხალხს! დაე, ყველა დამონებული ერისთვის მაგალითად იქცეს უნგრელთა გმირობა! ხელები შორს უნგრეთისაგან!

ძირს ჩვენი ხალხის სისხლში ხელებგასვრილი ოკუპანტები და მათი სამხედრო ხროვა!

ძირს მოღალატე ქართველი კომუნისტები!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

რომელი მოღალატეც ამას ჩამოხსნის სიკვდილი ელის!"

იქნებ ბატონმა როსტომმა პროკლამაციის სულ სხვა ტექსტი წაიკითხა, ეს ჩემთვის უცნობია, თუმც „კაგებეს" მიერ მზაკვრულად მოფიქრებულ-ჩაწყობილ ე.წ. „მონანიებაც", ვგონებ დღესაც დღის წესრიგშია! ვისაც არ ეზარება, ვისაც მოუნდება ზვიად გამსახურდიას წვლილის დაკნინება, წამსვე ძველი კიდობანიდან ამოიღებს ხოლმე, და მიმოაფრიალებს!

ამ ყბადაღებულ „მონანიებას" ხშირად დავუბრუნდები, რომ საზოგადოებას ვუთხრა, ავუხსნა, გავაგებინო, — სინამდვილეში რას წარმოიდგენდა, საიდან მოდიოდა...




## xa l xis azriT

გუშინდელ აქციას ჰქონდა ერთი დადებითი მხარე, ლამაზად იყო გაფორმებული. იყო მრავალრიცხოვანი, მაგრამ ნამდვილად არ ყოფილა გრანდიოზულად ხალხმრავალი. შინარსობრივად არ ვარგოდა. ეს იყო ამბიციებით გატენილი და შეშინებული პოლიტიკანების შეკრება. რიგით მომიტინგეებს არ ვგულისხმობ. სააკაშვილს და მერაბიშვილს ხმაში ეტყობოდათ ისტერია. გარდა ამისა ზედმეტად გადაჭარბებულად და უსამართლოდ გაბერეს თავიანთი ღვაწლი. არანაირი კონკრეტულობა,ლამაზი და ხმამაღალი სიტყვების რახარუხი, არანაირი სინანული და რაც მთავარია ფარისევლობა და არავითარი გულწრფელობა. მაგათი მხრიდან 10 ათასი ნაციონალი ბიუროკრატის და რამდენიმე რუსეთის მოქალაქის შეკრება ვერანაირად ვერ იქნება ეროვნული მოძრაობა :) დუბაიში, ავსტრიაში და ტაილანდში ხალხის ფულების მხარჯავი ნახევრად კრიმინალური ძალა არც ეროვნულია და არც ინტერნაციოლური. ეს კლეპტოკრატიაა.

3 თვის წინ დააანონსეს აქცია. მთელი საქართველოდან მოახდინეს მობილიზება, დღეს მთელი საქართველოს მაშტაბით თითქმის ყველა მუნიციპალიტეტიდან და გამგეობიდან ყველა გაიყვანეს. თბილისის საკრებულოში დაცვა და საშვთა ბიუროც კი არ დატოვეს. ვფიქრობ, ნაციონალური მოძრაობის გარკვეულ ნაწილს მაინც თუ უნდა პოლიტიკაში დარჩენა, საერთოდ, უნდა დაიშალოს პარტია და შედარებით ნორმალურმა სახეებმა, ისეთებმა, ვინც არ გასვრილა იმ ბინძურ საქმეებში, შექმნან ახალი ძალა, ძველი ,,ნაციონალური მოძრაობის" ბაზაზე. მაგრამ აქ ერთი დიდი პრობლემას აწყდებიან, მათ არასოდეს დაანებებს თავს არც ვანო და არც მიშა. ანუ ყოველთვის მათი იარლიყის ქვეშ მოუწევთ ყოფნა. ვანოს და მიშას კიდევ აღარასოდეს, აღარაფრის შანსი არ გააჩნიათ. ანუ აქედან დასკვნა, ნაციონალური მოძრაობის ნარჩენებიც კი ველარაფერს იზავენ. ისინი ისეთი "ათხოდები" არიან, რომელსაც ვეღარ გამოიყენებ.

ზოგიერთმა მღვდელმა არ შეიძლება ლოცვა გააძლიეროს და ჰესების ლობირებას თავი დაანებოს? მერე ვიტყვი რაღაცას და კიდევ მე გამოვდივარ მკრეხელი. ის სასულიერო პირები კი ეკლესია სუპერ-მარკეტს რომ დაამსგავსეს, ნეტარი სახით დადიან....

ეჰ, ბიძინაჩემო, ერთი ნაციონალებისთვისაც აგეხდინა ოცნება და კარგი დარბევა მოგეწყო....

19 აპრილის აქციასთან დაკავშირებით ისეთი პროგნოზები კეთდებოდა, რომ ზოგიერთს გულიც კი დასწყდა, რომ არაფერი მოხდა - არც ცემა-ტყეპა ყოფილა და არც მიხეილ სააკაშვილი გადამდგარა. მოკლედ, ,,ექშენი" არ იყო.

ეეეე, ბიჭოოოოო!! გლდანის საშაურმეს რიგში უფრო მეტი ხალხი დგას, რაია ეგიიი?!!

# რისთვის გამოუგზავნეს მადლობის წერილი ბიძინა ივანიშვილს - საქართველოს პრემიერ-მინისტრს - საერთაშორის პროფკავშირული კონფერენციის მონაწილეებმა

*,,**ბატონ ბიძინა ივანიშვილს - საქართველოს პრემიერ-მინისტრს** - 2013 წლის 10 აპრილს ქალაქ ერევანში გამართული რკინიგზელთა პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაციის საბჭოს სხდომის **მიმართვა**:*

*გაცნობებთ, რომ კონფედერაცია ,,დსთ-ს", ბალტიის ქვეყნებისა და საქართველოს 3 მილიონზე მეტ წევრს აერთიანებს. კონფედერაციის 43-ე სხდომაზე დადებითად მივიღეთ და აღვიქვით ჰამლეტ ლომიძის - საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობას ესმის მშრომელების და აფასებს მათ შრომას. რკინიგზაში, როგორც სოციალური სტაბილურობის მნიშვნელოვან ფაქტორში - განხორციელებულია პოზიტიური ცვლილებები მოკლე დროში გადაწყვეტილია წლების განმავლობაში მოუგვარებელი პრობლემები; - მიმდინარეობს პროფესიონალი კადრების მოზიდვა; წესრიგდება სოციალური ურთიერთობები; დაწყებულია დიალოგი რკინიგზის ადმინისტრაციასა და პროფკავშირს შორის - მთავრდება ახალი ,,კოლექტიური ხელშეკრულების" მომზადება...*

*ჩვენ ვადასტურებთ პატივისცემას საქართველოს მთავრობისადმი, საქართველოს რკინიგზაზე - ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ გადამწყვეტ საწარმოში ჭეშმარტი დემოკრატიული გარდაქმნის გამო, რაც საქართველოში სხვა დადებითი ცვლილებების გატარების იმედს იძლევა".*

წერილს ხელს აწერენ კონფედერაციის საბჭოს წევრები: გ. კოსოლაპოვი - კონფედერაციის გენერალური მდივანი. დელეგაციების ხელმძღვანელები: ა. ხლხათიანი - სომხეთის რესპუბლიკური რკინიგზის სამეწარმეო ორგანიზაციათა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე; ვ. რინგერი - ბელორუსიის რკინიგზელთა და ტრანსპორტის მშენებელთა პროფკავშირის თავმჯდომარე; ჰ. ლომიძე - საქართველოს რკინიგზელთა პროფკავშირის თავმჯდომარე; ო. ახმეტბაევი - ყაზახეთის რესპუბლიკის რკინიგზელთა პროფკავშირის თავმჯდომარე. რ. მაზიტოვი - ყირგიზეთის რკინიგზელთა და ტრანსპორტის მშენებელთა პროფკავშირების თავმჯდომარე; ს. ჟელეზნოვი - რუსეთის რკინიგზელთა და ტრანსპორტის მშენებელთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარის მოადგილე. ზ. ხამიდოვი - ტაჯიკეთის რკინიგზელთა პროფკავშირების თავმჯდომარე; ვ. ლესკოვი - უკრაინის რკინიგზელთა და ტრანსპორტის მშენებელთა პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილე.



წერილში ასევე გამოხატულია მადლიერება საქართველოს რკინიგზელთა - მშრომელების პროფკავშირის გადარჩენის გამო - რადგან მათთვის ცნობილია მისი დაშლის მცდელობა ყოფილი მთავრობის მხრიდან, რაც თავიდან აცილებულია, რის გამოც გამოხატულია სოლიდარობა და მხარდაჭერა.

წერილს ხელს აწერენ კონგრესის წევრები საერთაშორისო რკინიგზელთა და ტრანსპორტის მშენებელთა პროფესიული კავშირის კონფედერაციის თავმჯდომარე - ნ. ნიკიფოროვი, გ. კოსოლაპოვი - იმავე ორგანიზაციის გენერალური მდივანი; ფ. ბაგიროვი - აზერბაიჯანის რკინიგზისა დამოუკიდებელი პროფკავშირის თავმჯდომარე და სხვადასხვა კონგრესის წევრები სხვადასხვა ქვეყნებიდან, რომლებიც საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირის ხელმძღვანელობის მიერ სრულად არიან ინფორმირებულნი იმის შესახებ, რომ საქართველოში ხელისუფლების შეცვლამდე ყველაფერი გაკეთდა პროფკავშირების დისკრედიტაციის და საერთოდ დაშლის მიზნით და რომ პროცესი გამოსწორების გზაზეა ახალი ხელისუფლების პირობებში.

2012 წლის 5 დეკემბერს ქალაქ ბაქოდან იგივე შინაარსის წერილები მიიღეს ბიძინა ივანიშვილმა - საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და დავით უსუფაშვილმა - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ რკინიგზის ტრანსპროტის და ტრანპორტის მშენებელთა პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაციისგან;

და იმ დროს ძალადობის შიშით (მოდი და ნუ შეგეშინდება, როცა მთელი ოჯახის შიმშილისთვის გაწირვით გემუქრებიან) გაჩუმებული იყო ადამიანების დიდი ნაწილი, მხოლოდ ზომაზე მეტად გაბედული ადამიანები, მათ შორის უცხოელებიც, რისკავდნენ და რეალობის პირუთვნელად ამსახველი პუბლიკაციებით ცდილობდნენ არსებული ,,ტყუილის კედლის" განგრევას.

ბევრი ვერ დაიტრაბახებს საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე **ჰამლეტ ლომიძის** მსგავსი საქციელით - 2011 წლის 19 მაისს, როცა პროფკავშირების საპროტესტო აქციის მიზეზებს შეეხო პრესაში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ისაუბრა და ამხილა საქართველოს რკინიგზაზე არსებული ვითარება და ხელმძღვანელობა პირდაპირ დაადანაშაულა უამრავი უკანონობების ჩადენაში: საქართველოს რკინიგზელთა უმძიმესი სამუშაო პირობები მათ შორის: მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, თანამშრომელთა უკანონო დათხოვნები, ,,კოლექტიური შეთანხმების" დაარღვევა, თანხების გაუმჭვირვალედ ხარჯვა, მუშაკთა გაუმართლებლად შემცირებები, მგზავრთა და ტვირთების დაუცველი უსაფრთხოება, სამუშო იარაღების ნაკლებობა, ინდივიდუალური დაცვის საშულებების უქონლობა, საშინელად აუტანელი მდგომარეობა მემანქანეების დასასვენებელ ოთახებში.



ჰამლეტ ლომიძე შეუფარავად ამხელდა მწარე რეალობას, როცა ამბობდა, რომ: ,,ძალიან დიდი თანხები იხარჯება, რაზეც განმარტე ბას არავინ იძლევა. არადა, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი უნდა იყოს. პროფკავშირსაც არა გვაქვს ინფორმაცია არც იმის შესახებ, როგორც სხვებს, თუ ვის შემცირებას აპირებს, მაშინ, როცა ქვეყანაში ინფლაცია მატულობს და მოვითხოვთ, რკინიგზაში დასაქმებულ მუშაკებს ხელფასი მინიმუმ 20 პროცენტით გაეზარდოს. ასევე, გამოსწორდეს მდგომარეობა რკინიგზელთა დასაქმების ადგილებზე, მაგალითად: რკინიგზის სადგურებში, წყლის უქონლობის გამო, ანტისანიტარიაა. აუცილებელია გამოსწორდეს ინფრასტრუქუტრა წარმოებებში და სადგურებში. პროტესტი მოუგვარებელი ამ და სხვა საკითხების გამო დავაყენეთ. აქამდე მოველოდით პასუხს, მაგრამ განმარტებებს არავინ გვაძლევს", — ასკვნის ლომიძე, რომელმაც პირველმა განაცხადა ხმამაღლა, რომ ჯერჯერობით არ ხმოვანდება, მაგრამ უკვე დაიწყო დასაქმებულთა დათხოვნა, რაზეც ზეპირი განცხადებები კომპანიაში უკვე გაკეთდა;

**მზია ერგემლიძე, საქართველოს რკინიგზის სალოკომოტივო დეპო-მახარისხებლის საღრიცხვო ჯგუფის ოპერატორი:**

ყველაფერი, რასაც ჰამლეტ ლომიძე წერდა, ჩვენ მანამდე უკვე ვიცოდით, ეჭვი არ გვაპარებოდა, რომ არჩევენების ნაციონალების სასარგებლოდ დამთავრების შემთხვევაში, ღმერთმა დაგვიფარა, მუქარასაც შგვისრულებდნენ, მეტიც, ჩვენს დეპოს საერთოდ გააუქმებდნენ. მხოლოდ პროფესიულ კავშირებს ყოფნიდათ გამბედაობა ემხილა რკინიგზის ხელმძღვანელობა. მათი ძალისხმევით ზოგიერთი რამ გამოსწორდა, მაგრამ რომ არა ახალი მთავრობა და რკინიგზის ახალი ხელმძღვანელობა, ასე მოკლე ხანში ამდენ სიკეთეს ვინ გვაღირსებდა: ხელფასები მოგვიმატეს, სარვამარტოდ ქალებს პრემიებიც კი დაგვირიგეს, რაც თითქმის ათი წელია არ მომხდარა. როგორ არ ვიყოთ მადლიერები. გამოიგიტყდებით, ხელფასები რომ მოგვიმატეს, ჩვენ ,,საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ ოლეგ ბიჭიაშვილს დავურეკეთ და მადლობა გადავუხადეთ, რადგან ვიცით, როგორც პროფესიონალმა რკინგზელმა, მან არ დააკლო მცდელობა ჩვენი შრომის სათანადოდ დაფასებას, მეტიც, გვაქვს ინფორმაცია, რომ კიდევ იგეგმება ხელფასების მომატება. ეჭვი არ გვეპარება, რკინიგზის ახლანდელი ხელმძღვანელობა ახალგაზრდების კოკა გუნცაძის და მამუკა ბახტაძის მეთაურობით, ცდას არ დააკლებენ, რომ ჩვენი უფლებები სათანადოდ იყოს დაცული. ისიც ვიცით, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობას ხელმძღვანელობს ახალგაზრდა დაჩი ცაგურია, რომელმაც ყოფილ მთავრობაში უამრავი გასაჭირო გაიარა, მისი წინამორბედის არსებობა, ჩვენ კი არა, მგონი, არავინ იცოდა, საერთოდ.

სწორედ ამ და სხვა საკითხებზე ყურადღების გამახვილებით დაარწმუნა საერთაშორისო კონფედერაციის 43-ე სხდომაზე დამსწრე საზოგადოება მსოფლიოს უმარავი ქვეყნიდან მათ წინაშე სიტყვით გამოსულმა ჰამლეტ ლომიძემ - საქართველოს რკინიგზელთა პროფკავშირის თავმჯდომარემ - თუ რა საფრთხეებს გადაარჩინა საქართველოს ახალმა მთავრობამ სრულიად საქართველო, მათ შორის საქართველოს რკინიგზა და რკინიგზელები.

**ქეთევან ჩემია**




**ირაკლი ღარიბაშვილი**: ეს იყო ჩვეულებრივი აქცია დამარცხებული პოლიტიკური ძალის. ჩვენ მოვისმინეთ დაახლოებით ორი თვის წინ, რომ ისინი აპირებდნენ რაღაც განსაკუთრებული აქციის ჩატარებას, მოლოდინი იყო ძალიან დიდი, ისინი რაღაც სურპრიზებს ჰპირდებოდნენ საზოგადოებას, მა-



გრამ მე ვერ დავინახე ვერანაირი სიურპრიზი, თუ არ ჩავთვლით, რომ სურპრიზი იყო ის, რომ მათ მოიყვანეს ამომრჩევლის რეალურად 0,1 ან 0,2 პროცენტი. დაახლოებით, 5000-6000 ათასი კაცი იყო მისული, ეს არის ჩემი შეფასება.

**რობერტ სტურუა**: ყველამ დაინახა ვინ გაცვალა საქართველო და საკუთარი ხალხი უზნეო ვნებების დასაკმაყოფილების გამო! ვინც პირადი კეთილდღეობა, ფული, ძალაუფლება, ოფლიანი სარეცელი, დემაგოგია, ქართველი კაცის მიმართ სიძულვილი, დამონება თავის მთავარ მიზნად დაისახა! ყველა ქართველმა და არაქართველმა დაინახა ვინ არიან ერის ნამდვილი მოღალატენი! დაინახა რას გვიმზა-



დებდნენ და რა გველოდებოდა ყველას, ვისაც ჯერ კიდევ გვწამს საკუთარი წარსული, აწმყო თუ მომავალი! რა ბედნიერებაა, რომ ისინი არც ისე მრავალრიცხოვან ძალას წარმოადგენენ - ქართველების მხოლოდ 0,15%! და რაც მთავარია, ალბათ შეამჩნიეთ, როგორ გადაგვარდა სულიერად და ფიზიკურად ეს ლპობას მიცემული ბრბო თუ მაფია. თქვენი არ ვიცი და მთავარ მედუქნეს თუ მექისეს(რას ვერჩი იმ პატიოსან ხალხს) რომ შევცქეროდი ისტერიკის კრუნჩხვაში რომ ღაფავდა სულს, მახსენდებოდა რაღაც მწერი, ზიზღით და ერთდროულად ცნობისმოყვარეობით რომ შესცქერი და ფიქრობ, სადამდე შეიძლება მივიდეს ადამიანის გახრწნა! გილოცავთ! მორიელები ქილაში!

**დავით ზურაბიშვილი**: „ნაცმოძრაობა'' არ მომკვდარა და ჯერ კიდევ საკმაო ადამიანური რესურსი აქვს პარტაქტივის სახით. ''ნაცმოძრაობის'' მმართველი ბირთვი რჩება იგივე და ლაპარაკი განახლებაზე არის მხოლოდ რიტორიკა. ახალაიების გარიყვა არსებითად არაფერს ცვლის. ახალაიები ნაცმოძრაობის ელიტად არც არასდროს მოიაზრებოდნენ - ისინი მხოლოდ შემსრულებლები იყვნენ და მათ მიშა უფრო სხვა ელიტარების გავლენათა დასაბალანსებლად იყენებდა.



ყველა პრობლემა და მათი გადაჭრის გზები კვლავინდებურად განიხილება მხოლოდ და მხოლოდ ე. წ. პიარისა და პროპაგანდის კონტექსტში. ამის ნათელი ნიმუში, ჩემის აზრით, არის სწორედ განაცხადი ახალ ეროვნულ მოძრაობაზე, რაშიაც რეალურად ახალი არაფერი არაა და რაც ყოველთვის იყო ''ნაცმოძრაობის'' განაცხადი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. კერძოდ, ეს არის განაცხადი იმაზე, რომ ახალი ერთობა არის (უნდა იყოს) მთავარი პროევროპულ-პროდასავლური ძალა საქართველოში, ხოლო ნაცელიტა, ანუ ძველი მმართველი ბირთვი, არის (უნდა იყოს) მთელი ქვეყნის პროევროპელ-პროდასავლელთა გამაერთიანებელი, შემკვრელი და მოძღვარ-დამრიგებელი. სხვანაირად რომ ვთქვათ, მათ უნდათ იგივე ''საქონელი'' გაყიდონ, ოღონდ ახლებური შეფუთვით. მთავარი ტიპი ნაცმოძრაობაში არის მაინც მიშა და მისი რეალური შემცვლელი არ ჩანს.

**ნანა კაკაბაძე**: სააკაშვილის რეჟიმის ნარჩენებმა 19 აპრილს ქართულ საზოგადოებას რეანიმაციის სურვილისა და მიზნების შესახებ ამცნეს. მათ ''ახალი ეროვნული მოძრაობის'' დაარსების შესახებაც ხმამაღალი განცხადებები გააკეთეს და ევროპული და დემოკრატიული ღირებულებების დამცველების მანტიის მოსხმაც სცადეს. დემოკრატიულ საზოგადოებაში ნებისმიერ მარგინალურ ჯგუფს საკუთარი აზრის გამოხატვისა და პროპაგანდის უფლება აქვს. ამის გამო ჩვენ მივესალმებით თუნდაც ანტიდემოკრატიული რეჟიმის ნარჩენებისათვის საკუთარი იდეების თავისუფლად ქადაგების შესაძლებლობის მიცემას, თუმცა ამავე დემოკრატიულ საზოგადოებაში უმ-



რავლესობასაც აქვს უფლება, რომ მარგინალური ჯგუფების დემაგოგიურ განცხადებებზე ჰქონდეს საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებობა. ვსარგებლობთ რა ამ უფლებით, 2013 წლის 19 აპრილს სააკაშვილის რეჟიმის მხარდამჭერთა მიტინგზე გამოთქმულ ლამაზ ლოზუნგებთან და მგზნებარე გამოსვლებთან დაკავშირებით შემდეგს ვაცხადებთ - სააკაშვილის რეჟიმის 9-წლიანი მმართველობის პერიოდში ყველაზე მეტად სწორედ ევროპული ღირებულებები იქნა ფეხქვეშ გათელილი. სწორედ ამ რეჟიმმა გააუფასურა ადამიანთა შორის ყველაზე დიდი ღირებულება - სიცოცხლე და ღირსება.

2013 წლის 19 აპრილს სააკაშვილის რეჟიმის მხარდამჭერთა მიტინგის მონაწილეთა ევროპეიზაციის განცხადებები ფარისევლობა და წმინდა წყლის დემაგოგიაა, რომლის ნამდვილი ფასი ქართველმა ხალხმა კარგად გაიგო და რეჟიმს მსჯავრიც გამოუტანა, რისი დასტურიც 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგები იყო. რაც უნდა ''ისტორიული'' უწოდონ რეჟიმის ნარჩენებმა თავიანთ მარგინალურ შეკრებას, რაც უნდა ''ახალი ეროვნული მოძრაობის'' დასაწყისი დააანონსონ, რაც უნდა ლამაზი და მგზნებარე სიტყვებით გააბრუონ გულუბრყვილო მოქალაქეები, მათი ბედი გადაწყვეტილია, მათი ადგილი ისტორიის სანაგვეზეა ბოლშევიკებისა და ფაშისტების გვერდით.

**შალვა რამიშვილი**: ნაციონალური მოძრაობა იყო კრიმინალური დაჯგუფება და ახლა ემსგავსება დახურულ სექტას. „სინგაპურიდან ეროვნულ მოძრაობამდე'' შეიძლება დავარქვათ მათ მარშრუტს. შიგნით აქვთ უამარვი ქვედინება და მიდის ე.წ. „შიდა რაზბორკები''. სადამდე მივლენ, ამას მალე ვნახავთ, როცა ახალაია ჩამოვა, პირს მოაღებს და მოჰყვება იმ საშინელებებს, რასაც აკეთებდ-



ნენ. თუმცა ამ სექტაში არის გარკვეული ჯგუფი, რომელთაც ნაკლებად აქვთ სისხლის სამართლის დანაშაული ჩადენილი, ამ ახალ სახეებს ურჩევნიათ, რაც შეიძლება მალე დისტანცირდნენ მიხეილ სააკაშვილისგან, მერაბიშვილისგან. ამ სექტის ერთ-ერთი იმედი იყო უცხოეთის მხარდაჭერა და წარმოიდგინეთ, როგორი მოსასმენია უცხოელებისათვის, რომ ამდენი წელი მხარს უჭერდნენ ადამიანს, რომელიც საბიუჯეტო სახსრებით მანიპულირებდა. დარწმუნებული ვარ, კიდევ ძალიან ბევრი მასალა გამოაშკარავდება, თუ რას წარმოადგენდა ნაციონალური მოძრაობა.

ამ მოძრაობას თავისი წევრები ჰყავდა ცალ-ცალკე დაყოფილი ამპლუისა და მიხედვით. მაგალითად, ინტელექტუალები, რომელთა დანიშნულება იყო ყველაფრის გაპრავება. გია ნოდიას არავინ მოუკლავს და ციხეში დუბინკით არ უცემია, სამაგიეროდ ამას აკეთებდა ახალაიის ბანდა. ეს იყო ერთი დანაშაულებრივი სინდიკატი, რომელიც დღეს აღარ არის ხელისუფლებაში და დაიშალა კიდეც. იქ მყოფ ახალ სახეებს, მაგალითად, ვაშაძეს ახალი მოძრაობის გაკეთება მოუნდა, მას აღარ აწყობს ახალაიებთან ასოცირება, ეს ხალხი უკვე ლაპარაკობს, რომ თუ საჭირო იქნება, ვანოც აღარ იქნება ჩვენს გვერდით. ძალიან მძიმე ამ მემკვიდრეობის თრევა, ამ სისხლიანი ტიპების თრევა, ვანო მერაბიშვილის თრევა!

ეს არის უტიფრობის ან სიშტერის ზღვარი, იდგე იმ ადგილას, სადაც კანონის დარღვევით დაარბიე ან მოკალი ადამიანები და იძახდე, რომ შენ ევროპულ ღირებულებებს განასახიერებ!

ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ნაცმოძრაობის ბობოლები, ლიდერშიფი მალე მოხვდება საბრალდებო საკამზე! შეგნებულად არაფერს ვამბობ ვანო მერაბიშვილის ან გიგი უგულავასნაირ კრიმინალებზე. მათი ადგილი სხვაგანაა. მიშა კი დარჩება ძალიან ტრაგიკულ ფიგურად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ეს არის კაცი, რომელმაც შეუძლებელი მოინდომა.

**ნანა დევდარიანი**: ჯერ არც ერთი საპროტესტო მიტინგი არ გამომიტოვებია, რაც 88 წლიდან ჩატარებულა საქართველოში. ამჟამად რაღაც უცნაური, წინააღმდეგობრივი სურათი შეიქმნა. მოლოდინები იყო გადაჭარბებული; იყო პროვიკაციების შიში. და არც თუ უსაფუძვლო! წინასწარ იყო გამოცხადებული, რომ მიტინგს ატარებდნენ ევროპული კურსის შენარჩუნებისთვის, და საკმარისი იყო, ერთი პატარა პროვოკაცია



მომხდარიყო, რომ ახალი ხელისუფლება გამოცხადდებოდა, როგორც ევროპული კურსის წინააღმდეგ მებრძოლი.

ჩვენ უნდა გავმიჯნოთ, ერთია რისთვის ატარებ მიტინგს და ეს დეკლარირებული გახლდათ, და მეორე - ვის უძახი. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ყველა, ვინც რაღაცით უკმაყოფილოა ახალი ხელისუფლების, მათ შეუერთდებოდა. ყველას უნდა ევროპულად, კარგად იცხოვროს, მაგრამ არ ჰქონდეს პრობლემები სხვა მეზობლებთან.

ეს იყო ნამდვილი პაროდია იმ მიტინგებისა, რაც ჩვენ გვინახავს, თავისი პრეზიდენტიანად, რომელმაც მთელ ქვეყანას დაანახა, რომ ის არის ერთი პარტიის პრეზიდენტი და არა ქვეყნის. მიტინგი იქცა ფარსად; ფარსი იყო გადამეტებული ჟესტიკულაცია, ისტერიული შემახილები, როცა საამისო ფონი არ არსებობს, შემახილები, აბა, თქვით, რომელი დაგასაქმათ ახალმა მთავრობამო! ამ დროს იქ სულ თავიანთი მომხრეები იყვნენ, რომლებიც არც არავის გაუშვია სამსახურიდან.

სიურპრიზი მართლაც იყო - ახალი ეროვნული მოძრაობა. საყოველთაოდ ცნობილია, მათთან და მათ იდეალებთან იმდენად არაფერი აქვთ საერთო, რომ სიტყვა „ახალი'' აუცილებლად უნდა ჩაემატებინათ. ეს ისეთივე ეროვნული მოძრაობა იქნება, როგორც კვერცხების, შლოპანცების და ველოსიპედის ძეგლები არის ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა.

**კახა კახიშვილი**: დღევანდელი მიტინგით ის ვისწავლეთ, რომ მოსახლეობას მიეცა საშუალება, ისარებლონ კონსტიტუციური უფლებით სიტყვის თავისუფლების და შეკრების უფლების შესახებ. და ეს მართლაც მისასალმებელია! კარგად გვახსოვს, რა დღეში ვიყავით ცხრა წელი, წინასწარ ვიცოდით, რომ პოლიცია გადაგიკეტავს გზას, ღამით დაგიჭრიან საბურავებს, თუ მიტინგზე გადარჩი, საღამოს რომელიმე ბალში აუცილებლად გცემენ. ან ღამით კუდის მანქანა მოგადგება და აღმოჩნდები, ყველაზე კარგ შემთხვევაში, სასაფლაოზე, თუ არა იმ ჯოჯოხეთურ პირობებში, რომელსაც პენიტენციარული სისტემა ერქვა. დღეს, მგონი, თვითონაც გაუკვირდათ, რომ შეიკრიბნენ. წი-



ნასწარ აცხადებდნენ, რომ პოლიცია გვებრძვისო, ფიქრობდნენ, მათი კადრები, რომლებიც დღესაც ინარჩუნებენ თანამდებობებს, ძველებური მეთოდით თუ იმუშავებდნენ, სულ სამი კაცი მოვიდოდა შეკრებაზე.

მათ შეკრებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა, ერთი ის, მოეხდინათ დემონსტრირება, რომ ცოცხლები არიან. საკუთარ მხარდამჭერებს აჩვენეს, რომ ისინი ერთად არიან და არ ჩამოშლილან. მიშა თავხელიძემაც რომ დათვალოს, 15 ათასზე მეტი არ გამოვა. ორი თვით ადრე დააანონსეს აქცია, ყველა მუშაობდა ხალხის გამოსაყვანად, ფული იხარჯებოდა, არ შექმნილა გადაადგილების პრობლემა. მაგრამ შედეგი?!

ისე დიდი ფანტაზია არა აქვთ, შევარდნაძეს რომ გამოეყვნენ, მაშინ ნაციონალური მოძრაობა დაირქვეს, ახალი ეროვნული მოძრაობა. ცდილობენ ახალი ნიშის დაკავებას, ამომრჩეველზე მუშაობას, რომ თითქოს ტრანსფორმაცია განიცადეს. ეტყობა დაგუგლეს თვითონ რასაც აკეთებდნენ და ახლა იძახიან — ამას და ამას არ დავუშვებთო!

ცხრა წელი ჭკუას გვარიგებდნენ, რომ ქუჩაში ვინც გადის, რადიკალია, მოლოტოვის კოქტეილი, პუტინთან შეკრული, თითოეული აქცია პრობლემას უქმნის ქვეყნის სტაბილურობას და ეკონომიკას, ვისაუბროთ კაბინეტებში, რა გინდათ ქუჩაშიო, დაამკვიდრეს ტერმინი რადიკალური ოპოზიცია. და ახლა რა მოხდა ისეთი?! მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში სარგებლობენ ტრიბუნით, თავად რატომ გამოვიდნენ ქუჩაში?!

ვანო მერაბიშვილი პოპულარულია ნაცმოძრაობაში, მაგრამ დღეს თითქოს გაემიჯნა სააკაშვილს, როცა მიშა გამოდიოდა სიტყვით, იგი გავიდა, ამაზე მოახდინეს ფოკუსირება, თითქოს, ვანო უფრო სუფთაა, ვიდრე მიშა. როგორც კი ოქტომბერში აღიარეს დამარცხება, მთელმა გუნდმა დაიწყო დისტანცირება სამი ახალაიასგან და ერთი ადეიშვილისგან და მათზე უნდათ მთელი ბოროტების გადაბრალება. ამა წლის ოქტომბრის მერე ალბათ ბოკერიას ფრთა მოახდენს ვანოსგან დისტანცირებას, როგორც ინტელექტუალების ჩამოშორებას ზონდერების კამანდირისაგან.







## თავსატეხი

ჰორიზონტალურად: ადათი, ალალი, ამიგო, ავაზა, ბუშტი, გოთუა, ესიდე, ირანი, მიუნი, ქემალ, ყეყია, შაქრო, ჩემგა, წაგია, ხიტმა, ჯერგა.

ვერტიკალურად: აგუნა, ანგელა, ასაკი, ასტრა, გამგე, ეძეში, ეიმნე, ზგარე, კოზმა, ლეშქი, პროზა, ყოური, რიშტა, სადმე, ტანია, ღლაბი, ყანზა, ცვარი, წამლა, ჭარბი, ჯოუგა.

## სამიდან ერთი

ვერტიკალურად: 1. სალონი, კურორტი, მიტინგი. 2. ბაქული, ბოძება, ბიბინი. 3. კორიდა, შინელი, პაკეტი. 4. რეზინი, ხიტბა, ნაწყი. 5. წუნია, სტელა, პითია. 6. პენსა, ტალკა, ფარში. 11. კაშიოკა, მანქალი, ლეკურუბი. 12. რეკტუზი, ბასკუთი, კორკოტი. 13. გულააი, მაზიბა, სალაფი. 14. პაკოფა, შაბაფი, ლუსტრა. 15. ნამუსი, ფორალი, ტამარი. 16. შუმანი, პელოტა, ლარიბი.

ჰორიზონტალურად: 3. ტუტანუსი, პარამეტი, პიტანელი. 7. პოპული, ფიკუსი, ლუქსია. 8. კაშიკელი, ტალაკერი, შოკოლადი. 9. ხარება, ხუზანი, ბალერა. 10. სტენოზი, ხელოვანი, სტილეტი. 13. მელანი, გუმანი, ელიზუა. 17. კანტატა, ბორეალი, მუნდია. 18. ზოსიმე, ფატიმა, ხელენი. 19. კრონოსი, შტობირი, კრესუსი. 20. ნორისა, შიფერი, სალამი. 21. პლატონი, გლეკონი, თილელია.

## შიფრვორდი

# რეზო ჭეიშვილი – 80



80 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე რეზო ბენედიქტეს ძე ჭეიშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო რეზო!

დიდო მწერალო და მამულიშვილო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ, დიდი სიყვარულით მოგესალმებიან თანამედროვე ქართული მწერლობის მშვენებას და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 80 წელს.

თქვენ ქართველ მწერალთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნით, რომელიც, ფაქტიურად, განსაზღვრავს XXI საუკუნის ქართული მწერლობის დონეს და ქართველი კაცის ნიჭიერების ერთ უმშვენიერეს გამოვლინებადაც გვევლინება.

1958 წელს გამოაქვეყნეთ პირველი მოთხრობები და მას შემდეგ სამუდამოდ დაიმკვიდრეთ ერთ-ერთი უპირველესი ადგილი თანამედროვე ქართული პროზის დიდოსტატთა შორის.

ჩვენთვის, თქვენი მეგობრებისათვის, სრულიად საქართველოსათვის ცხადზე ცხადია, რომ ჭეშმარიტად სულიერი მემკვიდრე ბრძანდებით დავით კლდიაშვილისა და თქვენს ნაწარმოებებში დაკვირვებული მკითხველი ფეიერვერკული, ფანტასტიკური იუმორის, სატირის, გროტესკის, სარკაზმის მიღმა ვეება ცრემლს აღმოაჩენს, რომელსაც ყველა უწმინდურობის წალეკვაც შეუძლია და მოყვასის თანადგომაც.

თქვენი მოთხრობებისა და ნოველების კრებულები, რომანები „ჩემი მეგობარი ნოდარი“, „დალი“, „მეოთხე სიმფონია“, „ასკილის წითელი ყვავილი“, „ქარების დაბრუნება“, „ყაჩაღები“, „ჭეიაბლოკი“, „კუდიანი ვარსკვლავი“ და სხვები კარგა ხანია ქართველი მკითხველის სამაგიდო წიგნებად იქცა. თქვენი პროზა ხომ მართალი, გულმდუღარე ადამიანური სევდისა და მწარე სიცილის ნაზავია, რომლებშიც გამოცდილი და ნაცადი ფსიქოლოგის დარად იკვლევთ ადამიანის სულის იდუმალ ხვეულებს და მის არსში გარკვევას ცდილობთ. ქვეყნის წარსულზე და განსაკუთრებით მის მომავალზე ღრმად დაფიქრებული მწერალი ბრძანდებით და მუდამ სამშობლოს გადარჩენის გზებზე ფიქრობთ. მსუბუქი იუმორით ნიღბავთ დიდ სათქმელს და დამაჯერებლად, კალმის ერთი მოსმით გვარწმუნებთ, რომ სამშობლო ქვეყნის სიკეთეები უგვან და ბოგანო არაკაცებს არ უნდა აჩვენო და არ გაალიზიანო მათი ისედაც ზღვარგადასული მადა. სიცოცხლის ტრფიალი ბრძანდებით, ბუნების შვილი ხართ და ალბათ, ამიტომაც ილტვით ხოლმე ბუნებისაკენ, ამიტომაც გაურბიხართ ქალაქის მკაცრ ურბანისტულ გარემოს, რომელიც ადამიანის სულის გაუხეშებაშია გამეცადინებული...

თქვენი ბრწყინვალე შემოქმედების ცალკეული ნიმუშები თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე.

ცალკე აღნიშვნის თემაა თქვენი ურთიერთობა ქართულ კინემატოგრაფთან. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო-სარედაქტორო კოლეგიისა და კინოსტუდიის მწერალთა შემოქმედებითი გაერთიანების წევრი რძანდებოდით და კოლეგებთან ერთად დიდი წვლილი შეიტანეთ ქართული კინოს აღორძინებაში, მისთვის ადამიანური სახის დაბრუნებაში. თქვენი სცენარების მიხედვით შეიქმნა ისეთი პოპულარული მხატვრული ფილმები, როგორიცაა „ჩემი მეგობარი ნოდარი“, „გათენების წინ“, „ზღვის მგელი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ყვარყვარე“, „ცისფერი მთები ანუ ტიანშანი“... სხვებთან ერთად ეს ბრწყინვალე ფილმებიც აღვიძებდნენ ქართველთა ეროვნულ თვითშეგნებას, ააშკარავებდნენ საბჭოთა იმპერიის ძირმომპალ სისტემას და მშობელ ერს თავისუფლების, დამოუკიდებლობის დაბრუნებისაკენ მოუწოდებდნენ.

წლების განმავლობაში ეწეოდით ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. სხვადასხვა დროს მუშაობდით ჟურნალ „ცისკრის“ განყოფილების გამგედ, ალმანახ „საუნჯის“ განყოფილების გამგედ, ჟურნალ „განთიადის“ მთავარ რედაქტორად, საქლიტფონდის დირექტორად, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ, გაზეთების „მოწამეთასა“ და „მწვანეყვავილას“ მთავარ რედაქტორად, ქუთაისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ლიტერატორთა სახლის პრეზიდენტად. არჩეული იყავით საქართველოს პარლამენტის წევრად, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრად...

თქვენი ღვაწლი სათანადოდ დაფასდა. მონიჭებული გაქვთ სსრკ სახელმწიფო, საქართველოს სახელმწიფო, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო, ჟურნალ „ოგონიოკისა“ და „საბას“ პრემიები. დაჯილდოებული ხართ პრეზიდენტის ბრწყინვალების, ღირსებისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით. არჩეული ხართ ქუთაისის საპატიო მოქალაქედ. გულით გვახარებს, რომ თქვენი ჯილდოების რიგს დიდი ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია მიემატა.

ბატონო რეზო!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს თანამედროვე ქართული პროზის დიდოსტატსა და ერისკაცს, დღეგრძელობასა და მზეგრძელობას გისურვებთ თქვენი სათაყვანებელი სამშობლოს სადიდებლად.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**


# ირმა სიხარულიძე – უებარი მკურნალი



ქალბატონ ირმა სიხარულიძეს მაშინ მივმართეთ, როცა განკურნების იმედი გადაწურული გვქონდა ათასგვარი მკურნალობით და პროცედურით თავმობეზრებულებმა ეს ბოლო ცდად მივიჩნიეთ და ამან გაამართლა. ქალბატონი ირმა სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს ხალხური მეთოდით მკურნალობს. საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამლით იგი კურნავს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, პოლიართრიტს, რადიკულიტს, კისრის, მხრის, მენჯ-ბარძაყისა და მუხლ-სახსრის ართროზებს. ქუსლზე წანაზარდს და პოდაგრას.

წამალი მცენარეულია და უკუჩვენება არ აქვს. პროცედურა ტარდება მალამოს მასაჟირებით და საფენებით. ბუნებისგან ბოძებული ამ პანაცეით ქალბატონმა ირმამ ბევრი პაციენტი დაგვაყენა ფეხზე, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

მადლიერი პაციენტები.

ქალბატონი ირმას კოორდინატები:
მის: თბილისი, ფოთის ქ.№2, (მეტრო წერეთელთან)
ტელეფონები: 2 34 21 63, 557 35 89 00


# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*
***მთვარისა კევლიშვილი.***
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**-როგორ ისჯება სისხლისსამართლებრივი წესით ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარუდგენლობა?**

-საქართველოს სსკ-ის 355-ე მუხლის მიხედვით,ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარუდგენლობა, ჩადენილი ასეთუ ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელს დადების შემდეგ, ან დეკლარაციაში განზრახ არასრული ან არასწორი მონაცემის შეტანა,

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ორას საათამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

* * *

**-შევიძინე მოპარული მობილური ტელეფონი. არის თუ არა ეს დანაშაული?**



-დიახ, ეს გახლავთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული - წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა ან გასაღება. თქვენს შემთხვევაში ჩადენილია წინასწარი შეცნობით მოპარული მობილური ტელეფონის შეძენა, რაც წარმოადგენს სისხლის სამართლებრივი წესით დასჯად ქმედებას.

* * *

**-შეიძლება თუ არა მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის პირს შეეფარდოს უვადო თავისუფლების აღკვეთა?**

-არა.

საქართველოს სსკ-ის 51-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, უვადო თავისულების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

* * *

**-რას ნიშნავს სამოქალაქო სამართალში შეჯიბრებითობის პრინციპი?**

-საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სამარტალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. შეჯიბრებითობის პრინციპი ნიშნავს შემდეგს: მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ ტავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

* * *

**-რა შემთხვევაში განიხილავს სამოქალაქო დავას არბიტრაჟი?**

-პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს.

* * *

**-დავა გვაქვს მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით. ორივე მოდავე ვცხოვრობთ ქ. თბილისში. სადავო მიწის ნაკვეთი კი მდებარეობს ხასურის რაიონში. სად უნდა იქნას სარჩელი შეტანილი?**

-საქმე გვაქვს ნივთობრივ განსჯადობასთან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სადავო მიწის ნაკვეთი მდებარეობს ხაშურის რაიონში, თქვენ სარჩელი უნდა შეიტანოთ ხაშურის რაიონულ სასამართლოში.

## ფრჩხილებიც ლაპარაკობენ?!



ჩვენს დროში ადამიანის ფრჩხილების მდგომარეობით ხანდახან მისი მფლობელის კეთილდღეობაზეც მსჯელობენ. თუ ფრჩხილები ლამაზად არის დაფარული ლაქით და მოვლილია, ეს ნიშნავს, რომ მისი პატრონი პოულობს დროს და ფულს მოუაროს ფრჩხილებს. მაგრამ თუ ფრჩხილები მოკლედ არის მოჭრილი და არ არის დაფარული ლაქით, ეს ნიშნავს, რომ პატრონს დრო აღარ რჩება მანიკურის გასაკეთებლად. შესაბამისად, დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ იმ ადამიანზეც, რომელსაც დასვრილი, გაყვითლებული ფრჩხილები აქვს. ადამიანის მატერიალური მდგომარეობის გარდა ფრჩხილებს შეუძლიათ მოგვითხრონ მისი პატრონის შინაგან მდგომარეობაზეც. რაც არ უნდა დაფარული იყოს ფრჩხილები ლაქით, ისინი მაინც ამჟღავნებენ იმ დაავადებებს, რაც ორგანიზმში შეიძლება ჰქონდეს ადამიანს.

ძველ აღმოსავლეთში მიიჩნევდნენ, რომ თითოეული ფრჩხილი ადამიანის ამა თუ იმ ორგანოს წარმოადგენდა, მაგალითად, დიდი თითი ტვინთან კავშირშია. საჩვენებელი სასუნთქ სისტემას ნიშნავს, შუა თითი კუჭნაწლავს, არათითი „ლაპარაკობს" თირკმელებზე, ნეკი კი მთლიანად „პასუხისმგებელია" გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე. – ფიქრობდნენ ძველ აღმოსავლეთში.

დღევანდელი მედიცინა ითვალისწინებს ძველ ბერძენთა გამოცდილებებსაც და მედიკოსებს ფრჩხილების დათვალიერებისას შესაბამისი დასკვნებიც გამოაქვთ ხოლმე.

ფრჩხილის რქოვან ნაწილს ხანდახან უხარისხო ლაქიც აფუჭებს, მაგრამ მედიკოსებს შეუძლიათ განასხვაონ ლაქით დაზიანებული და შინაგანი სნეულების გამოძახილით ფორმაშეცვლილი ფრჩხილი.

პრობლემური ფრჩხილები მისი პატრონის არაჯანსაღ ორგანიზმზე მიუთითებს. ფრჩხილებზე ლაქები, აქერცლილი ფრჩხილი, ხშირად მისი პატრონის არაბალანსირებულ და მკაცრ დიეტაზე მიუთითებს.

თუ ადამიანს ვიტამინები და მიკროელემენტები აკლია, მის ფრჩხილზე მაშინვე ჩნდება თეთრი ლაქები, რომლებსაც სხვადასხვა ფორმა და ზომა აქვს. ასე რომ, ფრჩხილები ჩვენს ორგანიზმში გაჩენილ ყველა ცვლილებას პირველნი გვატყობინებენ, მოვუსმინოთ მათ.

## ახალგაზრდა ქალს პირში 2 კილოგრამიანი კბილი ამოუყვიდა



აშშ-ში ოპერაცია გაუკეთეს 38 წლის ჰაიტელ ლორეტ პერს. მას პირიდან 2 კგ-იანი წანაზარდი ამოუღეს. დაახლოებით 11 წლის წინ ქალს პირში წანაზარდი აღმოაჩნდა, რომელიც ყოველწლიურად იზრდებოდა. ლორეტი მიყრუებულ პროვინციაში ცხოვრობს და დიდხანს ვერ მოახერხა ექიმთან მისვლა. წანაზარდი იმხელა გაიზარდა, რომ ლორეტმა ბოლოს სუნთქვაც ვეღარ შეძლო. ჭამას საერთოდ ვეღარ ახერხებდა. ცნობილმა მსახიობი ჯუდი ფოსტერმა, რომელიც ჰუმანიტარული მისიით იყო ჩასული ჰაიტიზე, ლორეტ პერისთვის ექიმი დაიქირავა. ექიმმა ამოუღო პაციენტს პირიდან მთელი ზედმეტი მასა. ყველა გაოგნებული იყო, წანაზარდს ტიტანურად დიდი ზომა ჰქონდა. ქალბატონი ჰაიტიზე დაბრუნდა, წანაზარდი კი ლაბორატორიული კვლევის შედეგად უზარმაზარი კბილი აღმოჩნდა.

## ანეკდოტები

* * *



კონტროლიორი ადის ავტობუსში და გურულს ეუბნება:

– ბილეთი გაქვს?

– არა,შენ გაქვს?

– არა, მე კონტროლიორი ვარ.

– მასე მამაჩემი მანტიორია, მარა დენის ფულს მაინც ვიხდით, ეილე მაი ბილეთი მაქანე.

* * *

გურიაში ქორწილია, მიდის სმა-ჭამა – დედა შვილს არ აიყვანს ხელში. ერთი ბიჭი ჭამს, იმის გაძღომას არ დაადგა საშველი. თავდაღუნული მუშაობს, ძვალსაც არ აგდებს პირიდან. მოასუფთავა ირგვლივ რაც იყო: გოჭის ხორცი, ქათამი, ხაჭაპური და უკვე ცოტა მოშორებითაც დაიწყო ხელების ფათური. ერთი მოხუცი კაცი აკვირდება ამ ბიჭს პირდაღებული. ამ ბიჭმა როგორც იქნა პაუზის აღება გადაწყვიტა, წამოსწია თავი და ამ კაცს ეკითხება:

- ბიძაჩემო სიგარეტი არ გაქვს?

- კი მაქ ბიძია მარა, შენ თუ მაგ მუცელში კვამლის ადგილი დაგრჩა და მალადეც შენო.

* * *

ერთი გურული კაცი, რომელსაც გულის ოპერაცია ახალი გადატანილი აქვს (20 000 აშშ დოლარი დაუჯდა), გურიის ბაზარში მწვანილის გამყიდველს ევაჭრება ფასის დაკლებაზე. გვერდზე მეზობელი უდგას და ელოდება. დაუწყო ვაჭრობა. 10 თეთრის დაკლებას თხოვს, გამყიდველიც ფეხს არ უცვლის ფასს. დიდი დრო გავიდა და არც ერთი არ თმობს პოზიციებს. უკვე ნერვებიც აშკარად მოშლილი აქვთ და თითქმის უყვირიან ერთმანეთს. ამ მეზობელს მოსწყინდა ამათი ყურება და მიუბრუნდა ამ ნაოპერაციევ კაცს:

-ე, ძამა, წამო სახლში! რას იხეთქავ ამ 20 000 დოლარიან გულს 10 თეთრის გულიზა?!

* * *

გურული მიფრინავს თვითმფრინავით, ამ დროს შემოდის სტიუარდესა და ეუბნება, რომ ავარიული მდგომარეობაა და გურული უნდა გადახტეს: – კი მარა მე რეიზა უნდა გადავხტე? – აღშფოთდა გურული. სტიუარდესა დათაფლული ხმით აუხსნის: – იმიტომ, რომ დანარჩენები სულ ქალები და ბავშვები არიანო, დიდი ფიქრის მერე გურული დათანხმდება და ეტყვის– ჯანდაბას, გადავხტები, მარა პარაშუტი მაინც მომეცითო. გამცილებელი პასუხობს, რომ პარაშუტი არა აქვთ. – აბა რა ვქნა? – გაიკვირვებს გურული. – რა და, ხელები ჰაერში აიქნიე და დაიძახე – თოლია ვარ, თოლია ვარო, – დაარიგა სტიუარდესამ. რა ექნა გურულს, ადგა და გადახტა, მარა გურული რის გურულია?! „დაუაბგონა" თვითმფრინავს და ილუმინატორზე მიუკაკუნა სტუარდესას: რა ქვია, ცა, იმ ჩიტს?

* * *

გურული დამხმარე ქალს მიუყვანს სახლში ცოლს. ერთ დღესაც ცოლი მოდის სახლში და რას ხედავს, თავისი ქმარი იმ დამხმარე ქალთან წევს.

-რა ხდება აქ?! რა დღეში ხართ? – ეკითხება ცოლი.

გურული წამოხტება, გადაუსვამს მაგიდაზე თითს, აიყოლებს მტვერს და ცოლს ეუბნება:

-მითხარი, ახლა არაა ეს ქალი მოსა..ნავი?!

## ასტროლოგიური პროგნოზი



**ვერძი** – შემოსავლის ზრდა დაკავშირებული იქნება თქვენს საშუამავლო და საორგანიზატორო საქმიანობასთან. მომგებიანი აღმოჩნდება ყველა ის კავშირები, რომლებსაც უცხოეთში მოგზაურობისას დაამყარებთ.



**კურო** – შესაძლოა, უცაბედ სასიყვარულო კავშირში აღმოჩნდეთ, ის შესაძლოა, გაიცნოლთ სამსახურში, ტრანსპორტში ან კლუბში. საკუთარი გრძნობების დაფარვას ვერ შეძლებთ, რის გამოც თქვენი სასიყვარულო ურთიერთობები საჯარო გახდება.



**ტყუპები** – ორიგინალური იდეებისა და ინტუიციის წყალობით: თანამოაზრეთა წინამძღოლად იქცევით. განახლების სურვილი შეგიპყრობთ და არ არის გამორიცხული, თქვენი სახელი სამსახურში ბევრს უსიამოვნოდ მოხვდეს ყურში.



**კირჩხიბი** – წარმატების მისაღწევად სითამამე გაკლიათ. მუსიკა დაგამშვიდებთ და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებათ.



**ლომი** – ზემდგომი პირების მფარველობის განმავლობაში განმწვავდება თქვენი ურთიერთობები თანამშრომლებთან. ეცადეთ მოთმინება გამოიჩინოთ.



**ქალწული** – თქვენი პარტნიორებისთვის ახალი იდეების წყაროდ იქცევით. ბევრს იშრომებთ სამსახურში. პასცუხისმგებლობის გრძნობა დადებითად აისახება თქვენს ხელფასზე.



**სასწორი** – ეცადეთ, დაივიწყოთ წყენა და მოაგვაროთ ურთიერთობები კოლეგებთან. თავი შეიკავეთ სარისკო საფინანსო ოპერაციებისგან, აზარტული თამაშებისგან, ფულის სესხებისგან.



**მორიელი** – ეკონომიკური პრობლემები შემოსავლის წყარო ძიებისკენ გიბიძგებთ. სასიამოვნო მოულოდნელობად იქცევა ნაცნობის სტუმრობა, რომელიც დახმარებას აღმოგიჩენთ.



**მშვილდოსანი** – სერიოზული კონფლიქტი გელით, რომელიც ღალატით იქნება გამოწვეული. ამდენად, ეს პერიოდი უმჯობესია, გამაჯანსაღებელ პროცედურებს და საკუთარი წარსულის გააზრებას დაუთმოთ.



**თხის რქა** – დროის ამ მონაკვეთში არაერთი საინტერესო შეხვედრა გელით. არ არის გამორიცხული, ამავე პერიოდში სამუშაო ადგილიც შეიცვალოთ, რაც გარკვეულ ფინანსურ გართულებებთან იქნება დაკავშირებული.



**მერწყული** – სამსახურში გაგიჩნდებათ წინსვლისა და წარმატებით შემოსავლის წყაროს პოვნის პერსპექტივა.



**თევზები** – ეცადეთ, თავი ზედმეტად არ გადაიტვირთოთ. მთავარია, გჯეროდეთ საკუთარი შესაძლებლობების და ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერი დაბრკოლების გადალახვას მოახერხებთ.





გამოვიდა დამოუკიდებელი ლიტერატურული ჟურნალი „ ა მ ე რ ი მ ე რ ი ს "

პირველი ნომერი.

ჟურნალში თავმოყრილია ქართული პოეზიისა და პროზის საუკეთესო ნიმუშები, საზღვარგარეთული მწერლობის კორიფეების ნამუშევრები, ლიტერატურული კრიტიკა და პოლემიკა.

დაინტერესებულ მკითხველს ჟურნალ „ამერიმერის" შეძენა შეუძლია რუსთაველის 32-ში და „პლანეტა-ფორტეს" ჯიხურებში.


## მ ა დ ლ ო ბ ა

**დავით ვაშაძეს** — ექიმ ფოტოთერაპევტს, კეთილშობილ ადამიანს, რომელიც ჩვენთვის რთულ მდგომარეობაში შემთხვევით აღმოჩნდა ჩვენს გვერდით, დაგვეხმარა სწორი დიაგნოზის დასმაში, მის მიერ სწორად შემოთავაზებულმა სამკურნალო მცენარეებმა დახმარება გაგვიწია თირკმლის კენჭოვანი პრობლემის მოგვარებაში.

მადლიერი პაციენტების სახელით
**ლაშა ნიკოლაიშვილი.**

**სკანვორდის პასუხები:**

1. პასაჟი. 2. კოსტავა. 3. კვანტუნი. 4. სუიციდი. 5. ალაპი. 6. ტრუმენი. 7. აჟიოტაჟი. 8.ეტაჟერი. 9. მოლოხი. 10. კოლიტი. 11. ტეილორი. 12. ლომისა. 13. მოციონი. 14. აბრა. 15. ფეხი. 16. ვერტიკალი. 17. ციტადელი. 18. ვატინი. 19. ტბორი. 20. ტინი. 21. იქედნე. 22. რეჟანსი. 23. მედიანა. 23ა. სარდინი. 24. ასორტი. 25. ნიორაძე. 26. ქერტლი. 27. ბალარჯი. 28. მიულერი. 29. სიმპტომი. 30. კასკადი. 31. ჰიდრა. 32. სკალპი. 33. აბესალომ. 34. მორის. 35. გოტიე. 36. არენა. 37. მაგელანი. 38. პრესნიაკოვი. 39. ფურუნკული. 40. ფონდა. 41. სილიციუმი. 42. იუნკერი. 43. ცეზარი. 44. ბუთხუზი. 45. მზითევი. 46. ქრისტიანია. 47. სარკინოზები. 48. ნანსი. 49. ოცეოლა. 50. ციცხვი. 51. კეკე. 52. ცოკოლი. 53. კიუვეტი. 54. კარელ. 55. ვერსია. 56. ლივი. 57. ვაიკიკი. 58. კაპოტი. 59. კატანი. 60. ანკა. 61. ტლაპო. 62. ბია. 63. ბოსი. 64. ტენესი. 65. ოსტინ. 66. ამაო.